სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრა

გულნაზ ხუხუა

ქრისტიანული მორალი და პიროვნების ფორმირება

გამომცემლობა „სამშობლო“
თბილისი — 1997

წინამდებარე მონოგრაფია ეძღვნება ქრისტიანული რელიგიის როლს პიროვნების ფორმირებაში. მასში გამოკვლეული და სისტემაშია მოყვანილი ბიბლიის პედაგოგიური სიბრძნე, მისი თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება თანამედროვე თვალსაზრისით.

ნაშრომი განკუთვნილია განათლების მუშაკთა აღმზრდელ-მასწავლებელთა და მშობელთათვის, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდებისათვის და საერთოდ, ჭეშმარიტ ქრისტიანულ გზაზე დადგომის მსურველთათვის.

რედაქტორი: დოც. ამირან ლომაძე

რეცენზენტები: დოც. ქსენია კვიციანი
დოც. კასპეგ კუდავა

მხატვარი: გია დანელია

რედაქტორისაგან

ხელნაწერში გაცნობისას შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ქ-ნ გულნაზი ხუხუას ახალი ნაშრომი — „ქრისტიანული მორალი და პიროვნების ფორმირება“ (ბიბლიის მიხედვით) — უდავოდ დააინტერესებს მკითხველებს.

ავტორს თემა შემთხვევით არ აურჩევია, ამგვარი არჩევანი განსაზღვრა ხანგრძლივი კვლევითი მუშაობის შინაგანმა ლოგიკამ: კანდიდატობის ხარისხის მოსაპოვებლად ავტორის მიერ შერჩეული თემა ეძღვნებოდა მოზარდი თაობის აღზრდას არა მხოლოდ მოცემული ხალხის შიგნით არსებული ეთნიკურ ჯგუფებს შორის ძმობისა და უთრთიერთ პატივისცემის, არამედ ამასთან ხალხებსა და ერებს შორის მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდას, ომისა და ნგრევის საწინააღმდეგო მტკიცე განწყობის შექმნას. საკანდიდატო თემაზე მუშაობის პარალელურად ავტორი იმთავითვე დაინტერესდა ანტიკური სამყაროს პედაგოგიური მიღწევებით, განსაკუთრებით რომაელი **მარკ ფაბიუს კვინტილიანეს** პედაგოგიურ-თეორიული მემკვიდრეობით და კანდიდატის ხარისხის მოპოვების შემდეგ ინტენსიურად იკვლევდა მას, რაც დაგვირგვინდა საინტერესო მონოგრაფიით მ. ფ. კვინტილიანეზე (ათი ცალი იტალიაში წაიღეს საქართველოში სტუმრად ჩამოსულმა იტალიელებმა), წარმოადგინა რა მ. კვინტილიანე ახლებურად — როგორც მეცნიერული პედაგოგიკის პირველი ფუძემდებელი.

კვლევის პროცესში, თანდათან უღრმავდებოდა რა პრობლემას, ქ-მა გულნაზიმ ყურადღება მიაქცია ერთ საინტერესო გარემოებას: ოფიციალური ქრისტიანობა, რომის ვატიკანი ადრე გადაჭრით უარყოფდა ყველაფერ წარმართულს, მაგრამ ამასთან არაოფიციალურად ჩინებულად იყენებდა მ. ფ. კვინტილიანეს ნაშრომს — „ორატორის დარიგებანი“ (12-წიგნად); ჩანს, სამღვდელოებამ კარგად იცოდა თავის მრევლთან ურთიერთობაში მჭევრმეტყველების ფასი და მ. ფ. კვინტილიანეს ზემოხსენებული შრომა ორატორის მაღა-

ლი ხელოვნების დაუფლებისათვის წარმოადგენდა ბრწყინვალე სახელმძღვანელოს. სწორედ ამას უნდა ვუმადლოდეთ, რომ თორმეტივე წიგნი გადაურჩა განადგურებას და, რომ 1415 წელს სწორედ ეკლესიაში (პადუის) იქნა ის აღმოჩენილი რელიგიურ წიგნებს შორის ენერგიული და დაუდეგარი ბრაჩოლინის მიერ, რომელიც წმინდა ლათინურ ენაზე შედგენილ საუკუთესო ნიმუშებს ეძებდა.

მოგვიანებით რომსა და კონსტანტინოპოლშიაც ერთგვარად შეიცვალა პოზიცია წარმართ ბრძენთა მიმართ და ღვთისმეტყველთათვის ნებადართულ იქნა, ცხადია სათანადო შესწორებებით, მაგალითად, პლატონი და არისტოტელე; თავად აღიარებული, სახელგანთქმული ქრისტიანი ღვთისმეტყველნი — წმ. ბასილი დიდი (330—379), წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (დაახლ. 330—389), წმ. იოანე ოქროპირი (347—407) და სხვ., ათენში გაემგზავრნენ და წარმართ ბრძენთა მოძღვრებას დაეწაფნენ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის გამხდარიყვნენ გამოჩენილნი, საქვეყნოდ აღიარებული ქრისტიანი ღვთისმეტყველნი.

ყველა ამ ფაქტმა დააფიქრა მკვლევარი და წამოჭრა მის წინაშე კითხვა: ხომ არ არის ბიბლიაში (განსაკუთრებით ძველ აღთქმაში) ისეთი რამ, რასაც ანტიკური ეთიკოსებიც ეზიარნენ და გამოიყენეს პედაგოგიკაში? როგორ ახერხებდა ქრისტიანობა ჯერ კიდევ ადრე, სახელმწიფო რელიგიად აღიარებამდე, მტკიცე ნებისყოფის, შეურყეველი სულისკვეთების მორწმუნეთა ჩამოყალიბებას თავისი ისტორიის უძნელეს პერიოდსა და პირობებში. ქ-ნი ვულნაზი ხუხუა ჩაუჯდა ამ დიდებულ ქმნილებას—ბიბლიას, გულმოდგინედ ჩაუღრმავდა მას და მიღებული დიდი შთაბეჭდილებით გაოცებული დარჩა, რაც გადმოსცა კიდეც ხსენებულ ნაშრომში და გამოაქვს საზოგადოების სამსჯავროზე იმ იმედით, რომ მკითხველი საზოგადოებისაგან მიიღებს დამსახურებულ შეფასებას, ბრძნულ რჩევა-შენიშვნებს, რასაც გაითვალისწინებს და მომდევნო გამოცემისას გააუმჯობესებს ნაშრომს.

ცხადია, საკამათო, მასში საკმარისად არის, რადგან ყოველი ახალი იმთავითვე იწვევს განსხვავებულ მოსაზრებას, რაც ხელს უწყობს აზრის შემდგომ წინსვლას.

რადგან ქ-ნ გულნაზის ორივე საკვალიფიკაციო ნაშრომი მაღალი ჰუმანიზმითაა განმსჭვალული, ცხადია, ქრისტიანულ მოძღვრებაში მას სწორედ ჰუმანური ეთიკა იზიდავს, რომლითაც გამოირჩევა ქრისტიანული რელიგია სხვა რელიგიებისაგან განსაკუთრებით თა-

ვისი წარმოშობისა და არსებობის ადრეულ პერიოდში, სანამ ის კლერიკალურ ხასიათს მიიღებდა (კლერიკალიზმი არც ჩვენს სულმნათ იაკობს მოსწონდა, უარყოფითად იყო მის მიმართ განწყობილი), ამიტომ ქ-ნი გულნაზი ქრისტიანული რელიგიის ამ ადრეულ პერიოდით დაინტერესდა განსაკუთრებით.

ვფიქრობთ, სპეციალურ დასაბუთებას არ საჭიროებს ის, თუ როგორ სჭირდება დღეს ჩვენს საზოგადოებას მაღალი ჰუმანიზმით ღრმად განმსჭვალება, განსაკუთრებით მოზარდ თაობას. ეს მიზანი ამოძრავებდა და ამოძრავებს ავტორს, ამისათვის თავისი შესაძლებლობა არ დაუზოგავს, თავისთავად ეს კეთილი განზრახვა და ძალისხმევაცაა მისასალმებელი.

ნაშრომის ღირსებას კი, ცხადია, დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებაზე უკეთესი და ობიექტური შემაფასებელი აბა ვინ ეყოლება.

ა. ს. ლომაძე,

ი. ს. გოგებაშვილის პ/მ ს/კ ინსტ-ის წამყვანი მეც-მუშაკი, პედ მეცნ. კანდიდატი.

2 აპრილი 1997 წ.

ეუძღვნი აფხაზეთის ომში მამულისათვის დაცემულ ვაჟკაცთა ხსოვნას

ურჩობით დაკარგული მორჩილებით აღდგება

დასაბამიდან დღემდე კაცობრიობის არსებობა განუწყვეტელი ომების, დაპირისპირებების, გაუგონარი ბოროტებისა და მუდმივი შფოთის ისტორიაა. პირველი დაპირისპირება მოხდა ღმერთსა და მის ანგელოზებს შორის. ღმერთმა თავისი შემოქმედება დაასრულა უკანასკნელი და უნიკალური ქმნილებების, კაცთა მოდგმის პირველი წყვილის — ადამისა და ევას შექმნით, „შექმნა ღმერთმა კაცი თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბადება 1:17) და ედემის ბაღში ანუ სამოთხეში დაასახლა და მისცა დავალება: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ცაში ფრინველს, ზღვაში თევზს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დადის. (დაბად. 1:28).

ამრიგად, ღმერთმა ადამიანი თავის მოადგილედ დანიშნა დედამიწაზე და მის სიყვარულით აღსავსე ბატონობას დაუქვემდებარა მთელი სამყარო მოსავლელად, საპატრონოდ, რომ აზრიანი ყოფილიყო მისი ცხოვრება და დამტკბარიყო შესანიშნავ გარემოში საუკეთესო პირობებით და ხანგრძლივი ბედნიერებით. ამ სიკეთის შესანარჩუნებლად მათ მოეთხოვებოდათ ღვთის სამართლიანი კანონებისადმი პატივისცემა და მორჩილება. ღმერთმა უბრძანა ადამს: „ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში. მხოლოდ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდები“ (დაბად. 2:16, 17).

ღმერთმა გადახედა თავის ქმნილებებს და გაიხარა, თქვა: „აჰა ძალიან კარგია!“ (დაბად. 1:31) და ნაყოფიერი შრომის შემდეგ, მეშვიდე დღეს, დაისვენა, რადგან მას უკვე თავისივე მსგავსი თანაშემწეები ჰყავდა დედამიწაზე.

შემეცნების უნარით აღჭურვილ ადამიანს ღმერთმა მისცა არჩევანის თავისუფლება, თქვა: „სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევი წინ, კურთხევა და წყევლა, აირჩიე სიცოცხლე, რომ იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ“ (მეორე რჯული 30:19).

ღმერთის სუვერენული მმართველობა შეშურდა პირველობის სურვილით აღძრულ ანგელოზს და საძაგელი ვერაგობა ჩაიდინა, რომ ება-

ტონა კაცობრიობაზე. მან სიცრუე გამოიყენა ვერაგული მიზნის მისაღწევ იარაღად. მაცდუნებელმა ევას ჰკითხა: „მართლა გითხრათ ღმერთმა ბაღის არც ერთი ხის ნაყოფი არ შეჭამოთო?“ ევამ ისე უპასუხა, როგორც იყო. ბოროტმა ანგელოზმა კეთილმოსურნის ტონით უთხრა: „არ მოკვდებითო“ და ქალს შთააგონა თითქოს ღმერთი მათ ატყუებდა; უთხრა: „იცის ღმერთმა, რომ როგორც კი შეჭამთ მას, თვალი აგეხილებათ და შეიქმნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი“-ო. (დაბად. 33:1-5).

სატანა-ეშმაკის (მოწინააღმდეგე და ცილისმწამებელი ანგელოზი) მიერ შეცდენილმა წყვილმა — ადამმა და ევამ აკრძალული ხილის ჭამით დაარღვიეს უზენაესის კანონი, ჩაიდინეს ცოდვა, რომლის გამო დაისაჯნენ. ღმერთმა ურჩი ადამიანები სამოთხიდან გამოაძევა და დასწყევლა. გველს უთხრა: „რაკი ეს ჩაიდინე, წყეულიმც იყავ ყველა პირუტყვს შორის, ყველა ცხოველს შორის, მუცლით იხოხე და მტვერი ჭამე მთელი სიცოცხლე“.

„მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის: „ის თავს გიჩეჩყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე!“

„დედაკაცს უთხრა: სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს...

ადამი ასე დასწყევლა: „ეკლიოფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი“ (დაბად. 3:14, 15, 16, 19).

ადამი და ევა ყოვლისშემოქმედისადმი დაუმორჩილებლობით სატანა-ეშმაკის მხარეზე აღმოჩნდნენ, ხოლო მათი ცოდვა მემკვიდრეობით გადმოეცა შთამომავლობას. ამის შესახებ რომაელთა 5:12 მუხლში ვკითხულობთ: „...ერთი ადამიანის მიერ ცოდვა შემოვიდა წუთისოფელში, ხოლო ცოდვის მიერ სიკვდილი, ასევე სიკვდილი გადავიდა ყველა ადამიანში, რადგან ყველამ შესცოდა“.

ადამიანთა პირველი წყვილის ურჩობით წუთისოფლის მთავარი, უმეცართა მამა გახდა სატანა-ეშმაკი, რომელმაც ცილი დასწამა და ეშვეშე დააყენა ღმერთის მმართველობის სამართლიანობა. „ამ წუთისოფლის ღმერთმა (სატანა-ეშმაკმა — გ. ხ.) დაუბრმავა გონება, რათა მათთვის არ ებრწყინა სახარებისეულ ნათელს ქრისტეს დიდებისა“ (II კორინთელთა 4:4).

იესო ქრისტემ სატანა-ეშმაკს სიცრუის მამა უწოდა: „ღმერთი რომ მამა იყოს თქვენი, მაშინ გეყვარებოდით, რადგან მე გამოვედი და მო-

ველი ღვთისგან, ვინაიდან მე ჩემით კი არ მოვსულვარ, არამედ მან მომავლინა, თქვენი მამა არის ეშმაკი და მამათქვენის გულისთქმათა შესრულება გწადიათ. ის კაცი მკვლელი იყო თავიდან და ჭეშმარიტებაში ვერ დადგა, რადგან არაა მასში ჭეშმარიტება. როცა სიცრუეს ამბობს, თავისას ამბობს, რადგან ცრუა იგი და სიცრუის მამაა" (იოანე 8:42, 44).

რისხვაში ნელმა ღმერთმა თავის მიწიერ შვილებს მისცა დრო და საშუალება გამრავლებისა და თვითგამორკვევისა, მაგრამ როცა ძალიან გაიქვავეს გული და მეტისმეტად გაბოროტდნენ და გაირყვნენ, წარღვნა მოუვლინა და გაანადგურა. „გავანადგურებ, მიწის პირისგან აღვგვი ჩემს შექმნილს ადამიანიდან დაწყებული პირუტყვს, ქვეწარმავალს, ცის ფრინველებს, ყველაფერს გავანადგურებ, რაკი ვნანობ მათ შექმნას". (დაბად. 6:7). მართლაც, მხოლოდ მართალი და მორჩილი გადაურჩა წყალს: კიდობნიდან „გამოვიდა ნოე, მისი შვილები, მისი ცოლი და რძლები" (დაბად. 8:18).

წარღვნის მერე გავიდა წლები, გამრავლდა ნოეს შთამომავლობა. მთელ დედამიწაზე მხოლოდ ისინი ცხოვრობდნენ. ჰქონდათ ერთი ენა და ერთნაირი მეტყველება. მათზე ბატონობდა ნოეს შვილთაშვილი, ბოროტი, განდიდების მანიით შეპყრობილი კაცი — ნებროთი. მან თავის ხალხს უბრძანა: „აბა, ავაშენოთ ქალაქი და კოშკი და ცას მივაწვდინოთ მისი წვერი. ამის შემდეგ სახელგანთქმულები ვიქნებით მთელ დედამიწაზეო!" (დაბად. 11:4).

მათი თვითნებობის საზღაურად ღმერთმა ისე არია ენა, რომ ერთმანეთს ვერ უგებდნენ და დაფანტა ისინი დედამიწის კიდით-კიდემდე. ამიტომ ეწოდა იმ ქალაქს ბაბილონი, რაც ნიშნავს „არევას".

ასე ჩაიშალა ბაბილონის კოშკის მშენებლობა. ხოლო მისი მშენებლები გაიყვნენ ჯგუფებად ენის მიხედვით და დასახლდნენ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. სემის (ნოეს შვილები: სემი, ქამი და იაფეთი) ხაზიდან წამოვიდა აბრაამი, ისააკი, იაკობი. იაკობის 12 შვილისგან წარმოიშვა ისრაელი ერი. ისინი ეგვიპტეში გადავიდნენ საცხოვრებლად, სადაც დიდი პატივით სარგებლობდნენ. იოსების გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტის მეფემ ფარაონმა ისრაელები მონებად აქცია. მათ ჯაუტანელ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება იქ, მაგრამ ღმერთმა ისინი სასწაულქმედებით მოსეს მეშვეობით გაანთავისუფლა ეგვიპტის მონობიდან. სინაის მთაზე დაბანაკებულ ისრაელებს ღმერთი მოსეს პირით ასე მიმართავს: „თუ თქვენ იქნებით ჩემი გამგონე და დაიცავთ ჩემს აღთქმას, თქვენ იქნებით ჩემი ერი, რადგან ჩემია მთელი დედამიწა" (გამოსვლა 19:5).

ყოველისშემოქმედმა მათ დაუწესა კანონები და განუცხადა: მე ვარ თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანათ ეგვიპტის მონობიდან, „თაყვანი არ სცეთ სხვა ღმერთებს", „არ გაიკეთოთ არავითარი კერპი, არავითარი გამოსახულება იმისა, რაც ზეცაშია და რაც მიწაშია და რაც წყალშია, მიწის ქვეშ. არ სცეთ თაყვანი და არ ემსახუროთ მათ, არ ახსენო შენი ღმერთის სახელი აუგად, დაიცავი შაბათი დღე, პატივი ეცი შენს მამას და დედას, არ კლა, არ იმრუშო, არ მოიპარო, არ დადგე ცრუ მოწმედ, არ ინდომო მოყვასის სახლი; არ ინდომო შენი თვისტომის ცოლი, არც მისი ყმა, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არც არაფერი მისი ქონებიდან" (გამოსვლა 20:2-17).

ისრაელიანები არ დაემორჩილნენ ღმერთის კანონებს და თვითონ გამოიგონეს ცრუ ღმერთი „ოქროს ხბო" და განაცხადეს: „ეს არის ჩვენი ღმერთი, რომელმაც ეგვიპტიდან გამოგვიყვანა"-ო! (გამოსვლა 32:4). უსამართლოდ განდგომის გამო ისინი დაისაჯნენ, აბრაამის, ისააკისა და იაკობისთვის მიცემული აღთქმის — მათი შტოს გამრავლებისა და ქანაანის ქვეყანაში დასახლების შესახებ — დაცვით უვნებლად დატოვა მათი გვარის გამგრძელებლები.

ამათაც აღძრავს ეშმაკი ღვთის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისაკენ, რაც გამოიხატა იმაში, რომ „ღვთის ჭეშმარიტება" შეცვალეს სიცრუით" ... „ცხოვრებას ატარებდნენ გარყვნილებაში, გულისთქმებში, სიმთვრალეში, ღრეობაში, სმაში და საძაგელ კერპთაყვანისმცემლობაში" (I პეტრე 4:3); ბოროტმოქმედებას გაუთავებელი მსხვერპლშეწირვებით ფარავდნენ. სამლოცველო ტაძრები ავაზაკთა ბუნაგად აქციეს. ღმერთი იერემია წინასწარმეტყველის მეშვეობით აფრთხილებს ისრაელებს შეწყვიტონ ბოროტმოქმედება, მოისმინონ ღვთის ხმა, რომ ისევ არ დაისაჯონ განადგურებით. იერემია აცხადებს: „იერუსალიმი განადგურდება, თუ არ შეწყვეტთ ბოროტი გზებით სიარულს" (იერემია წინასწარმეტყ. 11:8), მაგრამ ხალხი არ უსმენს იერემიას, დასცინის მას.

იერემიას წინასწარმეტყველება შესრულდა. ღმერთმა სამართლიანად დასაჯა ურჩი ერი. 607 წელს ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ ინგრევა იერუსალიმი, გადარჩენილები კი ტყვეებად მიჰყავთ ბაბილონში, რომელთა შორის ზოგიერთები საარაკო ერთგულებას იჩენენ ღვთისადმი. ესენი არიან: დანიელი, შადრაქი, მეშაქი და ყაბადნეგო. ისინი, ღმერთის მცნების — „თაყვანი არ სცე სხვა ღმერთებს ჩემს გარდა" — თავდადებული დამცველები არიან. როცა ნაბუქოდონოსორმა მოსთხოვა მათ თაყვანი ეცათ მისი ოქროს კერპისათვის, ახალგაზრდებმა უარი განაცხადეს: ჩვენს ღმერთს, რომელსაც ჩვენ ვეთაყვანებით, შე-

უძლია გვიხსნას, მაგრამ რომ არ გვიხსნას კიდეც, ჩვენ მაინც არ ვცემთ თაყვანს შენს ოქროს კერპს-ო (დანიელ წინასწარმეტყ. 3:17, 18).

განრისხებულმა ნაბუქოდონოსორმა ეს ქედუხრელი ახალგაზრდები შეიდმაგად გახურებულ ღუმელში ხელფეხშეკრული ჩააყრევინა, მაგრამ ისინი იქიდან უვნებელნი ამოვიდნენ.

ნახულით გაოცებულმა მეფემ აღიარა: „კურთხეულია ღმერთი შადრაქის, მეშაქის და აბედნეგოსი! მან თავისი ანგელოზი გამოგზავნა და გადაარჩინა ისინი, რადგან თავიანთი ღმერთის გარდა, მათ თაყვანი არ სცეს სხვა ღმერთს“ (დანიელ წინასწარმეტყ. 3:28).

დარიოსმა რწმენის გამო ჩააგდო დანიელი ლომების ორმოში, მაგრამ ღმერთისადმი ერთგულებამ იხსნა ისიც განსაცდელისაგან.

ამგვარ რჩეულ მორწმუნეთა გამო ისრაელიანები ღმერთმა თავის აღთქმისამებრ 607 წლიდან 70 წლის შემდეგ დააბრუნა თავიანთ სამშობლოში. პეშმარიტი ღმერთისადმი თაყვანისცემის ნიშნად ოცნებაახდენილი ტყეები მაშინათვე შეუდგნენ იერუსალიმისა და ტაძრების ერთდროულად აღდგენას. გამართლდა ესაიას წინასწარმეტყველება, რომ იერუსალიმი ფერფლისგან აღდგებოდა: „შენ აღშენდები, ნანგრევებისგან აღგადგენ“, ან კიდევ: იერუსალიმო, შენ და შენი ტაძრები აღსდგებით. კიროსის მეშვეობით მოხდა იერუსალიმის აღდგენა. მან გასცა ბრძანება: „წადით იერუსალიმში და ააშენეთ იეჰოვას, თქვენი ღმერთის სახლი“; (ესაია წინასწარმეტყ. 44:26, 28; 45:1-4).

მოსეს რჯულმა ვერ უზრუნველყო ღმერთის დიდებული განზრახვის განხორციელება, აუცილებელი იყო ახალი ღონისძიების გატარება, ცოდვისა და სიკვდილის მონობისაგან კაცობრიობის საბოლოო დახსნა. ამის შესახებ ღმერთმა თქვა: „აჰა, დადგება ჟამი... და ახალ აღთქმას დავუდებ ისრაელის სახლს და იუდას სახლს. არც ისეთ აღთქმას, რომელიც დაუდევი მათ მამა-პაპას“. თუ ათი მცნება ქვის ფილებზე იყო დაწერილი, ახალ აღთქმაში ღმერთი ამბობს: „წიაღში ჩავუდებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დავაწერ“ (იერემია წინასწარმეტყ. 31:30-33).

მოსეს რჯული მხოლოდ დაწერილი კანონების დასწავლას და მის მიხედვით მოქმედებას მოითხოვდა. აჰა, დადგა ჟამი და ღმერთმა აღთქმისამებრ ახალი ღონისძიება გაატარა, რომლითაც გაუქმდა ძველი: „ახალი აუქმებს ძველს“... რადგან „ძველი რომ უნაკლო ყოფილიყო, ახლისთვის არ იქნებოდა ადგილი“.

ამჯერად ყოვლისშემქმნელმა თავისი მხოლოდ შობილი ძე — იესო ქრისტე გამოგზავნა დედამიწაზე მორჩილებისა და უმწიკვლოების ცოცხალ ნიმუშად და ცოდვისა და სიკვდილისგან კაცობრიობის გამოსასყი-

დად, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა უფალმა თავისი ქმნილებებისადმი უსაზღვრო სიყვარული და მოგვცა იმედი აღთქმულის „ღმერთის ხასუფეველის“ მიღებისა, რომ „მართალნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას და იარსებებენ მასზე უკუნისამდე“... ხოლო „ბრალეულნი ერთიანად მოისპობიან, ბოროტთა მომავალი გადაშენდება“ (ფსალმ. 36:29, 38) იესო ქრისტეს მეშვეობით, „ვინაიდან ერთია ღმერთი და ერთია ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალი — კაცი ქრისტე იესო“ (I ტიმოთე 2:5) — სიონზე ქვაკუთხედად დადებული ლოდი, რომელზედაც უნდა აღშენდეს ქრისტიანული სულიერი ტაძარი. ეს აზრია გატარებული ღმერთის სიტყვაში: „აჰა, მე ვდებ სიონში ლოდს, ქვაკუთხედს, რჩეულს და ძვირფასს და მისი მორწმუნე არ შერცხვება“ (I პეტრე 2:6). „ის, ვინც ამ ლოდზე დაეცემა, დაიღეწება, ხოლო ვისაც დაეცემა, გასრესს“ (მათე 21:44). მაგრამ ვინც გონიერულად გამოიყენებს ამ ლოდს, მისთვის სულიერი ამაღლების საფეხურად, სულიერი აღმშენებლობის ქვაკუთხედად იქცევა.

თვით იესო ქრისტე ღმერთის ამ ახალ ღონისძიებას კიდევ უფრო ნათლად განმარტავს. „მსხვერპლი და შესაწირავი არ გსურს, მაგრამ სხეული განმიმზადე მე. ყოვლადდასაწველები და ცოდვის გამოსასყიდნი არ იყო შენთვის მოსაწონი, მაშინ მე ვთქვი: აჰა, მოვდივარ, როგორც წიგნის დასაწყისში წერია ჩემზე, შენი ნების აღსასრულებლად, ღმერთო!

ასე გაუქმდა პირველი (ძველი აღთქმა) და დადგინდა მეორე (ახალი აღთქმა). „ის აუქმებს პირველს, რათა დაადგინოს მეორე“ (ებრაელთა 10:5-7). ღმერთმა ამით აღასრულა დანაპირები, რომ აბრაამის ხაზიდან მოვიდოდა აღთქმული „თესლი“. ეს თესლი რომ იესო ქრისტეა, ამას მისი გენეალოგია ადასტურებს. აღთქმისამებრ იგი მართლაც აბრაამის, ისააკის, იაკობის, დავითის ხაზიდან მოვიდა, როგორც ნაწისწარმეტყველები იყო „დაბადების“ 22:18; 26:2-5; 28:12-15; 49:10; ესაია წინასწარმეტყველის 11:1, 10 და ა. შ.

იესო ქრისტე რომ აბრაამის ხაზიდან 42-ე თაობა იქნებოდა, ესეც ემთხვევა წინასწარმეტყველებას.

ძველ წელთაღრიცხვით მე-8 საუკუნეში მცხოვრები მიქა წინასწარმეტყველის ხილვაც რომ მესია ქალწულის მიერ ბეთლემში იშვებოდა, იესოს დაბადებას ემთხვევა. ასევე იესო ქრისტეს 30 ვერცხლად გაცემის შესახებ ზაქარიას წინასწარმეტყველებაში იკითხება: „რას მომცემთ, რომ გადმოგცეთ იგი?“ მიუწონეს მას 30 ვერცხლი (ზაქარია 11:12, 13).

წინასწარმეტყველება, ქრისტეს აღდგომის შესახებაც, ზუსტად გამართლდა. „რადგან არ დაუტოვებ ჩემს სულს ჯოჯოხეთს, გასახრწნელად არ გაიმეტებ შენს წმიდას“ (ფსალმ. 15:10). და, რაც მთავარია, იესო ქრისტე რომ მესია იყო, ეს თვით ღმერთმა დაამოწმა, როცა იგი იოანე ნათლისმცემლის მიერ მოინათლა 30 წლის ასაკში: „ნათელღებული იესო მაშინვე ამოვიდა წყლიდან და, აჰა, გაიხსნენ ცანი, და მან იხილა ღვთის სული მტრედივით გარდმომავალი, მასზე რომ ეშვებოდა, აჰა, ციდან მეტყველი: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“ (მათე 3:16, 17); მეორეჯერ, მონათვლიდან ექვსი დღის შემდეგ მისი ფერისცვალების მოწმენი გახდნენ მისი მოციქულები: პეტრე, იაკობი და იოანე, რომლებმაც გარკვევით მოისმინეს ზეციდან ხმა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე, მას ისმინეთ“. (მათე 17:5).

იესოს მესიანობაზე მეტყველებს აგრეთვე მისი სასწაულქმედებები. მაგალითად: წყლის ღვინოდ გადაქცევა, კეთროვანების, ყრუ-მუნჯების, ხეიბრების განკურნება, მკვდრების აღდგენა და მრავალი სხვა სასწაულები.

იესო ქრისტემ, მისი ზეციური მამის ნებისამებრ, ბრწყინვალედ შეასრულა თავისი დანიშნულება დედამიწაზე. აუწყა კაცობრიობას ღმერთის სასუფევლის შესახებ და თავი გასწირა მთელი წუთისოფლის ცოდვისა და სიკვდილის მონობისაგან დასახსნელად, კაცობრიობის გადასარჩენად: „ის არის ჩვენი და არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი წუთისოფლის ცოდვების მიმტევებელი“ (I იოანე 2:2).

ქრისტემ თავისი სიბრძნით, გონიერებითა და მაღალზნეობრიობით ცოცხალი მაგალითი მოგვცა ჭეშმარიტ ქრისტიანთა აღსაზრდელად.

როგორც ვხედავთ, ღმერთის თავდაპირველი განზრახვა, ხანგრძლივი და ბედნიერი სიცოცხლის შესახებ, შეფერხებულ იქნა ადამიანის ურჩობის გამო, მაგრამ უფალი წმიდად აღასრულებს აღთქმულს თავის დროზე: „დასაბამიდანვე ვაცხადებ მომავალს და ძველდანვე, რაც ჯერ არ მომხდარა, ვამბობ აღსრულდება ჩემი განზრახული და ყოველ სურვილს ავასრულებ“ (ესაია წინასწარმეტყ. 46:10).

დიახ, ბიბლია სრული დამაჯერებლობით გვაწვდის რეალურ ცნობებს წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ; გვიხსნის თუ რა მიზნით შექმნა ღმერთმა ადამიანი, რატომ დაუშვა ბოროტება და რას აპირებს მომავალში.

დღეს უკვე აშკარაა ბოროტი წუთისოფლის აღსასრულის მოახლოების ნიშნები, რომელთა შესახებ წინასწარმეტყველებს ბიბლია: „გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოთ. ვინაიდან ბევრნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: მე ქრისტე ვარო! და მრავალს შეაცდენენ. ასევე მოისმენთ ომებზე და ომების ამბებს. იცოდეთ, ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღსასრული, ვინაიდან აღდგება ერი ერის წინააღმდეგ, და იქნება შიმშილი, და მიწისძვრანი ადგილ-ადგილ, ხოლო ყოველივე ეს მშობიარობის ტკივილთა დასაწყისია... და რაკი გამრავლდება ურჯულოება, მრავალს გაუნელდება სიყვარული, ბოლომდე დამთმენი გადარჩება. „ექადაგება ეს სახარება სასუფეველზე მთელს მსოფლიოს ყველა ხალხისათვის დასამოწმებლად. აი, მაშინ დადგება აღსასრული“ (მათე 24:4-8, 12-14). „იქნება დიდი გასაჭირი, როგორიც არ ყოფილა წუთისოფლის დასაბამიდან დღემდე და აღარც არასოდეს იქნება“ (მათე 24:21).

წუთისოფლის პირველი განადგურება წარღვნის წყლით მოხდა, მეორე განადგურება ცეცხლით ემუქრება თანამედროვე ქვეყნიერებას. მომხდარისა და მოსახდენის შესახებ საზარელ ინფორმაციებს შეიცავს ბიბლია: „მაშინდელი წუთისოფელი წარღვნის წყლით მოისპო“ (II პეტრე 3:6). თუ როგორ მოხდა ეს ამბავი, დეტალურადაა აღწერილი „დაბადების“ VI, VII, VIII და IX თავებში.

მომავლის შესახებ ბიბლია იტყობინება: „ხოლო ახლანდელი ცა და მიწა, რომლებიც იმავე სიტყვით ინახება, გამზადებულია საცეცხლოდ უღვთო კაცთა განკითხვისა და მოსპობის დღისათვის“... „არ აყოვნებს უფალი აღთქმულს, ზოგიერთებს რომ დაყოვნებად მიაჩნიათ, არამედ სულგრძელია თქვენდამი და არ სურს, რომ ვინმე დაიღუპოს, არამედ ყველა მოვიდეს მოსანანიებლად“ (II პეტრე 3:7, 9). ამასთან დაკავშირებით ეზეკიელ წინასწარმეტყველის მე-18 თავის 21-ე, 23-ე მუხლებში ვკითხულობთ: „თუ ბოროტეული განუდგება ყველა თავის ცოდვას, რაც ჩაუდენია, დაიცავს ყველა ჩემს წესს და სამართლიანად და სიმართლით მოიქცევა, ჭეშმარიტად იცოცხლებს, არ მოკვდება“. „განა მსურს ბოროტეულის სიკვდილი,—ამბობს უფალი ღმერთი—არამედ რომ მოიქცეს თავისი გზებიდან და იცოცხლოს“. მაგრამ მოთმინებას საზღვარი აქვს, „უფლის დღე ქურდივით მოვა და მაშინ ზეცანი ჭრგვინვით გადაივლიან, გავარვარებული კავშირები დაიშლებიან, მიწა და მისი საქმენი, რაც მასზეა, გადაიბუგება“ (II პეტრე 3:10). მართალთათვის

იქნება ახალი ცა და ახალი მიწა, სადაც დამკვიდრებულია სიმართლე (II პეტრე 3:13). სადაც „ღმერთი შეწყვეტს ომებს დედამიწის კიდით-კიდემდე, მშვილდს შემუსრავს და შუბს დაამსხვრევს" (ფსალმ. 45:10); „გაიფურჩქნება წმიდანი და გამრავლდება მშვიდობა, ვიდრე მთვარე არსებობს (ფსალმ. 71:16); „იქნება სიუხვე პურისა დედამიწაზე, მთათა მწვერვალზე" (ფსალმ. 71:16); „მოილხენს უდაბნო და ხრიოკი, გაიხარებს ტრამალი და შროშანივით აყვავდება" (ესაია 35:1); „მართალნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას და იარსებებენ მასზე უკუნისამდე" (ფსალმ. 36:29). როცა ღვთის შემეცნებით აივსება დედამიწა.

ქრისტიანული მორალის არსი და ძალმოსილება

ქრისტიანული მორალი, როგორც ქრისტეს რჯულის ძირითადი ნაწილი, ღმერთთან დამოკიდებულების, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის, ბუნებასთან კავშირის, სამყაროში ადამიანის ადგილის განმსაზღვრელი შემეცნებაა. მისი შინაარსია: სიყვარული, სიბრძნე, სამართლიანობა, სიწმინდე, ძალა და ყოველივე ის, რაც ამ ჩარჩოებში თავსდება. კაცობრიობის პირველმა მასწავლებელმა იეჰოვა ღმერთმა თავად გამოავლინა ეს თვისებები თავის ქმნილებებში, სიტყვასა და მოქმედებაში.

მრავალფეროვანი სამყაროს მომხიბვლელი სილამაზე, ადამიანის, როგორც უნიკალური ქმნილების შემეცნებისა და გრძნობის უნარით შექმნა, მხოლოდ შობილი ძის შეწირვა კაცობრიობისათვის ცოდვისა და სიკვდილისგან დასახსნელად, სიბრძნის წიგნის მიძღვნა კაცობრიობისათვის — უდიდესი ღვთიური სიყვარულის გამოვლინებაა.

სამყაროში არსებული ჰარმონია და წესრიგი, მოვლენებისა და საგნების ურთიერთგანპირებულობა, ყოველივესი თავის გვარისდამიხედვით წარმოშობა და განვითარება, ბიბლიური პრინციპები და კანონები და მრავალი სხვა — ღვთიური სიბრძნის მაჩვენებელია.

ღმერთის სამართლიანობა ჩანს ყველაფერში. „ღმერთთან არ არსებობს მიკერძოება“ (რომაელთა 2:11). „ყოველ ხალხში მისი მოშიში და სიმართლის მოქმედი სათნოა მისთვის“ (საქმეები 10:35); ღმერთი მართლის ნუგეშია, „ძალადობის მოყვარული სძულს მის სულს“ (ფსალმ. 10:5), ამიტომ „მოსპობს უფალი ქლესა ბაგეებს, გოროზად მოლაპარაკე ენებს...“ „ღარიბთა დარბევის და ჩაგრულთა კვნესის გამო აღვდგები — ამბობს უფალი — აღმოვუჩენ შველას, ვისაც მახე დაუგეს“ (ფსალმ. 11:4-6).

ღმერთის ძალა მის ყოვლისშემძლეობაშია, მაგალითად: სამყაროს შექმნა, ადამიანთა გაურჩების გამო მოვლენილი წარღვნა, ისრაელების გამოხსნა ეგვიპტელთა მონობიდან, ბაბილონის, იერუსალიმის, სოდომისა და გომორის განადგურება, მკვდრების აღდგენა, ცხადია, ღვთიურ ძალაზე მიუთითებს.

ადამიანი, როგორც ღვთის ხატად შექმნილი არსება, ყველა ამ თვისებას უნდა ირეკლავდეს. თუ როგორ? ამის მაგალითი თვით იესო ქრისტემ მოგვცა თავისი მაღალზნეობრივი ცხოვრებითა და კეთილმოღვაწეობით. მაგრამ იგი ვერ შეიცნო წუთისოფელმა. თუ რა მოჰყვა კაცთა გულქვაობას, ეს კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია.

ქრისტიანული რელიგიის ისტორია, მისდამი კაცობრიობის მიდგომა მეტად შემაძრწუნებელია. ამის შესახებ თვით იესო ქრისტეს მოციქულები I საუკუნეში წერდნენ: „მცნების მიზანია წმიდა გულით, კეთილი სინდისითა და უპირფერო რწმენით სიყვარული", მაგრამ „ზოგიერთები აცდენენ და გადაუხვიეს ამაო ლაყბობისაკენ"... „სურთ რჯულის მასწავლებლები იყვნენ, არ კი გაეგებათ, რას ლაპარაკობენ და რას ამტკიცებენ", „ხოლო რჯული მაშინ არის კეთილი, თუ ვინმე ჯეროვნად იყენებს მას" (I ტიმოთე 1:5-8).

მწიგნობრებმა, ფარისეველებმა, მღვდელმთავრებმა, რომლებმაც ჯვარს აცვეს იესო ქრისტე, დაამახინჯეს ქრისტეს რჯული, შეცვალეს იგი ადამიანური სიბრძნით. სწორედ ამაზე მიუთითებს ბიბლიაში გალატელთა 1:7-ე მუხლი, სადაც ვკითხულობთ: „არ არსებობს სხვა სახარება, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომელთაც არეულობა შეაქვთ თქვენში და სურთ დაამახინჯონ ქრისტეს სახარება". სწორედ ამ უკეთურობის გამო არიან მხილებულნი მწიგნობრები, ფარისეველები, მღვდელმთავრები, რომლებსაც თავის დროზე „შვიდგზის ვაი" მიაგო იესო ქრისტემ: „ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, შეთეთრებულ სამარხებს რომ ჰგავხართ"... „გარეგნულად მართლები ჩანხართ ადამიანთა წინაშე, შიგნით კი თვალთმაქცობთ და ურჯულოებით ხართ აღვსილნი". „ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო რომ ცათა სასუფეველს კეტავთ ადამიანთა წინაშე, რადგან არც თქვენ შედიხართ და არც შემავალთ უშვებთ" (მათე 23:27, 28, 13).

ქრისტეს რჯული ჭირთათმენას და პატიოსნებას, სიკეთეს და ნათელში ყოფნას მოითხოვს. ეს კი ხარბებსა და გაუმაძღრებს არ აწყობდათ „ვინაიდან ყველას, ვინც ბოროტებას სჩადის, სძულს ნათელი და არ მიდის ნათლისაკენ, რათა არ იქნეს მხილებული მისი საქმენი" (იოანე 3:20). ამიტომ შეიძულეს იესო ქრისტე. ამის შესახებ უფალი თავად ამბობდა: „წუთისოფელს ვძულვარ იმის გამო, რომ მე ვამოწმებ მასზე, რომ მისი საქმე ბოროტია" (იოანე 7:7).

მარქსისტებმა და კომუნისტებმა კი საერთოდ უარყვეს რელიგია. მას „опиум народа" უწოდეს და მესიანობა თავად დაიბრალეს.

შარქსმა ზნეობრიობა ცვალებად კატეგორიად გამოაცხადა, ხოლო ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა კიდევ უფრო თავისებურად განმარტა იგი: „ზნეობრივია ის, რაც ხელს უწყობს კომუნიზმის მშენებლობას"-ო.

თავის ჰეშმარიტ საფუძველს, ქრისტეს რჯულს მოწყვეტილმა მორალმა კი, როგორც ვხედავთ, კაცობრიობა კატასტროფამდე მიიყვანა. ევოლუციის თეორიამ ბნელში მოაქცია ჰეშმარიტება. ღმერთის უნიკალური ქმნილება — ადამიანი უსახური და უმდაბლესი ცხოველის, მაიმუნის შთამომავლად გამოაცხადა, რამაც ადამიანს დაავიწყა თავისი ღვთაებრივი წარმომავლობა და ნაცვლად სრულყოფისაკენ სწრაფვისა, დაბალი, გულისთქმების მონად აქცია. განუვითარა სულის საწინააღმდეგო თვისებები: „...სიძვა, უწმიდურობა, თავაშვებულობა, კერპთმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, შური, რისხვა, შუღლი, უთანხმოებანი, შწყალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი" (გალატელთა 5:19-21). ამან აბსოლუტურად დააშორა ადამიანი ღმერთს და იგი უმართავი გახადა.

ზნეობის პრობლემის გადასაწყვეტად უამრავ ღონისძიებას მიმართა კაცობრიობამ. ზნეობრივი აღზრდა გამოცხადდა განათლების მთავარ ძარღვად, აღზრდის მთავარ შემადგენელ ნაწილად. დაიწერა უამრავი შრომები, მონოგრაფიები, შეიქმნა სპეციალური სალონები, წრეები ამასთან დაკავშირებით, მაგრამ პრობლემა გადაუჭრელი დარჩა. უფრო მეტიც, ზნეობის ქადაგებაში უზნეობამ მოიცვა მსოფლიო, რასაც მოწმობს რეალური სინამდვილე. ომების, ნგრევების, კრიმინოგენური სიტუაციების, მრუშობისა და მეძავეობის სტატისტიკური მონაცემები.

იოანეს 5:19-ში ჩაწერილი სიტყვები: „მთელი წუთისოფელი ბოროტებაში ძევს" — დღესაც ძალაშია. კაცობრიობამ, როგორც ვიცით, თავისი არსებობის მანძილზე განვითარების ხუთი ფორმაცია გაიარა, მაგრამ მშვიდობა და ბედნიერება არც ერთ წყობილებას არ მოუტანია საზოგადოებისთვის, რაც მოწმობს ბიბლიურ ჰეშმარიტებას, რომ ადამიანი ვერ წარმართავს თავის ნაბიჯებს ღვთისგან დამოუკიდებლად, რამეთუ ყოვლისშემოქმედმა თავად იცის როგორ მართოს თავისი შექმნილი. სამყაროს მართვის გასაღები მხოლოდ ბიბლიაში დევს, „რომელშიც დაფარულია სიბრძნისა და ცოდნის ყველა განძი" (კოლასელთა 2:3); „მთელი წერილი ღვთივსულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად, დასარიგებლად სიმართლეში", რათა სრულყოფილი იყოს ღვთის კაცი, ყოველი კეთილი საქმისთვის გამზადებული" (II ტიმოთე 3:16, 17). ეს მასალებია ბიბლიური კანონების, ქრისტეს რჯულის შემეცნება და მის მიხედვით ცხოვრება.

„იმიტომ, რომ რჯულის მსმენელნი კი არ არიან მართალნი ღმერთთან, არამედ რჯულის შემსრულებელნი გამართლდებიან“ (რომაელთა 2:13). როგორც აქ ჩანს, ქრისტეს რჯულის თანახმად ცხოვრება ნიშნავს ღვთის ნების შესრულებას, მისი კანონებისადმი დამორჩილებას, რაც ამ კანონების ცოდნას, რწმენას, ქცევისა და მოქმედების უნარჩვევებს მოითხოვს. ამ ამოცანათა გადაწყვეტა კი მიიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ბიბლიაზე დაფუძნებული ზნეობრივი აღზრდის გზით, რასაც ამ საღვთო წიგნის მიხედვით, ადრეულ ასაკშივე უნდა ჩაეყაროს საფუძველი და სულ, განუწყვეტელი, მარად განახლების გზით უნდა მიმდინარეობდეს.

ქრისტიანულ მორალში უმთავრესი მცნებაა ღმერთის სიყვარული. იესო ქრისტე ამბობს: „შეიყვარე უფალი შენი ყოველითა გულითა შენითა და ყოველითა სულითა შენითა და ყოველითა გონებითა შენითა და ყოველითა ძალითა შენითა“ (მარკოზი 12:30). „ეს არის პირველი და დიდი მცნება“ (მათე 22:38).

რას ნიშნავს გულით სიყვარული? გულით სიყვარული შინაგანია და წრფელი. ღმერთი თავად სამართლიანია და მას მართალი და პატიოსანი უყვარს, სიცრუე და თვალთმაქცობა მისთვის მიუღებელია, „კაცი მხოლოდ იმას ხედავს, რაც თვალში ხვდება, ხოლო უფალი გულს ხედავს“ (I მეფეთა 16:7) და გულიდან მომდინარე სიყვარულს აფასებს. იგი გმობს ცრუ თაყვანისცემას: „ეს ხალხი პატივს მცემს ბაგეებით, მათი გული კი შორსაა ჩემგან“, „ამაოდ იქცევიან მოწიწებით, ასწავლიან რა მოძღვრებებს, ადამიანურ მცნებებს“ (მარკოზი 7:6, 7).

ღმერთმა თვითონ გულით შეიყვარა წუთისოფელი და თავისი მხოლოდ შობილი ძე მსხვერპლად შესწირა კაცობრიობას გადასარჩენად: „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდ შობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოანე 3:16).

შეიყვარე უფალი „ყოველითა სულითა შენითა“ ნიშნავს „მუდამ ვწირავდეთ ღმერთს ქების მსხვერპლს, ესე იგი, მისი სახელის აღმსარებელ ბაგეთა ნაყოფს“ (ებრაელთა 13:15). ქრისტეს რჯული სულის რჯულია, „ხოლო სულიერი ფიქრები სიცოცხლე და მშვიდობაა“ (რომაელთა 8:6); „ხორციელი ფიქრები ღვთის მტრობაა, ვინაიდან არ ემორჩილება ღვთის რჯულს და არც შეუძლია“. „ამიტომ მათ, რომელნიც ხორციელად ცხოვრობენ, არ ძალუძთ აამონ ღმერთს“ (რომაელთა 8:7, 8). ღმერთი არის სული და მის თაყვანისმცემლები თაყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით (იოანე 4:24).

მესამე მოთხოვნა — შეიყვარე უფალი „ყოვლითა გონებითა შენითა — ნიშნავს ღმერთის ღირსების შეცნობასა და შესაბამისად პატივმიგებას: „შენ ღირსი ხარ, უფალო და ღმერთო ჩვენო, რომ მიიღო დიდება, პატივი და ძალა, ვინაიდან შენ შექმენი ყოველივე და შენი ნებით იყვნენ და შეიქმნენ“ (გამოცხადება 4:11). ღმერთისადმი შეგნებული სიყვარულის აღმძვრელი მისივე შემოქმედებაა, რომელიც ხილულია თავისივე ქმნილებებითა და სიტყვით (ბიბლიით).

რაც შეეხება მეოთხე მოთხოვნას — შეიყვარე უფალი „ყოვლითა ძალითა შენითა“ გულისხმობს ღმერთის ნების პრაქტიკულ შესრულებას შესაძლებლობათა მაქსიმუმის მიხედვით.

სწორედ იესო ქრისტეს ჰქონდა ასეთი სიყვარული ღმერთისადმი და საქმით დაამტკიცა კიდევაც. იგი დაემორჩილა ღვთის ნებას, დამცირდა, ეტანჯა და მოკვდა ნებაყოფლობით დედამიწაზე ცოდვათა გამოსასყიდად.

ამ პირველი და უდიდესი მცნებისადმი სიყვარული და ერთგულება გამოავლინა რუსთაველმა. მისი გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ღვთის სადიდებლით, ლოცვითა და ვედრებით იწყება და ეს სულისკვეთება გასდევს ბოლომდე:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მის მიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.
ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილმდე გასატანისა“.

ღმერთის თვისებების: სიყვარულის, სიბრძნის, სამართლიანობისა და ძლიერების ნივთიერ მტკიცებათა ფაქტებით, აღსაზრდელთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით შეთავაზება ხელს შეუწყობს მსმენელში ღვთისმოშიშობისა და ღვთისმოსაობის განვითარებას, ცოდვებისა და ბოროტმოქმედებებისგან თავშეკავების უნარ-ჩვევათა გამომუშავებას.

მე-17 საუკუნის კლასიკოსმა მეცნიერ-პედაგოგმა იან ამოს კომენსკიმ ზნეობრივი აღზრდა მთლიანად ქრისტიანულ რელიგიას დაუკავშირა. განსაკუთრებით გამოყო მან ზნეობრივ აღზრდაში ღვთისმოსაობა და ღვთისმოშიშობა. მის პედაგოგიურ რეკომენდაციებს რელიგიურ საფუძველზე ზნეობრივი აღზრდის შესახებ თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს.

ქრისტეს რჯულში მეორე უდიდესი მცნებაა — „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მარკოზი 12:31). ამ მცნებასთან დაკავშირებით იესო ქრისტემ თქვა: „ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი. ჩემი მოწაფეები რომ ხართ, იმით გაიგებენ ყველანი თუ სიყვარული გექნებათ ურთიერთ შორის“-ო (იოანე 13:34, 35).

იესო ქრისტემ მოყვასის სიყვარულის კლასიკური მაგალითი გვიჩვენა. მან თავი გასწირა სხვათა გადასარჩენად. იოანეს 15:13-ში წერია: „იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავის სულს სწირავს თავისი მეგობრისთვის“. „თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ გააკეთებთ, რასაც მცნებად გიდებთ — გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (იოანე 15:12, 13, 14, 17).

ჩვენს დროში ძალიან ძნელი გასაგებია და ძნელი მისაღები მცნება მტრის სიყვარულზე — „გიყვარდეს მტერი შენი“. ეს მცნება გამომდინარეობს მტრის სიძულვილთან დაკავშირებით მოსალოდნელი საშიში შედეგების გაცნობიერებიდან, ნათლადაა ნაჩვენები ბიბლიაში თუ რა უბედურების მომტანია ორივე, დაპირისპირებული მხრისათვის; მოცემულია მტრობისა და სიძულვილის საზარელი შედეგები კაცობრიობის ისტორიაში. გაუთაებელი ომები, აურაცხელი მსხვერპლით, მატერიალური ზარალითა და ეკოლოგიური კატასტროფებით ბადებს კითხვას: ნუთუ ამისთვის შეიქმნა ყოველივე, რომ ღმერთმა უყუროს თუ როგორ იტანჯება და კვდება ადამიანი? რა თქმა უნდა არა!

მტრის სიყვარული უდიდესი ნიჭია და მით შესაძლებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უბედურებათა თავიდან დროული აცდენა. ამასთან დაკავშირებით ბრწყინვალე რჩევას იძლევა ჩვენი უფალი იესო ქრისტე: „მე კი გეუბნებით, გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით, რათა იყოთ თქვენი ზეციერი მამის ძენი, ვისაც თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე და წვიმას უგზავნის მართლებსა და უსამართლოებს. ვინაიდან, თუ თქვენ თქვენი მოყვარულები გეყვარებათ, რა იქნება თქვენი საზღაური? განა მებაჟეებიც ასე არ იქცევიან? თუ მხოლოდ თქვენს ძმებს მოიკითხავთ, განსაკუთრებულს რას გააკეთებთ? განა წარმართებიც ასევე არ იქცევიან? მაშ, იყავით სრულყოფილნი, ისევე როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი“ (მათე 6:44-48). თვითონ იესოს „ლერწამს სცემდნენ თავში, აფურთხებდნენ, (მარკოზი 15:19), დასცინოდნენ, ის კი

ღმერთს ეეღრებოდა: „მამაო, მიუტევე ამათ, ვინაიდან არ იციან რას აკეთებენ“ (ლუკა 23:34).

მტრის სიყვარულის ცნებაში მოიაზრება არა გრძნობითი სიყვარული სიახლოვითა და ურთიერთობით სიამოვნების მომგვრელი, არამედ მასში ნაგულისხმევია შეგნებითი სიყვარული (აღგაპე), რომელსაც ახლავს მოთმინება, თავშეკავება და სულგრძელობა კონფლიქტის ჩამცხრომელ-გამანელებელი. ბიბლია გვასწავლის, რომ თუ ორი მოჩხუბარიდან ერთი თავს იკავებს ადეკვატური რეაქციისაგან და ცდილობს მოპირისპირეს დამშვიდებას, კონტრასტს უმალვე მოჰყავს აზრზე აღელვებული და უნელდება აღგზნება: „მშვიდი პასუხი გულისწყრომას აცხრობს, საწყენი სიტყვა კი რისხვას იწვევს“ (იგავნი სოლომონისა 15:1). ან კიდევ: „ჩვილთა და ძუძუმწოვართა ბაგეებიდან გამართე ხოტბა, რათა დაგედუმებინა შენი მტერი და შურისმგებელი“. (ფსალმ. 8:3).

ამ მცნებას „გიყვარდეს მტერი შენი“ საფუძვლად უდევს იმის შეგნება, რომ განკითხვა, შურისგება, მსჯავრდება ყოვლისშემოქმედის ფუნქციაა და არა — უბრალო მოკვდავთა: „ჩემია — ამბობს უფალი — შურისგება და მე მივაგებ“ (რომაელთა 12:19). ამასთანავე ბიბლია იტყობინება, რომ „იგი (ღმერთი — გ. ხ.) ყოველს თავისი საქმეების მიხედვით მიუზღავს მისი მართლმსაჯულების გამოცხადების დღეს“ (რომაელთა 2:5, 6).

საღვთო წიგნში მრავალგზის ვხვდებით მტრობის თავიდან ასაცილებელ სასარგებლო რჩევებს. რომაელთა 2:1, 3-ში წერია: „შენ კი ადამიანო, რომელიც განიკითხავ ამის ჩამდენთ და თვითონ იმასვე აკეთებ, ნუთუ გგონია თავი დააღწიო ღვთის სამჯავროს?“ ამაოდ! „ამიტომ ნუ განსჯით უჟამოდ, ვიდრე მოვიდოდეს უფალი, რომელიც გაანათებს ბნელში დამალულს და გამოაჩენს გულის ზრახვებს და მაშინ ექნება თითოეულს ქება ღვთისგან“ (I კორინთელთა 4:5).

მტრობა და ავგულობა თვით მათ მოუტანთ უბედურებას: „მისი ავგულობა მის თავზე დატრიალდება და მისი ბოროტება მის თხემზე დაეცემა“. (ფსალმ. 7:17).

მართლაც ძალზე მნიშვნელოვანია მტრის სიყვარულის მცნება მშვიდობის, ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის შესანარჩუნებლად.

ზემოთ აღნიშნულ მცნებას „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ — უკავშირდება აგრეთვე სხვა მცნებებიც. როგორიცაა: „არ იმრუშო, არ მოკლა, არ მოიპარო, არ იყო ცრუ მოწმე, არ ინდომო სხვისი ცოლი“ და სხვა რამ მცნება შედის ამ სიტყვაში: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (რომაელთა 13:9).

მრუშობა და მეძავეობა განსაკუთრებული გმობის საგანია ბიბლიაში. მათეს 5:27-ში წერია: „გსმენიათ, რომ თქმულა: არ იმრუშო... შემდეგ ებრაელთა 13:4-ში გრძელდება: „მეძავებსა და მრუშებს კი ღმერთი განიკითხავს“. მრუშობა და მეძავეობა — ქორწინების გარეშე უკანონო სექსუალური კავშირები ლამის ნორმად იქცეს დღეს. მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდი უსიამოვნებებისა და შეიძლება ითქვას, ტრაგიკული სიტუაციების წყაროა, მაინც დიდი უმეტესობა ცივილიზებულობის პრეტენზიით მას მისდევს. მრუშობა-მეძავეობა კინოფილმების, ლიტერატურული და თეატრალური ნაწარმოებების, ზოგიერთი გაზეთებისა და ჟურნალების საპატიო თემად იქცა.

აპატიე მათ, უფალო!

მრუშობა-მეძავეობას თან სდევს ოჯახის დანგრევა. ამიტომ ბიბლია გვასწავლის: „ყველას ცოლ-ქმრობა იყოს პატიოსანი და სარეცელი შეუბილწავი“ (ებრაელთა 13:4). ცოლ-ქმრული ურთიერთობის მთავარი ფაქტორები სიყვარული, ურთიერთპატივისცემა და ერთგულებაა. მრუშობა, რომელი მხრიდანაც არ უნდა იყოს, ღმერთის თვალში ღალატია, ამიტომ განქორწინების ერთადერთ მიზეზად მრუშობას აცხადებს.

მრუშობის გარეშე „ვინც თავის ცოლს გაუშვებს და სხვას შეირთავს, იგი მრუშობს მის მიმართ“. ასევე „თუ ცოლი გაეყრება ქმარს და სხვას მისთხოვდება, მრუშობს“ (მარკოზი 10:11, 12). „ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, მან უკვე იმრუშა მასთან თავის გულში“.

ამგვარი მკაცრი შეფასება მისცა იესო ქრისტემ უკანონო სექსუალური კავშირებისაგან თავშეკავებლობას, რადგან მრუშობა-მეძავეობას იმდენი უბედურება მოსდევს, რომ მით მიღებული ხორციელი სიამოვნება ამ უბედურებასთან შედარებით უმცირესია. იგი იწვევს არასასურველ ორსულობას, მარტოხელა დედობას, უპატრონო ბავშვთა მომრავლებას, აბორტებს, რომელსაც მოსდევს ჯანმრთელობის შერყევა და არც ისე იშვიათად სიკვდილიანობაც კი; მძიმე ავადმყოფობა, შიდსით დაავადება და სხვა მრავალი პრობლემა.

სხვადასხვა სამედიცინო საშუალებებით შეიძლება თავიდან აცილებულ იქნეს ორსულობა და ავადმყოფობა, მაგრამ სულიერი ტრამვა გარდაუვალია. ავტორიტეტის შელახვა, გაწბილებისა და შეურაცხყოფილობის გრძნობა პიროვნული არარაობისა და თვითსიძულვილის შეგრძნების წყაროდ იქცევა.

ამიტომ გვირჩევს ბიბლია: „გაექეცით სიძვას, ყოველი ცოდვა, რომელსაც ადამიანი სჩადის, სხეულის გარეშეა, ხოლო მეძავი საკუ-

თარი სხეულის წინააღმდეგ ცოდავს“ (I კორინთელთა 6:18); „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ქრისტეს ასოებია? განა ავიღებ ქრისტეს ასოებს და მეძავის ასოებად ვაქცევ? არამც და არამც!“ (I კორინთელთა 6:15). „ანდა ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა, რომელიც ღვთისგან გაქვთ, და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით?“ „ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი (ქრისტეს სისხლით — გ. ხ.), ამიტომ ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულებით და თქვენი სულებით, რომლებიც ღვთისაა“ (I კორინთელთა 6:19, 20).

კაცობრიობის უდიდესი სასჯელი სიკვდილია, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო ცოდვის საზღაურად. ეს ღვთის განაჩენია და მისი შეჩერება ადამიანს არ ძალუძს. მაგრამ თვით ადამიანს არა აქვს არანაირი უფლება არც საკუთარი და არც სხვისი სიცოცხლის ხელყოფისა. კაცობრიობის ისტორიაში პირველი მკვლელი აღმოჩნდა კაენი. მან შურის გამო მოკლა საკუთარი ძმა — აბელი. ამ აქტის გამო ღმერთმა იგი დასაჯა; დევნილი, დაწყეველილი და მიუსაფარი გახადა ქვეყანაზე. უთხრა: „ამიერიდან დაწყეველილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან. დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს თავის ძალას. დევნილი და მიუსაფარი შეიქმნები ამ ქვეყანაზე“ (დაბადება 4:11, 12). უფალმა ნიშანი დაადო კაენს, რომ იგი სხვას არ მოეკლა. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ შურისძიება და განკითხვა ადამიანის უფლებებში არ შედის, იგი მხოლოდ ღვთის პრეროგატივაა. ამიტომ დაუდო უფალმა კაცობრიობას მცნება: „არა კლა! ვინც მოკლავს სასჯელის თანამდები იქნება“ (მათე 5:21) არა კაცისაგან, არამედ ღვთისაგან.

მცნება „არა კლა“ შედის მცნებაში „გიყვარდეს მოყვასი შენი“, რომელსაც საფუძვლად ჰუმანიზმი — კაცთმოყვარეობა უდევს. კაცობრიობისათვის დაწერილ ამ მცნებას ყველაზე უფრო ქრისტიანებმა უღალატეს. მათ დაივიწყეს ქრისტეს რჯული და თავიანთი უკეთური საქმიანობით კაცობრიობის ისტორიაში მრავალი სამარცხვინო ფურცელი ჩაწერეს. ბიბლიური გაფრთხილება: „ღვთისა გეშინოდეს და დაიცავი მცნებანი მისნი, რადგან ეს არის კაცის თავი და თავი“ (ეკლესიასტე 12:13), ყურად არ იღეს. სახარება მწიგნობრებმა თავიანთი მოსაზრებების, არაბიბლიური კანონების შეტანით დაამახინჯეს. ამასთან დაკავშირებით იესო ქრისტემ თავისი გულისწყრომა ასე გამოხატა: „თქვენ რატომ არღვევთ ღვთის მცნებას თქვენი ჩვეულების გამო?“ (მათე 15:3); ან კიდევ: „...ადამიანთა განკარგულებებს მოძღვრების მსგავსად ასწავლიანო“ (მათე 15:9).

ჯვაროსნული ლაშქრობა, მეცნიერთა მიმართ (გალილეო, ჯორდანო ბრუნო და სხვ.) გატარებული ინკვიზიციები, ნაპოლეონის ომი, ჰიტლერის ომი, რუსეთის იმპერიული რეჟიმი, რუსეთ-საქართველოს და რუსეთ-ჩეჩნეთის დამანგრეველი ომები და მრავალი სხვა უბედურებანი, სამწუხაროდ, ქრისტიანულ სამყაროსთანაა დაკავშირებული. ბიბლია იტყობინება, რომ „ყველა საქმეს სამჯაროზე გამოიტანს ღმერთი, ყოველივე დაფარულს, კეთილს თუ ბოროტს" (ეკლესიასტე 12:14). „და ის სიმართლით განსჯის მსოფლიოს, გაასამართლებს ხალხებს სისწორით" (ფსალმ. 9:9) და „იქნება უფალი მეფედ მთელს ქვეყანაზე" (ზაქარია წინასწარმეტყველი 14:9). ბიბლიის მიხედვით კაცის მკვლელმა უკვე გამოუტანა თავის თავს განაჩენი. იგი აღდგომას არ ექვემდებარება. არის ცოდვა პატიებას რომ ექვემდებარება და ცოდვა მიუტევებელი.

ბიბლიური მცნებაც „არ იქურდო" მოყვასის სიყვარულის მცნებასთანაა დაკავშირებული. ქურდობა ეშმაკისეულია. ამიტომ ბიბლია გვირჩევს, „ადგილი არ მისცეთ ეშმაკს", „ვინც იპარავდა, ნუღარ მოიპარავს. უკეთესია იშრომოს და თავისი ხელით აკეთოს კეთილი, რათა ჰქონდეს გაჭირვებულისათვის მისაცემად" (ეფესელთა 4:28).

ჩვენში დამკვიდრებულია ტრადიციული გამოთქმები: ქურდი ღმერთისგან დალოცვილია; წიგნის ქურდი ქურდი არ არისო და მისთანანი. ათი ქრისტიანული მცნებიდან ერთ-ერთი მცნება ქურდობის სისაძაგლეს ეხება. აქ პირდაპირაა ნათქვამია: „არ იქურდო". მიუხედავად ამისა, შეთხზულია ხელოვნურად სიცრუე, თითქოს ღმერთის მიერ ქურდი დალოცვილი იყოს და ქურდობა მოწონებული.

ქურდობის უმაღლეს ფორმას კორუფცია წარმოადგენს, რომელთაც ერთი სოციალური საფუძველი გააჩნიათ. კორუფციამ მოიცვა საზოგადოების ყველა სფერო: მართვის ორგანოები, მართლმსაჯულება, განათლება, მეცნიერება, ეკონომიკა-ბიზნესი, სპორტი, მედიცინა. მართალია, ქურდობა-მექრთამეობა საიდუმლოდ ხდება, მაგრამ მისი შედეგი თვალსაჩინოა.

ბიბლიიდან ჩანს, რომ ქურდობა და მექრთამეობა ღმერთის თვალში დიდ ცოდვად ითვლება. რადგან ამ ანტისოციალურ, ანტიხალხურ მოვლენებს მუდამ თან სდევს ფსიქიკურ-ნერვიული დაძაბულობა, უსამართლობა, უნდობლობა, სიყალბე, პიროვნული და ეროვნული ღირსების შელახვა და მრავალი სულიერ-მორალური და მატერიალური ზიანი. ამასთან დაკავშირებით ბიბლიაში წერია: „ქრთამს ნუ აიღებ, რადგან ქრთამი აბრმავებს თვალხილულს და ასხვაფერებს მართალთა საქმეებს" (გამოსვლა 23:8). შემდეგ, ვისწავლოთ იმით დაკმაყოფილება, რაცა გვაქვს" (ფილი-

პელთა 4:11). „მუქთად არავისი პური არ ვჭამოთ, ვიყოთ შრომასა და გარჯაში, რომ სხვას ტვირთად არ დავაწვეთ“. „ვისაც შრომა არ ხურს, ის ნუღარც ჭამს“ (II თესალონიკელთა 3:8-10). ასეთია ღვთიური განაჩენი მუქთახორებისა და უსაქმურების მიმართ.

ყოვლისშემქნელის კანონების უგულებელყოფამ მწვანე გზა მისცა გულისთქმებს, ხორცზრახვებს და ღვთისხატად შექმნილი ადამიანი სატანა-ეშმაკის ტყვეობაში მოაქცია.

განათლებამაც (განათლების სისტემა) დიდად შესცოდა ამა ქვეყნისა ძლიერთათვის გუნდრუკის მკმეველთა აღზრდით; ბიბლიური ჭეშმარიტების შეცნობისგან გვერდის ავლით.

ცრუმოწმეობა, ცილისწამება სასტიკადაა დაგმობილი ბიბლიაში. სიცრუე პირველად სატანა-ეშმაკმა გამოიყენა ადამიანთა პირველი წყვილის შესაცდენად. მან ცილი დასწამა ღმერთს სიცრუეში. თითქოს უზენაესი რაღაც დიდებულს უმალავდა ადამსა და ევას, რამაც დიდი უბედურება მოუტანა კაცობრიობას.

მრავალმხრივი გაფრთხილებებია ბიბლიაში სიცრუესთან დაკავშირებით: „ერიდეთ ცრუ წინასწარმეტყველებს, რომლებიც ცხვრის სამოსით მოდიან თქვენთან, შინაგანად კი მტაცებელი მგლები არიან“ (მათე 7:15). ასევე: „გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოთ“ (მათე 24:4); „მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი აღდგება და ბევრს შეაცდენს“ (მათე 24:11). იქვეა მოცემული ცრუ წინასწარმეტყველთა ამოსაცნობი ნიშანი: „მათი ნაყოფით იცნობთ მათ. განა ეკლიდან ყურძენს კრეფენ, ან ბირკავიდან ლეღვს?“ (მათე 7:16). ბიბლია თავის მორჩილს ასწავლის სატანა-ეშმაკის ხრიკებისგან თავდაღწევის გზას, რომელიც ცდილობს „ცბიერებითა და ცდუნების მზაკვრული ხელოვნებით“ (ეფესელთა 4:14) თავის მსხვერპლს დაუბნელოს გონება.

სიცრუეს კაცობრიობა იყენებს სხვისი დისკრედიტაციის, შეცდენის, გაწბილების, პირადი ამბიციების დაკმაყოფილების მიზნით. უამრავი მაგალითებია იმისა, რომ პატიოსნება, სიმართლე ტანჯვის მიზეზი ხდება ხოლმე, მაგრამ საზღაური უდიდესია: ზნეობრივი სიწმინდე, მორალური სიმაღლე, სიტყვის უფლება და, რაც მთავარია, ღვთის კეთილგანწყობა. „სიცრუე ადამიანში ბოროტი ლაქაა, უმეცრებს მუდამ პირზე აკერიათ“ (სიბრძ. ზირაქისა 20:24). ხალხმა თავისი გამოცდილებით გააკეთა დასკვნა: ტყუილს მოკლე ფეხები აქვს-ო. ამასთან დაკავშირებით ბიბლია გვამცნობს: „არაფერია დაფარული. რომელიც არ გაცხადდება, და საიდუმლო, რომელიც არ შეიტყობა“ (მათე 10:26). სიცრუის მწარე შედეგებმა ათქ-

შევინა რუსთაველს: „სიცრუე და ორპირობა აენებს ხორცსა, მერმე სულსა“. „ამიტომ განიშორეთ სიცრუე და თვითეულმა თქვენგანმა თავის მოყვასს ჭეშმარიტება ელაპარაკოს“ (ეფესელთა 4:25), რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა“ (შ. რუსთაველი). ვინაიდან „ცრუ კაცს თავისი საქციელი არცხვენს და სირცხვილი მისი მასთანაა საუკუნოდ“ (სიბრძნე ზირაქისა 20:26).

თხოვნაა პირდაპირ ბიბლიაში სიცრუისგან თავშეკავების შესახებ: „ნუ იცრუებთ ერთიმეორის მიმართ, მოერიდეთ ბილწსიტყვაობას. ბილწსიტყვაობა, ლაქლაქი და დაცინვა არ შეგფერით“ (ეფესელთა 5:4). სიცრუისა და ცილისწამების საზარელი მაგალითებია ბიბლიაში. ერთერთია სტეფანეს ჩაქოლვის ამბავი, თითქოს იგი უარყოფდა ღმერთს, მოსეს რჯულს, როცა მის სიბრძნეს ვერ დაუპირისპირდნენ, „მაშინ შეაგულიანეს კაცები და ათქმევინეს: „ჩვენ გავიგონეთ როგორ ლაპარაკობდა იგი მოსესა და ღვთის საგმობ სიტყვებს“-ო „წარმოადგინეს ცრუ მოწმენი, რომლებიც ამბობდნენ: ეს კაცი ღღენიადაგ ამ წმიდა ადგილისა და რჯულის საწინააღმდეგო სიტყვებს ლაპარაკობსო“ (საქმეები 6:11, 13).

განკითხვასთან დაკავშირებით ბიბლია გვამცნობს: „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხოთ, ვინაიდან რომელი განკითხვითაც განიკითხავთ და რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვებათ თქვენ“ (მათე 7:1, 2); „მსჯავრს ნუ დაადებთ და არ დაგედებათ მსჯავრი: მიუტევეთ და მოგეტევებათ“ (ლუკა 6:37). რადგან არის ღვთის სამსჯავრო, სადაც „ყოველს თავისი საქმეების მიხედვით მიუზღავს“ (რომაელთა 2:6), ასევე მათეს 12:36, 37-ე მუხლებში ვკითხულობთ: „...ყოველი ფუჭი სიტყვისათვის, რომელსაც იტყვიან ადამიანები, პასუხს აგებენ განკითხვის ღღეს, ვინაიდან შენი სიტყვებით გამართლდები და შენივე სიტყვებით გამტყუნდები“. ან კიდევ: „მოვა კაცის ძე თავისი მამის დიდებით, თავის ანგელოზებთან ერთად, და მაშინ მიუზღავს თითოეულ კაცს მისი ნამოქმედარის მიხედვით“ (მათე 16;27). განკითხვა რომ უფლის საქმეა და არა კაცისა, ამის შესახებ ვგებულობთ აგრეთვე ფსალმუნის 61:13-ში, რომაელთა 2:6-11-ში; იგავნის 24:12.16-სა და ა. შ. ბიბლიის სხვადასხვა ადგილებში.

განკითხვა თუ რატომ არ არის კაცის საქმე, ამის პასუხსაც ვპოულობთ ისევ ბიბლიაში: „თავს ვერ გაიმართლებ შენ, ადამიანო, ყოვლის გამკითხველო, რადგან რის გამოც სხვას განიკითხავ, შენს თავს სდებ მსჯავრს, ვინაიდან სხვისა განმკითხველი იმასვე სჩადიხარ“. ან კიდევ: „შენ კი, ადამიანო, რომელიც განიკითხავ ამის ჩამდენთ და თვითონ

იმასვე აკეთებ, ნუთუ გგონია თავი დააღწიო ღვთის სამსჯავროს?“ (რომაელთა 2:1,3).

იესო ქრისტემ მართლმსაჯულების ნათელი მაგალითები დაგვიტოვა. როცა მწიგნობრებმა და ფარისეველებმა მრუში ქალის გასამართლებლად (ჩაქოლვა) მოითხოვეს, იესომ უთხრა მათ: „ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად მან ესროლოს ქვაო!“ ამის გაგონებაზე, სინდისმხილებულნი მაშინათვე გაიკრიფნენ. მარტო დარჩენილ ქალს ქრისტემ ჰკითხა: „დედაკაცო. სად არიან შენი ბრალმდებელნი? არავინ დაგდო მსჯავრი? — „არავინ, უფალო!“. იესომ უთხრა: „არც მე გდებ მსჯავრს წადი და ამიერიდან ნუღარ სცოდავ“-ო (იოანე 8:3-11).

შური და სიხარბე სატანა-ეშმაკის მიერ აღძრული გულისთქმებია, რომელიც ნთქავს კეთილ საქმეებს, არღვევს ჰარმონიასა და წონასწორობას, ძირს უთხრის მშვიდობასა და ბედნიერებას. სწორედ შურმა და სიხარბემ ააცდინა კაცობრიობა ჭეშმარიტების გზას და ცოდვისა და სიკვდილის მონობას დაუქვემდებარა კაცთმოდგმა. ბიბლია შურისა და სიხარბის უამრავ შემზარავ მაგალითებს შეიცავს ჩვენთვის სანიმუშოდ და სასწავლებლად.

შურმა და სიხარბემ აღძრა ანგელოზი ყოვლისშემოქმედის წინააღმდეგ. შურმა და სიხარბემ აქცია სატანა — ეშმაკად (მოწინააღმდეგე და ცილისმწამებელი) და აქედან მიეცა დასაბამი ყოველგვარ ბოროტებას. შურმა და სიხარბემ აღძრა კაენიც ძმის — აბელის წინააღმდეგ და პირველი მკვლელი გახადა კაცობრიობის ისტორიაში.

შურისა და სიხარბის მაგალითია ნოეს ბოროტი შვილიშვილი ნებროთი, რომელმაც დაივიწყა მხსნელი ღმერთი და თვითგანდიდების მიზნით იწყო ღვთის საწინააღმდეგო მოქმედებები — ბაბილონის კოშკის აგება. მაგრამ მისი ბოროტი ოცნება დაიმსხვრა. ბაბილონი დაინგრა.

ძმებმა (იაკობის შვილებმა) შურისა და სიხარბის გამო შეიძულეს უმცროსი ძმა იოსები. იგი ოც ვერცხლად მიჰყიდეს ისმაელიანებს. მაგრამ ბოლოს იოსების საპატრონო ხდებიან ბოროტი ძმები.

დალილამ სიხარბის გამო ჩაიდინა ვერაგობა თავის სატრფოსთან. მას ფილისტიმელები შეჰპირდნენ დიდძალ ვერცხლს, თუ ის გაიგებდა სამსონის ძლიერების საიდუმლოებას. სამსონმა საყვარელ ქალს გაუმჟღავნა, რომ თმებში იყო მისი ძალა. დალილას დახმარებით მტრებმა მძინარე სამსონს თმები შეაჭრეს და დააუძლურეს, მერე შეიპყრეს, თვალები დასთხარეს და მონად აქციეს. მაგრამ სიხარბეს, როგორც წესი, ყოველთვის ცუდი შედეგი მოსდევს. ამ ვერაგობას სამი ათასი ფილისტიმე-

ლი შეეწირა სამსონის გონებაგამჭრიახობის წყალობით. თუ როგორ? ამის პასუხი წერია ბიბლიაში, მსაჯულის მე-16-ე თავში.

შურმა და სიხარბემ გააბოროტა ჰეროდე. მან მომავალი მესიის იესო ქრისტეს თავიდან მოშორების მიზნით მისი დაღუპვა გადაწყვიტა. რაკი ეს ჩვილი ვერ იპოვა, ორ წლამდე მამრობითი სქესის ბავშვები სულ ამოხოცა. თავის დაბადების დღეს იოანე ნათლისმცემელს თავი მოჰკვეთა. მახვილით მოაკელევინა იაკობიც. როცა პეტრემ უფლის წყალობით ციხეს თავი დააღწია, ჰეროდემ ციხისმცველები ყველა ამოახოცვინა. მაშინ, როცა ჰეროდე თავის მეფობის აპოგეაში იყო და ხალხი ღაღადებდა მასზე: „ღვთის ხმაა და არა კაცისა"-ო, „უცბად ანგელოზმა დასცა იგი, რადგან არ მიაგო დიდება ღმერთს, და მატლებისგან შეჭმულმა სული განუტევა" (საქმეები 12: 22, 23).

გაუგონარი შური და სიხარბე გამოიჩინა იუდა ისკარიოტელმა 30 ვერცხლის გამო. მან სიხარბით გასცა ღვთის ძე — იესო ქრისტე, მისი მოძღვარი და მეგობარი და მიჰგვარა მტერს. ბოლოს მიხვდა იუდა თუ რა დიდი ცოდვა ჩაიდინა და ინანა. ის 30 ვერცხლი უკან მიუბრუნა მღვდელმთავრებს და უხუცესებს უთხრა: „შევცოდე, მართალი სისხლი რომ გავეცი". ...„დაყარა ვერცხლი ტაძარში, გამოვიდა, წავიდა და თავი ჩამოიხრჩო" (მათე 27: 3, 4, 5).

გაუგონარ სისაძაგლეს სჩადიოდნენ მღვდელმთავრები, მწიგნობრები, ფარისევლები: „მღვდელმთავარი და ყველა მასთან მყოფი, რომლებიც სადუკეველთა მწვალებლობას ეკუთვნოდნენ. აღდგნენ და შურით აღივსენ. დაადეს ხელი მოციქულებს და საჯარო საპატიმროში ჩასხეს" (საქმეები 5: 17, 18).

როგორც ვხედავთ, შური და სიხარბე კაცობრიობის დასაწყისიდან იღებს სათავეს და იქიდან მოყოლებული დღემდე მძიმე ტვირთად აწვება პიროვნებას, საზოგადოებას, ერს, მთელ კაცობრიობას. სრულდება წინასწარმეტყველება: „ადამიანები იქნებიან თავმოყვარენი, ვერცხლის მოყვარენი, ამაყნი, ამპარტავანნი, მგმობელნი"... და ა. შ. დღეს აშკარაა ადამიანის დაუოკებელი ლტოლვა მატერიალური კეთილდღეობისაკენ. ადამიანმა დაკარგა ურწმუნოების გამო თავისი ღვთიური დანიშნულება — იყოს ღირსეული პიროვნება და თვითმიზნად გაიხადა შოვნა, დაწინაურება, პირველობა, სხვაზე ბატონობა. მიზნის მისაღწევად არ თაკილობს არანაირ საშუალებას, ოღონდ იცხოვროს სხვაზე უკეთესად. ზნეობის ეგიდით სჩადის სისაძაგლეს. არ ეშინია ღმერთის, არ რცხვენია საზოგადოების.

შური და სიხარბე ყოველგვარი სისაძაგლის დედაა. ამიტომ გმობს ღმერთი მას, იძლევა გაფრთხილებას: „ერიდეთ მწიგნობრებს, რომლებსაც სურთ გრძელი სამოსლით სიარული და მოედნებზე მოკითხვანი, სინაგოგებში წინა სავარძლები და წინა ადგილები ნადიმებზე“ (ლუკა 20: 46). თანამედროვე ტერმინებით რომ ვთქვათ: ერიდეთ ცრუ მოძღვრების მიმდევრებს, ურწმუნოებს, იმპორტულ კოსტუმებში გამოწყობილებს მერსედესებით რომ დაქრიან და მორჩილებასა და გუნდრუკის კმევას რომ მოითხოვენ, ხელისუფლებაში საავარძლისთვის რომ ერთმანეთს ხოცავენ და ძვირადღირებულ რესტორნებში ქეიფობენ ერისა და ქვეყნის ღირსების ფასად.

ბიბლია გვირჩევს: განიშორეო ძველი, „მოაკვდინეო თქვენი მიწიერი ასოები: სიძვა, უწმიდურობა, ვნება, ბოროტი გულისთქმა და ანგარება... რისხვა, მძვინვარება, ბოროტება, გმობა, თქვენი ბაგეების ბილწსიტყვაობა“ (კოლასელთა 3: 5, 8) და ახალი კაცი შეიმოსეთ.

ბიბლიაში გათვალისწინებულია ყოველივე, რაც პიროვნების ბედნიერებასთან, თუ უბედურებასთანაა დაკავშირებული. ადამიანის გონებას არ მოუვა ისეთი კითხვა, რომლის ამომწურავი პასუხი არ იყოს ამ საღვთო წიგნში, რაც ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ ღმერთმა თავისი უნიკალური ქმნილება — ადამიანი უზრუნველყო არა მარტო შემეცნებისა და შეფასების უნარიო, ამასთანავე ხელთ მისცა აზროვნებისა და საქმიანობის, ქცევისა და მოქმედების ზუსტი ინსტრუქციები, რომ უშეცდომოდ, ბედნიერად და ღირსეულად იცხოვროს.

მასში გათვალისწინებულია აგრეთვე ხელოვნური პრობლემების შემქმნელი ისეთი ნივთიერებანი, როგორიცაა ალკოჰოლური სასმელები, მათი სწორად გამოყენებისათვის საჭირო — სასარგებლო რჩევებიც.

ალკოჰოლური სასმელების მიღებასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული შეხედულებები. საქართველოში იგი ოდითგანვე ეროვნული კულტურის შემადგენელ ნაწილად, სტუმარ-მასპინძლობის ხარისხის მაჩვენებლად ითვლება. ვაზის კულტის შექმნას ჩვენში კაცთმოყვარეობა უდევს საფუძვლად. ვაზი და გლეხი სინონიმებად აღიქმება ქართულ ცნობიერებაში. სიმღერაში „შენ ხარ ვენახი“ ქართველი კაცის განსაკუთრებული დამოკიდებულებაა გამოხატული ამ უძველესი და უმშვენიერესი პროდუქტისადმი (პირველად ნოე დათვრა ყურძნის წვენით).

ბიბლიის მიხედვით ალკოჰოლურ სასმელებს მშვიდობიანი, სასიამოვნო და სასარგებლო მისია აკისრია. „და ღვინომ გაამხიარულოს გული კაცის, გააბრწყინოს სახე საცხებელზე მეტად და პურმა შეამტკიცოს გული კაცისა“ (ფსალმ. 103: 15). ვაზთან დაკავშირებით ასეთი ლამა-

ზი იგავია ჩაწერილი ბიბლიაში: „უთხრეს ხეებმა ვაზს: მოდი, შენ იმეფე ჩვენზე. ვაზმა უთხრა: „დავთმო ჩემი წვენი, ღმერთთათვის და კაცთათვის შვების მომგვრელი, და ხეებს გადავყვე?“ (მსაჯულნი 9: 12,13).

„სამხიარულოდ იმართება პურობა, ღვინო სიხარულით ავსებს სიცოცხლეს“ (ეკლესიასტე 10: 19); „მიეცი ლუდი გაუბედურებულს და ღვინო სულგამწარებულს... შესვას და დაივიწყოს თავისი სიღარიბე და თავისი სატანჯველი აღარ გაიხსენოს“ (იგავნი სოლომონისა 31: 6, 7).

საღვთო წერილი იტყობინება აგრეთვე ღვინის როგორც ემოციურ-ფსიქოლოგიური, ასევე მისი სამედიცინო დანიშნულების შესახებაც: კაცთა სიცოცხლისათვის ღვინო საჭიროა, თუკი მას ზომიერად შესვამენ. რა არის სიცოცხლე ღვინის გარეშე? იგი ხომ კაცთა სასიხარულოდ შეიქმნა. გულის სიხარული და სულის შვებაა ზომიერად და დროის შესაფერისად შესმული“ (სიბრძნე ზირაქისა 31: 27. 28). I ტიმოთეს 5: 23-ე მუხლში ასეთი დარიგებაა: „ნუღა სვამ მარტო წყალს, ცოტა ღვინოც იხმარე შენი კუჭისა და შენი ხშირი უძლურობის გამო“.

ბიბლიის მიხედვით, ღვინო ჭრილობების მოსაშუშებლადაც გამოიყენებოდა. ლუკას 10: 34-ში სწორედ იმაზეა საუბარი ყაჩაღებისაგან ნაცემი მგზავრი სამარისიელმა თუ როგორ მოაბრუნა ღვინოთი: „მივიდა მასთან, ჭრილობები შეუხვია, ზეთი და ღვინო დაასხა, შესვა თავის პირუტყვზე, მიიყვანა სასტუმროში და იზრუნა მასზე“.

იესო ქრისტემ ვაზი და ღვინო სიწმინდისა და სიბრძნის სიმბოლოებად გამოიყენა. მან თქვა: „მე ვაზი ვარ, თქვენ კი — ლერწმები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი ბევრ ნაყოფს ისხამს, რადგან უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ“ (იოანე 15; 5). ღვინოს განსაკუთრებული მისია დააკისრა უფალმა: „აიღო სასმისი, მადლი შესწირა, მისცა მათ და უთხრა: „ყველამ შესვით აქედან, ვინაიდან ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმის მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად“ (მათე 26: 27, 28). „ამას აკეთებდეთ ჩემს მოსაგონრად, რამდენჯერაც სვამდეთ“ (I კორინთელთა 11:25). „მე გეუბნებით: ამიერიდან აღარ შევსვამ ამ ვაზის ნაყოფისაგან იმ დღემდე, როცა თქვენთან ერთად შევსვამ ახალს მამაჩემის სასუფეველში“ (მათე 26:29).

ქრისტეს ამ ანდერძს მიჰყვებიან ჭეშმარიტი ქრისტიანები, როცა წელიწადში ერთხელ, 14 ნისანს აღნიშნავენ „უფლის სერობას“ უფუარი პურითა და წითელი ღვინოთი სავსე ჭიქით იესო ქრისტეს მიერ კაცთამოდგმის გადასარჩენად დაღვრილი სისხლის გასახსენებლად. ვინც აღიარებს და აფასებს ამ მსხვერპლს, ის ღვინოს ბოროტად არ გამოი-

ყენებს, რადგან იცის, რომ „ვინც უღირსად ჭამს და სვამს, თავისი თავის დაგმობას ჭამს და სვამს“ (I კორინთელთა 11:29).

ალკოჰოლური სასმელების სიკეთესთან ერთად ბიბლია მის უარყოფით მხარეებზეც მიუთითებს. ალკოჰოლიზმის შედეგი მისი გამოყენების წესებსა და კულტურაზეა დამოკიდებული. გადაჭარბებულ სმას მოსდევს თვითკონტროლისა და სწორი განსჯის უნარის დაქვეითება, ფიზიკური ღაშავება, სიკვდილიც კი, ურთიერთობების გაფუჭება, ავტორიტეტის შელახვა. ეკონომიური ზიანი და მრავალი სხვა უსიამოვნებანი.

განსაკუთრებით მაღალი რანგის პირებმა, რომლებსაც ხალხის ბედი აბარიათ, თავი უნდა შეიკავონ სმისაგან, რომ უკანონობის მიზეზი არ გახდნენ: „არა ხამს, მეფეთათვის ღვინის სმა და არც მთავართათვის თაფლუჭის სმა“. თორემ დალევენ და დაივიწყებენ კანონს და ყველა დაჩაგრულის სამართალს შეცვლიან“ (იგავნი სოლომონისა 31: 4,5).

სოლომონ ბრძენი ღვინის ბოროტად გამოყენების მწვავე შედეგებზე წერს: „ვინ იხრავს? ვინ კვნესის? ვინ დაობს? ვინ ჩივის? ვის აქვს უმიზეზოდ ჭრილობები? ვისა აქვს ჩაწითლებული თვალები?“ წამოჭრილ კითხვებს სოლომონი თვითონვე პასუხობს: „ვინც ღვინოს გვიანამდე უხის, ვინც გაწზავებული ღვინის საძებნად დადის“.

სმით გამოწვეული ხელოვნური პრობლემების თავიდან აცილების მიზნით სოლომონი მსმელებს მიმართავს ასე: „ნუ დახარბდები ღვინის სიწითლეზე, ფიალაში რომ ნაპერწკლებს ისვრის და მორაკრაკებს“. იგი მაცდუნებელია: „ბოლოს გველივით კბენს და ასპიტივით გესლავს. შენს თვალებს უცნაურობანი მოელანდება და შენი გული უკუღმართად ილაპარაკებს. შუაგულ ზღვაში მჭინარესავით იქნები, ანძის წვერზე მძინარესავით. იტყვი, მცემდნენ და არ მტკიოდაო, მირტყამდნენ და ვერ ვიგებდიო“ (იგავნი სოლომონისა 23:29-35). ან კიდევ: „სიმთვრალე აშმაგებს ბრიყვს თავის საზიანოდ, ართმევს ძალას და ჭრილობებს აყენებს“ (სიბრძნე ზირაქისა 31:30).

ალკოჰოლიზმის მავნებლობაზე არაერთგზის მიუთითებს ბიბლია — ქრისტეს რჯულში უფრო მკაცრადაა ყურადღება გამახვილებული სიმთვრალესა და ღრეობაზე, დაგმობილია ლოთობა, რადგან იგი ადამიანს განსჯის უნარს უკარგავს. სმისგან სიფხიზლემოდუნებულებს იქნებ უეცრად უწიოთ განკითხვის დღემ და დაიღუპონ: „გაფრთხილდით, არ დამძიმდეს თქვენი გული ღრეობით, ლოთობითა და სიცოცხლეზე ზრუნვით, და იმ დღემ არ გიწიოთ მოულოდნელად. ...ვინაიდან ის, როგორც მახე, დაეცემა ყველა მკვიდრს დედამიწის ზურგზე“ (ლუკა 21:34,35). „ამი-

ტომ ნუ დავიძინებთ, როგორც სხვები, არამედ გვეღვიძოს და ვიფხიზლოთ (I თესალ. 5:6).

ბიბლია სწორი განსჯის უნარს და სიფხიზლეს სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს. ამიტომ გმობს ალკოჰოლური სასმელების უკონტროლო მიღებას, რადგან ალკოჰოლს სწორედ ადამიანის ამ ფუნქციებზე მიაქვს იერიში: ანადგურებს აზროვნებას, ჯანმრთელობას, ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და ა. შ.

ამ ნებაყოფლობითი გაუკუღმართებისაგან თავდასაცავად საღვთო წერილი გვთავაზობს მარტივ გამოსავალს—შევიცნოთ და დავემორჩილოთ ღვთიურ კანონებს. ქრისტე გვარიგებს: „შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“ (იოანე 8:32).

ალკოჰოლიზმთან დაკავშირებული საფრთხის თავიდან აცილებისა და სწორი შეხედულებების გამომუშავების მიზნით აუცილებელია მოზარდებში ადრეული ასაკიდანვე დავიწყოთ ზრუნვა ამ მიმართულებითაც. ამ პრობლემის შესახებ სისტემატური საუბრების და პრაქტიკული მაგალითების ჩვენების გზით მოზარდის დარწმუნება ალკოჰოლური სასმელების გადაჭარბებული მიღების მავნებლობაში და მისი ზომიერი და დანიშნულებისამებრ მიღების კულტურის გამომუშავება აღზრდის ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა გახდეს. ეს პრობლემა განათლების სფეროში თუ საგანგებო მსჯელობის საგნად არ იქცა და განსაკუთრებული ადგილი არ დაიკავა აღზრდაში, მომავალი უფრო სავალალო იქნება, ვიდრე აწმყო.

დავუჯეროთ ჩვენს უფალს იესო ქრისტეს შეგონებას: „ნუ დათვრებით ღვინით, რომელშიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსენით სულით “(ეფესელთა 5:18).

ჩვენ ზემოთ შევეხეთ ისეთ პრობლემებს, რომელნიც ბიბლიის მიხედვით, ქრისტიანისთვის მიუღებელია და აუცილებლად უნდა ჩამოიშოროს. ახლა კი მსჯელობა გვექნება ისეთ ქრისტიანულ ნორმებზე, რომელიც უნდა ახასიათებდეს ჭეშმარიტ ქრისტიანს, „რათა სრულყოფილი იყოს ღვთის კაცი, ყოველი კეთილი საქმისთვის გამზადებული“ (II ტიმოთე 3:17),

ქრისტიანული მორალი მოსეს რჯულისგან განსხვავებით უფრო მარტივი, დახვეწილი და ბუნებრივია. იგი შეიცავს ისეთ ზნეობრივ კატეგორიებს, ანუ სულის ნაყოფებს, როგორიცაა: სიყვარული, სიხარული, სიკეთე, მშვიდობა, ბედნიერება, პატიოსნება, სამართლიანობა, ერთგულება, მოთმინება, თანაგრძნობა, სულგრძელობა, მიტევება და მისთანანი.

ბიბლია გვარიგებს: „აჰა, მე ვამბობ: მოიქეცით სულიერად და არ აღასრულებთ ხორცის გულისთქმებს. ვინაიდან ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი — ხორცის საწინააღმდეგო. ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან". „ხორცის საქმეები აშკარაა. ეს არის: სიძვა, უწმინდურობა და თავაშვებულობა, კერპთმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, შური, რისხვა, შუღლი, უთანხმოებანი, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი. ...ამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ" (გალატელთა 5:16, 17, 19, 20. 21).

ასე გარკვევით და ნათლადაა ბიბლიაში ზნეობა და უზნეობა გამოკვეთილი. ასე დააწესა ღმერთმა იგი დასაბამიდან დღემდე. მტკიცებამ, ზნეობრივი კატეგორიების ცვალებადობის შესახებ, დროის გამოცდას ვერ გაუძლო. ასეთი მტკიცების ერთ-ერთ არგუმენტად პოლიგამიისა და მონოგამიის მაგალითები იყო გამოყენებული. თითქოს პოლიგამია გარკვეული დროის მონაკვეთში საზოგადოებაში მიღებულ მორალურ ნორმად ითვლებოდა, ხოლო მონოგამიის დამკვიდრების შემდეგ პოლიგამია უზნეობად იქცა. ეს დებულება სიმართლეს არ შეეფერება, რამეთუ პოლიგამია — სქესობრივი ალჯირახსნილობა ბიბლიურ პრინციპებს ეწინააღმდეგება. ღმერთის მიერ დადებული მცნების — „არ იმრუშო" ვერ იგუებს პოლიგამიას. თავიდანვე უზენაესმა კაცს მისცა ერთი ცოლი და ქალს — ერთი ქმარი. იესო ქრისტე ამბობს: „ნუთუ არ წაგიკითხავთ, რომ შემოქმედმა დასაბამიდან მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი? ამიტომ მიატოვებს კაცი მამას და დედას, მიეწებება თავის ცოლს და ორნი იქნებიან ერთხორცად... ამიტომ ვინც ღმერთმა შეაუღლა, კაცი ნუ დააშორებს მათ" (მათე 19: 4, 5, 6). ბიბლიის მიხედვით მრუშობა, სქესობრივი თავისუფლება ერთადერთი მიზეზია ცოლქმრის გაყრისა. ამიტომ შეუძლებელია პოლიგამია ოდესმე ყოფილიყო ზნეობრივი, ღმერთის მოსაწონი.

ათეისტურ საფუძველზე წარმოქმნილმა ზნეობამ ვერ მოუტანა კაცობრიობას სასურველი შედეგი, რაც ჩვენს დროში უფრო აშკარა გახდა. ზნეობაზე სუბიექტურმა მოსაზრებებმა, კაცთა სიბრძნემ ქრისტიანული რელიგიის გარეშე კრახი განიცადა, რასაც მოწმობს მსოფლიოს კრიმინალური სტატისტიკა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიბლიაში უპირველესი და უდიდესი მცნება ღმერთის სიყვარულია. ყოვლისშემოქმედისადმი რწმენა, მისი ცნობა, აღიარება და თაყვანისცემა სიცოცხლის აზრის გაცნობიერებას, ჰეშმარიტების პოვნას უკავშირდება. თუმცა უფალმა მისადმი სიყვარული თავს კი არ მოახვია თავისივე ხატად შექმნილ ქმნილებას და კი არ და-

პროგრამა რობოტივით, არამედ მისცა არჩევანის თავისუფლება, შემოქმედებითი აზროვნება, განჭვრეტა-წარმოსახვის უნარები. „იცხოვრეთ როგორც თავისუფლებმა, ოღონდ ბოროტების საფარად თავისუფლებას ნუ გამოიყენებთ, არამედ იცხოვრეთ როგორც ღვთის მსახურებმა“ (I პეტრე 2:16).

მაგრამ, როგორც ვიცით, ადამიანი არ დაემორჩილა უზენაესის ბრძნულ კანონებს და დამოუკიდებლობის გზა აირჩია ნებაყოფლობით.

კაცობრიობის ისტორიამ და რეალურმა სინამდვილემ კი მკაფიოდ დაგვანახა, რომ ადამიანმა დამოუკიდებლად ვერ მართა თავისი თავი, რადგან „ადამიანების ნებაზე არ არის მისი გზა, რომ მიმავალი კაცი ვერ წარმართავს თავის ნაბიჯებს“ (იერემია 10:23) ღვთის შემეცნების გარეშე.

ღმერთის შესახებ ზუსტი ცოდნა ბადებს ღვთის სიყვარულს, ანვითარებს ღვთისმოშიშობასა და ღვთისმოსაობას, რაც ნიშნავს უზენაესთან კეთილგანწყობის შენარჩუნებისათვის ზრუნვას, რომ ჩვენი უმადურობითა და გულქვაობით არ აღმოვჩნდეთ ქრისტეს რჯულის გარეთ.

ღვთისმოშიშობა და ღვთისმოსაობა თვითონ პიროვნებას სჭირდება, რომ იმოქმედოს ბიბლიური კანონების თანახმად და თავი შეიკავოს ცოდვისა და ბოროტებისაგან, რათა არ იქნეს განკითხული თავისი უკეთურობის გამო.

ბიბლია იტყობინება, რომ ღმერთი შეიცნობა ორი გზით: თავისი ნახელავითა და სიტყვით: „მისი უხილავი, მარადიული ძალა და ღვთაება წუთისოფლის დასაბამიდან ქმნილებათა ხილვით შეიცნობა“ — ეკითხულობთ რომაელთა 1:20-ში.

უხილავის ხილულში ამოცნობა და მისდამი რწმენა უნდა იყოს აღზრდაში მთავარი საზრუნავი. პიროვნებას და საზოგადოებას ღუპავს მათივე ამბიციები, რაც ბიბლიური სიბრძნის კატასტროფული უცოდინარობითაა გამოწვეული. ამავე მიზეზითაა სწავლა-განათლებისა და აღზრდის, პიროვნების ფორმირების პრობლემები და მათ შესახებ არსებული მოძღვრებები უმწეო და წარუმატებელი, ჰეშმარიტების შემეცნებას გარკვეულ წილად სტერეოტიპულ-კომპლექსური აზროვნებაც აბრკოლებს, რომლის „დანგრევის“ გარეშე „ახალ კაცად შემოსვა“ შეუძლებელია.

გზასაცდენილი კაცობრიობა ჩიხში რომაა მოქცეული, ამას ვერც ერთი რეალურად მოაზროვნე ვერ უარყოფს, ულმობელი ფაქტი თავის

თავზე თვითონ მეტყველებს. მაგრამ კაცობრიობა უპერსპექტივო-უმომავლო როდია, რაც მან ურჩობით დაკარგა, მას მორჩილებით აღიდგენს. ამასთან დაკავშირებით ბიბლია გვამცნობს: „მართალნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას და იარსებებენ მასზე უკუნისამდე". „მოილხენს უდაბნო და ხრიოკი, გაიხარებს ტრამალი და შროშანივით აყვავდება" (ესაია 35:1). ფსალმუნებში წერია: ღმერთი შეწყვეტს ომებს დედამიწის კიდით კიდემდე, მშვილდს შემუსრავს და შუბს დაამსხვრევს" (ფსალმ. 45:10). „გაიფურჩქნება წმიდანი და გამრავლდება მშვიდობა, ვიდრე მთვარე არსებობს" (ფსალმ. 71:7).

როცა ქრისტეს ჰკითხეს, როგორ მოვიქცეთ, რომ გადავრჩეთო? მან უპასუხა: „ესაა საქმე ღვთისა, რომ ირწმუნოთ იგი, ვინც მან მოავლინა" (იოანე 6:29). შემდეგ განაგრძობს ღვთის ძე: „მოდით ჩემთან, ყოველნო მაშრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ. იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი ვარ და, ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს, ვინაიდან ჩემი უღელი საამურია და ჩემი ტვირთი — მსუბუქი" (მათე 11:28, 29, 30).

გავრცელებული გამოთქმა „შიში შექმს სიყვარულსა" მთლად სწორი არ უნდა იყოს, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, მივხვდებით, რომ შიში თავისი ტრადიციული გაგებით სიყვარულს კი არა, სიძულვილს ბადებს. ხოლო სიყვარული წარმოშობს იმის შიშს, ვაი, თუ საყვარელი არსება არ გაგვინაწყენდეს. ღვთიური ძალის შეცნობა, უზენაესისადმი სიყვარული აჩენს შიშს ყოვლისშემქმნელის კეთილგანწყობის, აღთქმულის დაკარგვისა. ამდენად აქ სიყვარულის საფუძველზე წარმოშობილი შიში იგულისხმება და არა შიშის გამო ძალით შეყვარება, რაც შეუძლებელია.

ღვთისმოსაობისა და ღვთისმოშიშობის გრძნობის განვითარებას ჭეშმარიტების შეცნობა და ყოვლისშემოქმედისადმი მორჩილება უდევს საფუძვლად. ღვთიური კანონების შეცნობას და ამ კანონების თანახმად ცხოვრებას არა მარტო მომავალში, არამედ მაშინათვეც მოაქვს ზეციური კურთხევები. ამაში შეგვიძლია ადვილად დავრწმუნდეთ პირადი და სხვათა გამოცდილებების მარტივი ანალიზით. მაგალითად: ვინ არ იცის თუ რა საძაგლად გამოიყურება მორალურად სიტყვის უფლებადაკარგული პიროვნება, და, მით უმეტეს, თუ ის მგელი ცხვრის პოზაში მრჩევლად ევლინება მის მიერვე აბუჩადაგდებულ საზოგადოებას, ამიტომ გვირჩევს ბიბლია: „უარვყოთ უღვთოება და ამქვეყნიური გულისთქმანი, და ვიცხოვროთ ამ წუთისოფელში აზრიანად, სიმართლით და ღვთისმოსაობით" (ტიტე 2:12).

მართალი კაცი თავისი სიმართლითაა გამარჯვებული და იგი განკითხვას არ ექვემდებარება. ბიბლია პირდაპირ მიუთითებს, რომ ქრისტეს რჯულით განსწავლულობაა ის გასაღები, რომელსაც შეუძლია ამ წუთისოფლის პრობლემებისაგან პიროვნების განთავისუფლება.

ბიბლიის მიხედვით უმნიშვნელოვანეს პიროვნულ თვისებებს წარმოადგენს მოთმინება და თავმდაბლობა. ცოდვილ კაცთამოდგმის მიმართ მოთმინების კლასიკური ნიმუში გვიჩვენა თვით ღმერთმა და მისმა მხოლოდშობილმა ძემ, ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ. თავმდაბლობისა და მოთმინების საზღაურად მიიღო ნოემ უდიდესი ჯილდო. ის და მისი ოჯახის წევრები გადაურჩნენ დიდ წარღვნას. იობს, მართალ, უმწიკვლო, ღვთისმოშიშ და ბოროტებას განრიდებულ კაცს (იობი 1:8), საშინელი გამოცდა მოუწყო სატანა-ეშმაკმ. ჯერ მთელი სიმდიდრე გაუნადგურდა, მერე ათი შვილი გამოეცალა ხელიდან, ბოლოს საშინელი სენი შეეყარა, მაგრამ ღვთისსაგმობი ერთი სიტყვა არ დასცდენია; დაითმინა ყოველივე უფლის სიყვარულით: „ღმერთმა მომცა და ღმერთმა წაიღო, დე, კურთხეულიყო მისი სახელიო“ (იობი 1:21). ამაზეა ნათქვამი: „დრომდე დაითმენს სულგრძელი და ბოლოს სიხარულს მიიღებს ჯილდოდ“-ო (სიბუძნე ზარაქისა 1:14).

მოთმინებასთან დაკავშირებით „იაკობის“ 5:11-ში ვკითხულობთ: „აჰა, ჩვენ შევნატრით იმ მომთმენთ. იობის მოთმინება გაგიგონიათ და უფლისმიერი ბოლო გინახავთ, რადგან მრავალმოწყალე და შემწყალებელია უფალი“.

თავმდაბლობის გამო ამოირჩია ღმერთმა საული ისრაელის პირველ მეფედ, მაგრამ როცა თავი აიმაღლა, ღმერთმა იგი დაამდაბლა. სოფონია წინასწარმეტყველი გვაფრთხილებს: „ვიდრე არ დაგტეხიათ უფლის რისხვის დღე, ეძიეთ უფალი, ქვეყნის თვინიერნო, ვინც მისდევთ უფლის რჯულს: ეძიეთ სიმართლე, ეძიეთ თვინიერება, ვინძლო დაიმალოთ უფლის რისხვის დღეს“ (სოფონია 2:2, 3).

მოთმინებისა და თავმდაბლობის კლასიკური მაგალითი გვიჩვენა იესო ქრისტემ: „თუმცა ღვთის ხატება იყო, მიტაცებად არ თვლიდა ღვთის თანასწორად ყოფნას, არამედ წამოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება, გახდა კაცთა მსგავსი... დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე, ჯვარცმით სიკვდილამდე. ამიტომ ღმერთმა აღამაღლა იგი და მისცა მას ყველა სახელზე უზენაესი სახელი, რათა იესოს სახელის წინაშე მუხლი მოიდრიკოს ყოველმა ზეციერმა, მიწიერმა და ქვესკნელმა“ (ფილიპელთა 2:6-10). ასევე I პეტრეს 2:19, 20-ში წერია: რადგან მადლი ის არის, თუ ვინმე სინდისის გამო იტანჯება და

ღვთის გულისათვის იტანს გასაჭირს". ქრისტეს „ლანძღავდნენ და ლანძღვით არ უპასუხებდა, იტანჯებოდა და არ იმუქრებოდა, არამედ მიენდო სიმართლით განმკითხველს".

მის მორწმუნეთა სასწავლებლად და გასამხნევებლად ქრისტემ ასეთი მოწოდება გააკეთა: „წუთისოფელში ჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით. მე ვძლიე წუთისოფელს" (იოანე 16:33); ასეთივე ოპტიმიზმითაა გამსჭვალული თვინიერების შესახებ ქრისტეს მიერ სინაის მთაზე წარმოთქმული სიტყვები: „ნეტარ არიან თვითნიერნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ ქვეყანას" (მათე 5:5). ბიბლიის მიხედვით, ბედნიერი მომავლის იმედი, მშვიდობის მოპოვების რწმენა კვებავს მოთმინებასა და თავმდაბლობას; მოთმინება და თავმდაბლობა ძალზე საჭირო და აუცილებელი თვისებებია კეთილურთიერთობებისა და სიმშვიდის მოსაპოვებლად. ამიტომ „არაფერი გააკეთოთ ჯიბრით ან პატივმოყვარეობით, არამედ თავმდაბლობით საკუთარ თავზე მეტად შეარაცხეთ ერთმანეთი", — ვკითხულობთ ფილიპელთა 2:3-ში.

იესო ქრისტე არა მარტო სიტყვიერად, არამედ თავისი ქცევითა და მოქმედებით პრაქტიკულ მაგალითებს იძლეოდა ქრისტიანული ნორმებით ცხოვრებისა. უფალმა პეტრე მოციქულს ფეხები დაბანა და უთხრა: „იცით რა გიყავით?... მაგალითი მოგეცით, რათა როგორც მე მოგექეცით, თქვენც ისე მოიქცეთ"-ო (იოანე 13:12, 15).

მოთმინება და თავმდაბლობა ოჯახში, სამსახურში, ეზოში, ქუჩაში, სხვადასხვა საზოგადოებრივ ადგილებში, ადამიანებთან ურთიერთობაში წარმატების საწინდარია. ცნობილია, რომ მოუთმენლობის სავალალო შედეგი ყოველთვის აღემატება მოთმინებას, რასაც სინანულიც მოჰყვება ხოლმე, მაგრამ დაგვიანებულია თითზე კბენანი. „ამისათვის ეცადეთ, — გვარიგებს ბიბლია, — ყოველი ღონე იხმაროთ, რათა წარმოაჩინოთ თქვენს რწმენაში სათნოება და სათნოებაში შემეცნება, შემეცნებაში — თავშეკავება, თავშეკავებაში — მოთმინება, მოთმინებაში — ღვთისმოსაობა (II პეტრე 1:5, 6).

თავმდაბლობასა და თავშეკავებას იდენტურ ცნებებად მიიჩნევენ პრაქტიკაში. და ამაში უბედურება არაფერია, მაგრამ პრობლემის ნათელსაყოფად აუცილებელია მათი განმასხვავებელი ნიუანსების ცოდნა და გათვალისწინება. მოთმინება თავშეკავებასაც შეიცავს, მაგრამ მასზე მეტია. მოთმინებაში მოიაზრება სიცივის, შიმშილის, ტკივილის, უკმარისობის, მარტოობის, მიტოვების, გაცრუების, გაწბილების და მისთანანის ატანა. თავშეკავება კი წყენისაგან, აზრის გამოთქმისაგან, პოზიციის გამოხატვისაგან, პასუხისაგან, დასტურისაგან, შეხვედრისაგან,

გადაწყვეტილების მიღებისაგან საჭიროებისამებრ თავშეკავებას (ცნობილი ოქროს წესის — ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების — დელიკატური დაცვით).

მოთმინება-თავშეკავებისა და თავმდაბლობის ეფექტი მის დროულ და სიტუაციასთან მორგებულ გამოყენებაზეა დამოკიდებული. ადამიანები თავიანთი მემკვიდრეობით მიღებული არასრულყოფილების გამო ცოდვისაკენ მიდრეკილებებით ხასიათდებიან, მაგრამ ამასთანავე გააჩნიათ სულგრძელობისა და მიტევების უნარების განვითარების პოტენციური შესაძლებლობა, რათა ერთმანეთი არ მოსპონ. ამიტომ გვაფრთხილებს ბიბლია, რომ: „ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტის წილ და ლანძღვას ლანძღვის წილ" (I პეტრე 3:0), არამედ „მთელი თავმდაბლობით, სიმშვიდითა და სულგრძელობით შეიწყნარეთ ერთმანეთი" (ეფესელთა 4:2); „დაარიგეთ უწესონი, ანუგეშეთ სულმოკლენი, მხარი დაუჭირეთ უძლურთ და სულგრძელნი იყავით ყველას მიმართ" (I თესალონიკელთა 5:14).

იესო ქრისტემ არა მარტო სიტყვით მოგვიწოდა, არამედ საქმითაც გვიჩვენა სულგრძელობისა და მიტევების საარაკო მაგალითი. ძელზე დაკიდულმა თავისი მტრები ღმერთს შეავედრა: „მამაო, მიუტევე ამათ, ვინაიდან არ იციან, რას აკეთებენ"-ო (ლუკა 23:34). მოგვიანებით იგივე გაიმეორა ქრსტეს მოციქულმა სტეფანემ, როცა მას რწმენის გამო ქოლავდნენ. იესო ქრისტეს მიერ მრუში დედაკაცის მიმართ მიტევების ფაქტიც კარგ გაკვეთილს იძლევა დასარიგებლად.

რაკი ცოდვებისა და შეცდომებისაგან არავინაა დაზღვეული, ჩვენივე უსფრთხოების დასაცავად ბრწყინვალე დარიგებები მოგვცა უფალმა: „ვინაიდან თუ თქვენ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, თქვენც მოგიტევებთ თქვენი ზეციერი მამა. ხოლო თუ თქვენ არ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, არც თქვენი მამა მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს" (მათე 6:14, 15).

ქრისტეს აღიარებული სწავლებები ზნეობრივი ნორმების შესახებ, უდიდესი საგანძურია კაცობრიობისათვის მშვიდობისა და ბედნიერების მოსაპოვებლად, თუნდაც ამ ბოროტ წუთისოფელშიც კი. ურთიერთობის ოქროს წესი: „როგორც თქვენ გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექეცით მათ" (ლუკა 6:13), დროითა და სივრცით შეუზღუდავია. იგი, როგორც უნივერსალური, ყაყოველთაო და მარადიული კატეგორია, გულში უნდა ეწეროს ყოველ ადამიანს.

მიტევებასთან დაკავშირებით იესო ქრისტე თავის მოწაფეებს ასწავლიდა ლოცვას: „... და მოგვიტევე ჩვენ ცოდვანი ჩვენნი, რადგან

ჩვენც მივუტევებთ ყველა ჩვენს თანამდებს და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“ (ლუკა 11:4).

მიტევების შესახებ უფალი ამბობს: „მოვა სიონიდან მხსნელი და უღმერთობას ააცდენს იაკობს“ (რომაელთა 11:26); „მას შემდეგ ცოდვებსა და ურჯულოებას აღარ გავუხსენებ“ (ებრაელთა 10:17); „ეს არის ჩემი აღთქმა მათთვის, როცა წარვხოცავ მათ ცოდვებს“. აქ ის დროა მინიშნებული, როცა ყოველი, დიდიდან პატარამდე შეიცნობს ღმერთს და ღვთის შემეცნებით აივსება დედამიწა და აღარ იქნება ბოროტება. „გონიერი კაცი სულგრძელია და მისი დიდება ცოდვის მიტევებაა“. (იგავნი სოლომონისა 19:11). ასეთ დასკვნას აკეთებს სოლომონ ბრძენი.

როცა პეტრემ იკითხა: „უფალო! რამდენჯერ უნდა მივუტევო ჩემს ძმას, ჩემს წინააღმდეგ რომ შესცოდოს? შვიდჯერ?

იესომ უპასუხა: „მე არ გეუბნები შვიდჯერ-მეთქი, არამედ სამოცდაათგზის შვიდჯერ“ (მათე 19:21, 22).

პავლე მოციქული ეფესელებს სწერდა: „იყავით კეთილნი ერთი მეორის მიმართ, თანაუგრძნეთ და მიუტევეთ ერთმანეთს, როგორც ქრისტეში მოგიტევათ თქვენ ღმერთმა-ო“.(ეფესელთა 4:32).

როგორც ვხედავთ მიტევება ღვთიური საქმეა და მას უნდა ვბაძავდეთ ადამიანები.

სულის ნაყოფთა შორის ბიბლიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიწმინდესა და პატიოსნებას. ღმერთი მოგვიწოდებს: „იყავით წმიდები, როგორც მე ვარ წმიდა“ (ლევიანნი 11:44); „ჭეშმარიტებისადმი მორჩილებით განიწმიდეთ თქვენი სულები ძმური, უპირფერო სიყვარულისათვის და მტკიცედ, სუფთა გულით გიყვარდეთ ერთმანეთი“ (I პეტრე 1:22).

სულის სიწმიდეს განამტკიცებს სხეულის სიწმიდე. ორთავე ერთად კი ხელს უწყობს ბედნიერებას, სულის სიწმიდეს სამართლიანობა, პატიოსნება და სიმართლე, სუფთა სინდისი და მისგვარნნი კეებავს და სრულყოფს.

სხეულის სიწმინდე ნიშნავს უზომო, ხორციელი ტკბობისაგან თავშეკავებას. მრუშობა, ლოთობა, ნარკომანია, როგორც ხორციელ ვნებათა აშლილობა, სიბილწეა ღმერთის თვალში, ამიტომ გვაფრთხილებს ბიბლია: „განვიწმინდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისაგან, ღვთისმოშიშობით აღვასრულოთ სიწმიდე“ (II კორინთელთა 7:1), „რადგან სიწმიდეთა სიწმიდით შემნახველნი განიწმიდებიან და

გამართლებას იპოვიან მასში განსწავლულნი (სიბრძნე სოლომონისა 6:10) ახლაც და განკითხვის დღესაც.

ბიბლიური მაგალითებიდან ცნობილია, თუ რა კურთხევებს ღებულობდნენ წმიდები თავიანთი უბიწოების გამო. „დანიელი თავისი უბიწოების გამო გადაურჩა ლომების ხახას“ (პირველი მაკაბელთა 2:60); „და ასე გაიხსენეთ თაობიდან თაობამდე, რომ მის მოიმედეთაგან შემწეობა არავის მოკლებია“ (I მაკაბელთა 2:61).

სოლომონ ბრძენი ადამიანის დანიშნულების შესახებ ამბობს: „ღმერთო მამა-პაპათა და წყალობის უფალო, რომელმაც ყოველივე შექმენი შენი სიტყვით, გამომსახველი კაცისა შენი სიბრძნით, რათა მეუფებდეს იგი შენ მიერ გაჩენილ ქმნილებებზე, რათა სიწმინდით და სიმართლით განაგებდეს სოფელს და წრფელი სულით სჯიდეს სამართალს!“ (სიბრძნე სოლომონისა 9:1-4).

წყალობა, სიბრძნე, სიწმინდე, სიმართლე სიწრფელე, სამართალი და ა. შ. პიროვნული ღირსებებია და მას არც სატანის ქვეყნიერება უარყოფს, აღიარებს, მაგრამ არ ასრულებს.

ადამიანის ბედნიერების გამომხატველია სიხარული. ბიბლია მას სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს: „გულის სიხარული სიცოცხლეა და კაცის მხიარულება — დღეგრძელობა მისი“ (სიბრძნე ზირაქისა 30:22). ამასთანავე დარიგებას იძლევა სიხარულის გამოსაწვევ წყაროთა შესახებ. მაგალითად: „ნუ მიეცემი მწუხარებას და თავს ნუ გაიწამებ ნებაყოფლობით, დაიამე სული და გულით გამხნევდი და დარდი განიშორე, რადგან დარდს მრავალი დაუღუპავს და უსარგებლოა იგი. ნათელი გული და სიკეთე თავის საზრდელზე თავად იზრუნებს“ (სიბრძნე ზირაქისა 30:21-25). ასეთი საზრდელი, ბიბლიის მიხედვით, ჰეშმარიტების შემეცნებაშია. ამასვე მოწმობს სოლომონ ბრძენის სიტყვები: სიბრძნე ვამჯობინე კვერთხსა და ტახტს, ოქროსა და ვერცხლს, ჯანსა და სილამაზეს. ყოველი სიკეთე მასთან ერთად მოვიდა ჩემთან... და ეს ყველაფერი მახარებდა, რადგან „მან მომცა მე არსებულთა უტყუარი ცოდნა, რათა შემეცნო სამყაროს წყობა და სტიქიათა მოქმედება, დასაბამი, დასასრული და შუახანი, მზებუდობათა მონაცვლეობა და არეთა შენაცვლებანი. წელიწადის ბრუნვა და ვარსკვლავთა განლაგება, ცხოველთა ბუნება და მხეცთა თვისება, ქართა ქროლვა და კაცთა ზრახვანი, მცენარეთა მრავალფეროვნება და ფესვების ძალა. ყოველივე შევიცანი დაფარულიცა და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმასწავლა, ყოველთა შემოქმედმა“ (სიბრძნე სოლომონისა 7:7-12; 17-21).

სამყაროში ბევრი რამ არის სიხარულის მომნიჭებელი. ადამიანი ისეა კონსტრუირებული, რომ მას აქვს უნარი შეიგრძნოს და აღიქვას ლამაზი, მშვენიერი, დიადი, ამაღლებული. ასევე: ფერი, გემო, სურნელება, ხმა და დატკბეს ყოველივე ამით. მაგალითად: ლამაზი ყვავილები, მოჩიტჩიკე ჩიტები, გემრიელი ნაყოფები, სურნელოვანი მცენარეები, თბილი ურთიერთობები, საყვარელ ადამიანებთან შეხვედრები, ასევე ხელოვნების საგანძურები: პოეზია, მხატვრობა, მუსიკა, კინო, თეატრი და მისთანანი ესთეტიკური ტკბობისა და უდიდესი სიხარულის მომგვრელია ადამიანისათვის.

კეთილი ბიბლიური ცნობა, სიკეთის გამარჯვებისა და კაცობრიობის ბედნიერი მომავლის შესახებ, რწმენით, იმედითა და სიხარულით აღავსებს პიროვნებას; აზრიანს და ხალისიანს ხდის მის ცხოვრებას, უადვილებს უკუღმართი წუთისოფლის ატანას.

გაზრდილი მოთხოვნები, მატერიალურით გატაცება, ფლობისა და განდიდების მანია გვევლინება შემაწუხებელი პრობლემების წარმომშობ წყაროდ. ბიბლია გვასწავლის ამ ხელოვნური პრობლემებისაგან თავდაღწევის ყველაზე ეფექტიურ საშუალებებს. იესო ქრისტემ თქვა: შეიცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთო. პაელე მოციქულმა დაწერა: „ვისწავლე იმით დაკმაყოფილება, რაცა მაქვს“ (ფილიპელთა 4:11) და მწუხარება გავინელეო.

ქრისტე გვასწავლის, რომ ვინც სულიერ საუნჯეზე / ზრუნავს, ის ამსოფლური პრობლემებისაგან თავისუფალია. ამიტომ „ნუ დაიუნჯებთ დედამიწაზე, სადაც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ. დაიუნჯეთ ცაში, სადაც არც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც არც ქურდები თხრიან და იპარავენ. ვინაიდან, სადაც შენი საუნჯეა, შენი გულიც იქვე იქნება“ (მათე 6:19-21).

აფხაზეთის ომმა თვალნათლივ დაგვნახა, რომ ვინც მხოლოდ მიწიერი საუნჯით ამპარტავნობდა, მისი დაკარგვით თვითონაც დაიკარგა, არარაობად იქცა. ხოლო ვინც სულიერ-მორალურისკენ მიისწრაფოდა, ის გაჭირვებამ ვერ დააძაბუნა, პიროვნება პიროვნებად დარჩა. ამიტომ მოგვიწოდებს პაელე მოციქული: „ინატრეთ სულიერი სუფთა რძე“, „ვინაიდან ყოველგვარი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარეობაა და ზოგიერთები, რომლებიც მან გაიტაცა, მანშორდნენ რწმენას და თავიანთ თავს მრავალი ტკივილი მიაყენეს“ (ტიმოთე 6:10).

დღეს, ამ შეჭირვებულ ჟამს ჰაერივით სჭირდება ადამიანს გულის გამხიარულება, გამხნევება, რომ მწუხარებისა და დარდისაგან არ დაითრგუნოს, სულიერად და ფიზიკურად არ დაზიანდეს. ჟამიანობის დროს

საუკუნის ჭეშმარიტი ქრისტიანები ნუგეშისცემით, მორალური და მატერიალური თანადგომით ამხნევებდნენ ერთმანეთს, თავად უფლის ცოდნით გამხნევებულები.

თვით ყოვლისშემოქმედი ღმერთი და მისი საყვარელი ძე, ჩვენი უფალი იესო ქრისტე — არიან ჩვენი მთავარი ნუგეშისმცემლები, რომლებისგან უნდა ვისწავლოთ ნუგეშისცემა. „კურთხეულია ღმერთი და მამა ჩვენი უფლის იესო ქრისტესი, მოწყალების მამა და ყოველი ნუგეშის ღმერთი", ან კიდევ: „ჩვენი ნუგეშისმცემელი ჩვენს ყოველგვარ გასაჭირში, რომ ჩვენც შევძლოთ ნუგეში ვცეთ ყოველგვარ გასაჭირში მყოფთ იმავე ნუგეშით, რომლითაც გვანუგეშებს ღმერთი", „რადგან როგორც ქრისტეს ტანჯვანი არიან მრავლად ჩვენში, ასევე მრავლდება ჩვენი ნუგეშისცემა ქრისტეს მიერ". (II კორინთელთა 1:3, 4, 5).

ნუგეშისცემის აუცილებლობის შეგნებას წარმატება მოჰქონდა მათთვის, იძენდნენ თანამოზიარეებსა და მხარდამჭერებს, მრავლდებოდნენ, ერთიანდებოდნენ და მტკიცდებოდნენ ჭეშმარიტი ღმერთის სამსახურში. ჩვენი ერის დასაწყისის ქრისტიანთა ურთიერთობისა და საქმიანობის მაგალითები დღესაც სასარგებლოა და ჭკუისდასარიგებელი ჩვენთვის, როცა უნუგეშობისა და უიმედობის აგონიაში ვიმყოფებით უღმერთო „ბრძენთა" უგუნურების გამო.

თამსდგომა და ნუგეშისცემა ანელებს მწუხარებასა და დარდს, იცავს ადამიანს სულიერ-ბიოლოგიური განადგურებისაგან.

ბიბლია სწავლა-განათლებისა და აღზრდის შესახებ

სწავლა-განათლებისა და აღზრდის შესახებ დიდებულ აზრებს შეიცავს სიბრძნის წიგნი ბიბლია. ღმერთმა თავის ხატად შექმნილი ქმნილება აღჭურვა უნივერსალური თვისებებით: უფალმა მიწისაგან თავის ხატად შექმნა ისინი (ადამი და ევა), „მისცა მათ აზრი, ენა და თვალები, ყურები და გული, რათა შეეცნოთ ისინი“ (სიბრძნე ზირაქისა 17:1, 6), რაც ცაშია და დედამიწაზე, რომ ჭეშმარიტების შემეცნებით მიეღოთ სრულყოფილება, „თვით იდუმალის შეცნობით აღძრა გონება კაცთა“ (ეკლესიასტე 3:11), ვინაიდან „მისი (ჭეშმარიტების — გ. ხ.) შემეცნების სურვილი გონების სრულქმნაა, ხოლო სრულყოფილთა და „ბრძენთა სიმრავლე სოფლის ხსნაა და გონიერი მეუფე ხალხის სიმტკიცე (სიბრძნე სოლომონისა 6:24).

ქვეყნიური ამაოებით გულგატეხილმა ეკლესიასტემ (სოლომონ მეფემ) სიბრძნისა და გონების წყალობით შეიცნო კეთილი და ბოროტი: „გულს ვიდევ, შემეცნო, შემესწავლა, გამომეკვლია — რა არის სიბრძნე და გონიერება, რათა მცოდნოდა, რომ უმეცრება ბოროტებაა“. (ეკლესიასტე 7:25). ნიჭმომადლებული ყმაწვილი დროულად მიხვდა სიბრძნისა და გონიერების მნიშვნელობას და თქვა: „ბრძენი კაცი გონებით ჭვრეტს, უგუნური კი ბნელში დავალს (ეკლ. 2:14). „ღამედ შეიცვლება ნათელი, სიბრძნეს კი ვერ ძლევს ბოროტება“ (სიბრძნე სოლომონისა 7:30).

სოლომონ ბრძენმა თავიდანვე განსაზღვრა სიბრძნისა და გონიერების ღირებულება და მტკიცედ გადაწყვიტა ამ განძეულთა მფლობელი გამხდარიყო. ამის შესახებ იგი წერს: „სიბრძნე და გონიერება ვამჯობინე კვერთხსა და ტახტს, ყოველგვარ სიმდიდრეს, ოქროსა და ვერცხლს, ჯანსა და სილამაზეს. „ყოველი სიკეთე მასთან ერთად მოვიდა ჩემთან და მის ხელშია ყოველი სიმდიდრე“. (სიბრძნე სოლ. 7:7-11), „მან მომცა მე — განაგრძობს სოლომონ ბრძენი — არსებულთა უტყუარი ცოდნა, რათა შემეცნო სამყაროს წყობა და სტიქიათა მოქმედება, დასაბამი, დასასრული და შუახანი, მზებუდობათა მონაცვლე-

ობა და არეთა შენაცვლებანი, წელიწადის ბრუნვა და ვარსკვლავთა განლაგება, ცხოველთა ბუნება და მხეცთა თვისება, ქართა ქროლვა და კაცთა ზრახვანი, მცენარეთა მრავალფეროვნება და ფესვების ძალა. ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმასწავლა, ყოველთა შემოქმედმა" (სიბრძნე სოლ: 7:7-21).

ბიბლია არაერთგზის მიუთითებს ჭეშმარიტი ცოდნისა და სიბრძნის დაუფლების სირთულეზე, მის კანონებსა და კანონზომიერებებზე, დროსა და მეთოდების გონივრულად შერჩევისა და გამოყენების აუცილებლობაზე.

ეკლესიასტე სწავლის პროცესის სიძნელეზე წერს: „როცა გულს ვიდევ, შემეცნო სიბრძნე და მომეხლა ყოველი საქმე, რაც ქვეყნად ხდება, ჩემს თვალებს ძილი არ უნახავთ არც დღე, არც ღამე" (ეკლ. 8:16).

ან კიდევ: „თუ სწავლულს, დილაადრიან ეწვიე, გაცვითნოონ შენმა ფეხებმა მისი კარის ზღურბლი" (სიბრძნე ზირაქისა 6:36). ბიბლიის მიხედვით სწავლის პერიოდში მოსწავლე ყოველგვარი სხვა საქმეებისგან თავისუფალი უნდა იყოს, ვინაიდან „წიგნიერი ცოდნის შეძენას მოცალეობის ხელსაყრელი ჟამი სჭირდება და მხოლოდ საქმისგან თავისუფალი გახდება ბრძენი". (სიბრძნე ზირ. 38:24), ამასთანავე საღვთო წიგნი მიუთითებს ცოდნის მიღების წყურვილის, მონდომებისა და აქტიურობის აუცილებლობაზე. „ყური უნდა გქონდეს სიბრძნისაკენ მიპყრობილი და გული გონიერებისაკენ გეწეოდეს". (იგავნი სოლომონისა 2:2), „რომ მოუწოდებდე ჭკუას და გონებას გააღვიძებდე, „რომ ვერცხლივით მისი შოვნის წადილი გქონდეს და განძივით დაუწყებდე ძებნას" (იგ. სოლ. 2:3, 4)... „მაშინ მიხვდები, რა არის სიმართლე, სამართალი და სამართლიანობა — ყოველი კეთილი საქმე" (იგავნი სოლომონისა 2:9).

სოლომონ ბრძენი გვასწავლის, რომ სიბრძნე მემკვიდრეობით კი არ გადაეცემა შთამომავლობას, არამედ მონდომებით, ბეჯითი სწავლის გზით მიიღება იგი. „ერთია ყველასათვის ცხოვრებაში შემოსვლა (დაბადება — გ. ხ.) და ყველასათვის მსგავსია გასვლაც" (სიკვდილი — გ. ხ.) (სიბრძ. სოლ. 7:6), სიბრძნე მოდის განსწავლის ნიჭის წყალობით. ნიჭის შესახებ ბიბლია იტყობინება: სხვადასხვანაირია ნიჭი, მაგრამ სული ერთია... „ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს — ცოდნის სიტყვა იმავე სულით, ზოგს რწმენა, ზოგს განკურნებათა ნიჭი, ზოგს — სასწაულთმოქმედება, ზოგს წინასწარმეტყველება, ზოგს — სულების გარჩევა, ზოგს — სხვადასხვა ენები, ზოგს — ენე-

ბის განმარტება". (I კორინთ. 12:4, 8, 9, 10). ნიჭთან დაკავშირებით ეფესელთა 4:11-ში ვკითხულობთ აგრეთვე: „მან (უფალმა — გ. ხ.) დაარუნა ერთნი მოციქულად, მეორენი წინასწარმეტყველებად, ზოგნი მახარობლად, ზოგნი მწყემსებად და მოძღვრებად". ნიჭზე, ინტელექტუალურ შესაძლებლობების განსხვავებულობაზე იესო ქრისტე იძლევა მთესველის იგავით ასეთ განმარტებას: ცოდნის თესლიდან „ზოგი ნაყოფს ასს გამოიღებს, ზოგი სამოცს და ზოგიც ოცდაათს"-ო (მათე 13:23). ეს ის საფუძველია, რომელსაც პედაგოგიკაში მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინების პრინციპს უწოდებენ.

ასევე ბიბლიიდან ვგებულობთ, რომ ნიჭთან ერთად აუცილებელია საქმის სიყვარული და მონდომება: „თუ ისურვებ მას... განისწავლები: თუ სულით მიენდობი, დახელოვნდები" (სიბრძ. ზირაქისა 6:32). ასევე აუცილებელია ყურადღებით მოსმენა და მოსმენილის დაკვირვება-გააზრება: „თუ ხიყვარულით მოუსმენ, შეითვისებ, და თუ ყურს მიუპყრობ, ბრძენი გახდები" (სიბრძ. ზირაქისა 6:33). ასევე დაფიქრებაზე და სისტემატურობაზე: „ჩაუფიქრდი უფლის ბრძანებებს და დღენიადაგ სწავლობდე მის მცნებებს, ის განამტკიცებს შენს გულს და სიბრძნის წყურვილი მოგეცემა" (სიბრძ. ზირაქისა 6:37). „შუქმდენი და უშკნობია სიბრძნე, მის მოყვარულთაგან ადვილგანაჭვრეტი და იპოვიან მას მძებნელნი" (სიბრძ. სოლ. 6:12).

საღვთო წიგნი გვასწავლის, რომ: „ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში: „ჟამი შობისა და ჟამი სიკვდილისა; ჟამი დანერგვისა და ჟამი დანერგილის აღმოფხვრისა... ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა; ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა; ჟამი გლოვისა და ჟამი ლხინისა... ჟამი მიჯნურთა პაემანისა და ჟამი მათი გაყრისა (აქ დამშვიდობებისა — გ. ხ.), ჟამი პოვნისა და ჟამი დაკარგვისა... ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა, ჟამი სიყვარულისა და ჟამი სიძულვილისა..." (ეკლესიასტე 3:1-8).

სწავლა-აღზრდასაც თავისი ჟამი აქვს. ეს პროცესი ადრეული ასაკიდანვე უნდა იქნეს დაწყებული. ამის შესახებ ბიბლია გვეუბნება: „შვილო, სიყრმიდანვე იზრუნე სწავლაზე და იპოვი სიბრძნეს, ვიდრე ჰაღარით შეიმოსებოდე" (სიბრძ. ზირ. 6:18). ამასვე ვკითხულობთ სოლომონის იგავნის 22:6-ში: „ყმაშვილი მისი გზის დასაწყისშივე გაწვრთენი და სიბერეშიც კი არ გადუხვევს მას".

გარკვევით მიუთითებს ბიბლია სულიერი ზრდისათვის ცოდნის მუდმივი განახლების აუცილებლობაზეც. „ბრძენის ცოდნა წყალდიდობასავით იზრდება და მისი რჩევა სიცოცხლის წყაროა" (სიბრძნე ზი-

რაქისა 21:13). იგივე აზრია გატარებული კოლასელთა 1:9 და 10-ში: „განუწყვეტლივ ვლოცულობ თქვენთვის, რათა აღივსოთ მისი (უფლის — გ. ხ.) ნების შეცნობით, ყოველნაირი სიბრძნითა და სულიერი გონებით, რათა მოიქცეთ უფლის ღირსად და ყველაფერში აამოთ მას ყოველ კეთილ საქმეში ნაყოფის გამოღებით და ღვთის შემეცნებაში ზრდით".

პავლე მოციქულმა ტიმოთეს მისწერა: „...ნიმუში იყავი სიტყვაში, საქმეში, სიყვარულში, სულში, რწმენაში, სიწმიდეში. ვიდრე მოვიდოდე, მიპყევი კითხვას, შეგონებას და სწავლებას" (I ტიმოთე 4:12:13).

ბიბლიის მიხედვით, ცოდნისა და განსწავლულობის გარეშე პიროვნება წარმოუდგენელია. ყოვლისშემოქმედმა სწორედ შემეცნების უნარით განასხვავა და ყველაფერზე მაღლა დააყენა ადამიანი გონებით: „აღავსო ისინი ცოდნითა და სწავლით და აჩვენა კეთილი და ბოროტი" (სიბრძნე ზირაქისა 17:7); „წინ დაუდო მათ და ცხოვრების წესი დაუმკვიდრა"; „უთხრა მათ: ერიდეთ ყოველგვარ უსამართლობას, და ამცნო თითოეულის მოვალეობა მოყვასის მიმართ" (სიბრძნე ზირაქისა 17:11, 14).

ამ გაუხუნარ სიბრძნის წიგნში სულ პარალელებია გავლებული სიკეთესა და ბოროტებას, ნათელსა და ბნელს, სიყვარულსა და სიძულვილს, ბრძენსა და ბრიყვს შორის, განსწავლულობასა და უმეცრებას შორის სანიმუშოდ, ჩვენდა სასწავლებად, დასარიგებლად, გამოსასწორებლად სწორედ ეს პარალელები იძლევა საშუალებას შედარების გზით სწორი დასკვნების გაკეთებისა, რომ ყოველგვარი უკეთურობის მიზეზი უმეცრებაა. სწორედ სიბრძნემ და გონიერებამ უჩვენა სოლომონ ბრძენს „რომ უმეცრება ბოროტებაა" (ეკლესიასტე 7:25). ამიტომაა გაფრთხილება: „წინ ნუ აღუდგები ჭეშმარიტებას და შენი უმეცრებისა გრცხვენოდეს" (სიბრძნე ზირაქისა 4:25).

ბიბლიამ იმთავითვე წარმატებით გადაწყვიტა სწავლა-განათლებისა და აღზრდის პრობლემა. უნივერსალური პასუხები გასცა დიდაქტიკურ კითხვებს: რა ვასწავლოთ? როგორ ვასწავლოთ? რისთვის ვასწავლოთ?

ბიბლია გვასწავლის, რომ ადამიანი, როგორც ღვთის ხატად შექმნილი არსება, მოწოდებულია ჰგავდეს თავის შემქმნელს, ირეკლავდეს ღვთიურ თვისებებს: სიბრძნეს, სიყვარულს, სამართლიანობას, ძალას, რაც მიიღწევა მხოლოდ შემეცნების, სწავლა-განათლებისა და აღზრდის საშუალებით; გასრულყოფილება და ღმერთთან მიახლოება, რომ მხოლოდ ამ საშუალებებით არის შესაძლებელი.

„ყოველთა უწინარეს წარმოიშვა სიბრძნე და გონების გამჭრიახობა უკუნისიდან“ (სიბრძნე ზირაქისა 1:4); „უფალმა სიბრძნით დააფუძნა ქვეყანა, გონიერებით გაამტკიცა ცამყარი“ (იგავნი სოლ. 3:19) — და ამ თვისებების შეძენის უნარით აღჭურვილი ადამიანით დაამშვენა დედამიწა, რომელსაც ასწავლა: „მთავარი სიბრძნე, სიბრძნის მოხვეჭაა, ყოველ მოსახვეჭელთაგან ცოდნა მოიხვეჭეო“ (იგავნი სოლ. 4:7).

ღმერთმა ბიბლიაში სრულყოფილი, სიბრძნით, გონიერებით, სიყვარულითა და სამართლიანობით გამორჩეული იდეალური პიროვნების მარად ცოცხალი ნიმუშად იესო ქრისტე დაგვიდგინა. ამიტომ აღზრდაში იესო ქრისტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითს უნდა ვეყრდნობოდეთ.

გიგლია ოჯახისა და ოჯახური აღზრდის შესახებ

ოჯახი. ოჯახის დამფუძნებელი ღმერთი გვასწავლის, რომ სიცოცხლე და ოჯახი, როგორც უმთავრესი მოვლენა სამყაროში, საჭიროებს უფაქიზეს, მეტად სერიოზულ და პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას. აქვეა მოცემული ამგვარი მიდგომის ბიბლიური პრინციპები, ანუ ღვთიური მორალური ნორმები, რომელთა პრაქტიკული განხორციელება უზრუნველყოფს ოჯახურ მყუდროებას, დაქორწინებულ წყვილთა ბედნიერებას. ეს პრინციპებია: ერთგულება, კომუნიკაბელურობა, დაფასება და პატივისცემა, კეთილი და მშვიდი ტონი, მოთმინება და მიმტევებლობა და სხვა. „ერთგულება ღირსებას; და სიმტკიცეს ანიჭებს ქორწინებას". (მარადიულ სიცოცხლემდე მიმყვანი შემეცნება, 1995, გვ. 141). ამასთან დაკავშირებით პავლე მოციქულმა დაწერა: „ყველას ცოლ-ქმრობა იყოს პატიოსანი და სარეცელი შეუბილწავი. მეძავეებსა და მრუშებს კი ღმერთი განიკითხავს" და არც კაცთაგანია, რომელიც ამას იწონებდეს და თავის თავს უსურვებდეს.

ბიბლიაში გათვალისწინებულია ოჯახური პრობლემები, რომლებიც ჩვენი არასრულყოფილების გამო აუცილებლად წარმოიშობიან, მაგრამ ეს წმიდა წიგნი იქვე გვთავაზობს გამოსავალს მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაგალითად, თუ სახლის სახურავში წვიმამ გაჟონა, პატრონი სხვა სახლს კი არ დაუწყებს ძებნას, არამედ შეეცდება მის შეკეთებას. მსგავსად ამისა, კონფლიქტურ სიტუაციაში მეუღლის შეცვლაზე ფიქრი არ არის სწორი, პირიქით, საჭიროა ძალისხმევა და ზრუნვა შექმნილი სიტუაციის განსამუხტავად, ერთურთის შენარჩუნების მიზნით. მარადიულ სიცოცხლემდე მიმყვანი შემეცნება. 1995 გვ. 141, განქორწინების ერთადერთ საფუძვლად ბიბლია მრუშობას აცხადებს: „ყოველი, ვინც თავის ცოლს გაუშვებს სიძვის მიზეზის გარეშე, იგი მას მრუშად აქცევს" (მათე 4:32).

ბიბლიის მიხედვით კომუნიკაცია ის პრინციპია, რომელიც ხელს უწყობს ოჯახურ ბედნიერებას. მაგრამ დაქორწინებულ წყვილთათვის ესადვილი საქმე როდია, რამეთუ ისინი განსხვავდებიან ინდივიდუალურად,

ემოციურად, ბავშვობის შთაბეჭდილებებით, ოჯახური წარმომავლობით, აღზრდისა და განათლების დონით და შესაბამისად განსხვავებული ურთიერთობის სტილიც. რაკი მიზანი მიღწეულია — სიყვარული ქორწინებით დაგვირგვინებული, ცოლ-ქმარი მეტყველების კულტურას, ლაპარაკის სტილს აღარ უწევენ კონტროლს. უკორექტურო ლაპარაკით აუბრალოებენ სათუთ ურთიერთობას, რასაც ხშირად გულგატეხილობამდე მიჰყავს ორივე. ასეთ შემთხვევაში, ბიბლია გვირჩევს, „ვიდრე დავა არ აფეთქებულა, შეწყვიტე ცილობა, სანამ შენ და შენი მეუღლე არ დაწყნარდებით (ეკლესიასტე 3:1, 7); ნებისმიერ შემთხვევაში ეცადეთ იყოთ „სმენაში მკვირცხლი, სიტყვასა და რისხვაში ნელი" (იაკობი 1:19); „თქვენი მიზანი უნდა იყოს სიტუაციის გამოსწორება და არა კამათში გამარჯვება" (დაბადება 13:8, 9).

ბიბლიაში წერია, რომ კეთილი და მშვიდი ტონი სულიერი გაწონასწორების პროცესს აჩქარებს და განრისხებას მალე ხსნის. მოცემულ სიტუაციაში შესატყვისი სიტყვებისა და ტონის შერჩევის უნარს ბიბლიური სწავლებები, ღვთის შემეცნება იძლევა.

პატივისცემა და დაფასება ის ბიბლიური პრინციპებია, რომელიც განამტკიცებს ცოლ-ქმრის სიყვარულს, ამ პრინციპის მიხედვით მეუღლეები ისე უნდა ექცეოდნენ ერთმანეთს, როგორც უძვირფასეს განძს. ყურადღება, ურთიერთგაფრთხილება და მზრუნველობა, ერთმანეთის ღირსების დაცვა ორმხრივი პროცესია: ცოლი უნდა ემორჩილებოდეს ქმარს და ქმარიც გონივრულად უნდა ეპყრობოდეს თავის ცოლს. მაგრამ თუ ერთი მათგანი ვერ ავლენს სულგრძელობას, ვერ იცავს ურთიერთობის ნორმებს, მეორემ უნდა უჩვენოს სიკეთისა და სიყვარულის მაგალითი. ბიბლია მოითხოვს: „ცოლები დაემორჩილონ თავიანთ ქმრებს, რათა ისინი, ვინც არ ერწმუნებიან სიტყვას (ღვთის მორალურ ნორმებს — გ. ხ.), სიტყვის გარეშე იყვნენ მოგებულნი თავიანთი ცოლების საქციელით, იხილავენ რა თქვენს უბიწო ქცევას მოშიშობით" (I პეტრე 3:1, 2).

ოჯახური მშვიდობისა და ბედნიერების მოსაპოვებლად მნიშვნელოვანი ზნეობრივი პრინციპებია მოთმინება და მიმტევებლობა. იგი დაქორწინებულ წყვილებს ასწავლის ჭირვეულ პრობლემებზე ერთმანეთის პიროვნების მაღლა დაყენებას, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის შენარჩუნებას. ცოლ-ქმრულ ურთიერთობას აწესრიგებს და პრობლემებს აქრობს იმის შეგნება, რომ „ყოველი მამაკაცის თავი ქრისტეა, ცოლის თავი — ქმარი და ქრისტეს თავი — ღმერთი" (I კორინთელთა 11:3). მიუხედავად მამაკაცის უპირატესობისა, ქმრებსაც აკის-

რიათ გარკვეული მოვალეობა ცოლის მიმართ: „თქვენც, ქმრებო, გონივრულად მოეპყარით ცოლებს, როგორც უუძლურეს ჭურჭელს, პატივი ეცით, როგორც სიცოცხლის მადლის თანამემკვიდრეებს, რათა ლოცვა არ დაგიბრკოლდეთ“ (I პეტრე 3:7).

ოჯახური აღზრდა. დღეს, როგორც არასოდეს, მწვავე პრობლემებმა იჩინა თავი აღზრდის სფეროში. სასტიკნი და უმართავი გახდნენ ბავშვები, აშკარაა მათი ტენდენცია — უნდობლობა და უპატივცემულობა ყველას და ყველაფრის მიმართ. ამის მიზეზი ზნეობრიობის ქრისტიანული რელიგიისაგან მოწყვეტაა. ასეთი დასკვნის საფუძველს მორწმუნე და ათეისტი ბავშვების შედარება იძლევა. ღვთისმოყვარული ბავშვები სამაგალითონი არიან ყოფაქცევასა და სწავლაში.

ბიბლია იძლევა დიდებულ რჩევებს ღირსეული პიროვნების აღზრდის შესახებ. იგი გვაწვდის განათლების შინაარსს, პედაგოგიურ პრინციპებსა და მეთოდებს, რომელთა ეფექტიურად გამოყენება ხელს შეუწყობს აღნიშნული პრობლემის დადებითად გადაწყვეტას. ოჯახი ის კერაა, სადაც საფუძველი ეყრება ბავშვის სულიერი სამყაროს შექმნას, მისი გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური ელემენტების აღზრდას. აქ მშობლებთან ურთიერთობაში, საოჯახო საქმეებში უშუალო მონაწილეობითა და პრაქტიკული გამოცდილებით, მშობელთა დარიგებებითა და რჩევებით იზრდება და ყალიბდება ბავშვის პიროვნება. ამიტომ მოგვიწოდებს ბიბლია, შვილებს „მიეცი კარგი მაგალითი“-ო. აქ გათვალისწინებულია ბავშვის მიმბაძველობითი ბუნება, რომ იგი ნიმუშებზე აგებს თავის ქცევასა და მოქმედებას, ამიტომ ნიმუში უნდა იყოს უზადო. მშობლების მოვალეობაა გვასწავლის ბიბლია: „ჩააგონებდე შენს შვილებს ღმერთის სიტყვებს და უთხრობდე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას“. ამისთვის საჭიროა თვით მშობელი იდგეს მოწოდების სიმაღლეზე. თავად იყოს აღზრდილი ღვთის შემეცნებით, იცოდეს და სიყვარულით აკეთებდეს მშობლის საქმეს. „შენს გულში გქონდეს ეს სიტყვები, რომლებიც დღეს გამოგიცხადე“ (მეორე რჯული 6:6, 7). აქ იგულისხმება პირველი და დიდი მცნება — უფლის სიყვარულის შესახებ. ე. ი. ღმერთის კანონები პირველად თქვენს გულში უნდა იყოს ჩაწერილი, თუ გსურთ, რომ ისინი ჩაიწეროს თქვენი შვილების გულებშიც. რადგან „შეუძლებელია მისცე სხვას ის, რაც თავად არა გაქვს“ (ადოლფ დისტერვეგი).

შვილებთან ურთიერთობაში ბიბლია მნიშვნელოვან როლს ანიჭებს მშობლების სიყვარულს და კეთილმოსურნეობაში შვილების დარწმუნებას. ბიბლია გვასწავლის: უყავ სიკეთე ჩუმად. გაიხარე მისი სიხარუ-

ლით, განიცადე მისი წარუმატებლობა საკუთრივით, გაუწიე თანადგომა სიტყვით და საქმით. შეუმსუბუქე მდგომარეობა გამოსავალი გზების ჩვენებით, არ მოსცილდე სანამ უსიამოვნება და სევდა მთლიანად არ იქნება მოხსნილი, აგრძნობინე, რომ შენ მასთან ხარ, მისი კეთილ-მოსურნე და თავმდები ყველგან და ყოველთვის, ასეთი ურთიერთობა გააძლიერებს, გააბნევებს და შემართავს სასიკეთო საქმისათვის. ამით ისწავლის გონიერულ ქცევასა და მოქმედებას, აღიძვრება ადეკვატური რეაქციისათვის.

დღენიადაგ თავისი საქმით გართული მშობელი, სცილდება შვილს, გრილდება მშობლიური გრძნობები და სუსტდება მშობლის გავლენა შვილებზე, რასაც შედეგად მოსდევს მწარე სიბერე.

ქრისტეს რჯულში მთავარ მცნებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მცნებას: „პატივი ეცი შენს მამას და დედას, რათა მოგეცეს სიკეთე და დღეგრძელი იყო დედამიწაზე“ (ეფესელთა 6:2, 3); „რადგან უფალმა შვილებზე აამაღლა მამა და დედის მსჯავრი დაამტკიცა ძეთა ზედა“ (სიბრძნე ზირაქისა 3:2).

წმიდაა მამობა, რადგან იგი ზეციერი მამიდან მოდის და „მისგან იწოდება ყოველი მამობა ცაში და ქვეყანაზე“ (ეფესელთა 4:15). მამა-შვილური ურთიერთობის გაუხუნარი, ულამაზესი ნიმუში მოგვცა ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ. იგი მამის მოსიყვარულე და მისი ნების მორჩილი, უმწიკვლოდ და თავგანწირული შემსრულებელია. ის ყოველთვის სიყვარულით, მადლიერებითა და პატივისცემის გრძნობით მიმართავს მამამისს, მაგალითად: „გადიდებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქვეყნისაო...“ (მათე 11:25).

მამის სიტყვა კანონი იყო ქრისტესთვის. იგი დაემორჩილა თავის შემქმნელს და კაცობრიობას მამის ნების აღმსრულებლად მოევლინა: „ჩემი საჭმელია — ვქნა ჩემი მომავლინებლის ნება და დავასრულო მისი საქმე“ (იოანე 4:34). მამის უმძიმესი დავალების პირნათლად შესრულების შესახებ იესო ქრისტემ სიხარულით ამცნო მამას: „მე განგადიდე დედამიწაზე: აღვასრულე შენი საქმე, რაც მომეცი, რომ გამეკეთებინა“-ო (იოანე 17:4).

იესო ქრისტემ მისი ტრაგიკული აღსასრულის წინა დღეს ლოცვით მიმართა მამას და სთხოვა: „მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, აშორიდე ეს სასმისი; მაგრამ არა როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ“ (მათე 26:39). მორჩილი ძე მამისგან ზედმეტს, შეუძლებელს არ ითხოვდა. ეს კარგად ჩანს მის ამ თემაზე მეორედ ლოცვაში, როცა თქვა: „მამაო ჩემო, თუ შეუძლებელია ამარიდო ეს სასმისი, რომ არ შევსვა იგი,

იყოს შენი ნება“ (მათე 26:42). იგი ყოველთვის მოქმედებს არა თავისი, არამედ მამის ნების თანახმად.

იესო ქრისტეს თავისი უმწიკვლობით ისეთი ავტორიტეტი ჰქონდა მამასთან, რომ მისი სახელით მისული არ გაწბილდებოდა: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: „რასაც სთხოვთ მამას, ჩემი სახელით მოგცემთ თქვენ“ (იოანე 16:23).

ძელზე დაკიდებული ღვთის ძის უკანასკნელი თხოვნა მამისადმი იყო უგუნურთა შეწყალება: „მამაო, მიუტევე ამათ, ვინაიდან არ იციან, რას აკეთებენ“-ო (ლუკა 23:34).

ღმერთი იმდენად ენდობოდა თავის მხოლოდშობილს, რომ დედამიწის შესახებ ქრისტესგან მიღებული ინფორმაციებით სარგებლობდა, ამიტომ ღმერთთან მიახლოება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც ქრისტეში გამართლებულია. რადგან იგია შუამავალი ღმერთსა და კაცს შორის.

ღმერთსა და მის ძეს შორის ურთიერთობა ცალმხრივი არასდროს არ ყოფილა, პირველად მამამ აღიარა თავისი ძე, როცა ნათელღებული იესო იორდანეს წყლიდან ამოვიდა, მამამ განუცხადა: „შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“ (ლუკა 3:22), ხოლო ცოტა მოგვიანებით გასცა განკარგულება: „...უსმინეთ მას“.

მამის სიყვარულში დარწმუნებულმა ქრისტემ მამას მიმართა ასე: „შენ შემიყვარე წუთისოფლის შექმნამდე“ (იოანე 17:24), იესო ქრისტე სიამაყით აცხადებს, რომ მამამისი არამარტო ძეს, არამედ მის მოყვარულებსაც პატივისცემით მოეპყრობა: „ვინც მე მემსახურება, მას პატივს მიაგებს მამა“ (იოანე 12:26).

იესო ქრისტეს ის გამოულეველი სიბრძნე, რაც აოცებდა მსმენელს, მტერსა და მოყვარეს, მამისგან ჰქონდა ნასწავლი, მხოლოდ იმას ამბობდა და აკეთებდა, რაც მამამ ასწავლა და აჩვენა, მამისგან განსწავლული ძე მასწავლებლად, კეთილ მოძღვრად მოევლინა კაცობრიობას. კეთილ ცნობას ახარებდა დედამიწაზე: „ყველაფერი გამცნეთ, რაც მამაჩემისგან მსმენია“-ო (იოანე 15-15); ან კიდევ: „მე ჩემით კი არ ვილაპარაკე, არამედ მამამ, ჩემმა მომავლინებელმა, მომცა მცნება, რა ვთქვა და რა ვილაპარაკო“, „...რასაც ვლაპარაკობ, როგორც მამამ მითხრა, ისე ვლაპარაკობ“-ო (იოანე 12:49, 50).

ქრისტემ იცოდა მასზე დაკისრებული მისიის სირთულე, მაგრამ მამისა და კაცობრიობის სიყვარულით ნებაყოფლობით ასრულებდა მას. სწამდა, რომ მისი საქმიანობა მამისგან დაფასებული იქნებოდა. „მე განმადიდებს მამაჩემი, ვისზეც ამბობთ: „ჩვენი ღმერთი არისო“. (იოანე 8:54). მართლაც ქრისტეს განდიდების შესახებ ბიბლია იტყობინება,

რომ მან მამისგან სულიწმინდით მიიღო აღთქმული. ამასთან დაკავშირებით „საქმეების“ (სახარებაში) 5:31-ში წერია: „იგი წინამძღვრად და მაცხოვრად აღამაღლა ღმერთმა თავისი მარჯვენით“-ო. მამის მიერ იესოს განდიდების შესახებ არა ერთგზისაა აღნიშნული „გამოცხადებაშიც“.

იესო დიდად მადლიერი იყო მამის, რომ მან სრული ნდობა გამოუცხადა და სიბრძნითა და სასწაულქმედებათა უნარებით აღჭურვა. ოთხი დღის დამარხული, ხრწნადობაში შესული ლაზარეს აღდგინებით კმაყოფილმა იესომ ამისთვის მადლობა შესწირა მამას: „იესომ თვალები აღაპყრო და თქვა: „მამაო, გმადლობ, რომ მისმინე, მე ვიცოდი, რომ ყოველთვის მისმენ“... (იოანე 11:41, 42).

იესოს მრავალგზის გაუმჟღავნებია მამისადმი ამგვარი მოწიწება და მადლიერება. იგი პირდაპირ აცხადებს: „მე პატივს ვცემ მამაჩემსო“. (იოანე 8:49).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მამაღმერთისა და იესო ქრისტეს ურთიერთდამოკიდებულება კლასიკური ნიმუშია მამაშვილური ურთიერთობისა. ეს ვითარება აღწერილია ბიბლიაში კაცთა სასწავლებლად, დასარიგებლად.

მამაშვილური ურთიერთობის ამ პრაქტიკულ მაგალითებთან ერთად ბიბლიაში მოცემულია ისეთი ბრძნული სწავლება-დარიგებანი, რომელსაც უდიდესი თეორიულ-მეცნიერული ღირებულება გააჩნია აღზრდაში. მაგალითად: „შვილებო, დაემორჩილეთ თქვენს მშობლებს ყველაფერში, ვინაიდან ასეა მოსაწონი უფლისთვის“ (კოლასელთა 3:20), რადგან უფალმა შექმნა ყოველივე და მან უკეთ იცის, რაა უკეთესი ჩვენთვის; არის კონკრეტული მაგალითები იმისა, რომ ყოველ კეთილმოქმედებას ასგზის მეტი სიკეთე მოჰყვება სახლაურად. „მამის პატივისმცემელი ცოდვათაგან განიწმინდება და საუნჯის მაუნჯებელივით არის დედის მადიდებელი“ (სიბრძნე ზირაქისა 3:3, 4). უფრო მეტიც, მამის მადიდებელი თავისივე შვილებით გაიხარებს და მისი ვედრება შესმენილი იქნება (სიბრძნე ზირაქისა 3:5). მორჩილი და დედ-მამის პატივისმცემელი შვილი თავის თავსაც და მშობლებსაც შვებას მოუტანს და საკუთარი შვილებისთვისაც კარგი მაგალითის მიმცემი იქნება.

ბიბლიაში, მშობლებისა და შვილების ურთიერთობასთან დაკავშირებით, ყოველი დეტალი გათვალისწინებულია. უღმერთო წუთისოფელში ყველა მშობელი ვერ იქნება მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გარკვევითაა მოცემული პრობლემის გადასაჭრელი მეთოდები, რაც უეჭველად აღძრავს შვილებს მშობლების მიმართ სიყვარულითა და პატივისცემით. ამის საფუძველია იმის შეგნება, რომ ღმერ-

თის კურთხევითა და მშობლების მეოხებით მოგვეცა სიცოცხლე. ცხრა თვე შვილის მუცლით ტარება და უთვალავი უძინარი ღამეები, გაზრდაზე დახარჯული დრო, ენერგია, ცოდნა-გამოცდილება, გაწეული ხარჯები და მრავალი მისთანანი იძლევა იმის საფუძველს, რომ ამის საზღაურად მშობლებმა მიიღონ შვილებისაგან დაფასება მაინც. ამდენად ყოვლად დაუშვებელია შვილებისგან მშობლებისადმი უდიერი დამოკიდებულება: „ვინც მამაზე ძალმომრეობს და დედას დევნის, იგი უტიფარი და მარცხვენალი შვილია“ (სიბრძნე ზირაქისა 19:26). უტიფრობისათვის მას აუცილებლად სამაგიერო მიეზღვება: „დედ-მამის მაგინებელს უკუნეთ ღამეში ჩაუქრება ლამპარი“ (სიბრძნე ზირაქისა 20:20); იგი ღვთის თვალში საძაგელი იქნება, განაწყენებული მშობლების წყევლა უზენაესის მიერ შესმენილი იქნება, „რადგან კურთხევა მამისა შვილთა სახლებს განამტკიცებს, წყევლა დედისა კი საძირკველითურთ აღმოფხვრის“ (სიბრძნე ზირაქისა 3:9).

სოლომონ ბრძენი გვიზიარებს თავის გამოცდილებას სწავლისა და სიბრძნის მნიშვნელობის შესახებ. იგი წერს: „უბედურია, ვინც სიბრძნესა და სწავლას შეურაცხყოფს; ამაოა იმედი მათი, შრომა უნაყოფოა და მათი საქმეები უსარგებლო, მათი ცოლები უგუნურნი არიან, ხოლო შვილები — უკეთურნი, დაწყეველილია მათი მოდგმა“ (სიბრძნე სოლომონისა 3:11, 12).

დიახ! სწორედ ბიბლიური ცოდნა და სიბრძნე იძლევა უტყუარ პასუხებს კითხვებზე: რა ვაკეთო? როგორ ვაკეთო? რისთვის ვაკეთო? უხვად გვაწვდის იგი სასარგებლო და აუცილებელ რჩევებს მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრების მოსაპოვებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ბიბლიური სიბრძნით კი არ ვსარგებლობთ, არამედ მის მიღმა ვფათურობთ სიბნელეში. ვინაც რაღაც მარცვალი აიღო ბიბლიიდან და გამოიყენა, ის კლასიკოსად შეირაცხა, ხოლო ცოდნის ეს პირველი წყარო გაუტეხავ ყამირად რჩება დღემდე, თუ მცირერიცხოვან ჭეშმარიტ ქრისტიანებს არ ჩავთვლით.

შვილთა ურჩობის შესახებ ბიბლია იტყობინება, „...უკანასკნელ დღეებში საზარელი ჟამი დადგება, ვინაიდან ადამიანები იქნებიან თავმოყვარენი, ვერცხლისმოყვარენი, ამაყნი, ამპარტავანნი, მგმობელნი, მშობლების ურჩნი, უმადურნი...“ (II ტიმოთე 3:2). შემდეგ: „...ზოგიერთი მათგანი იპარება სახლებში და აცდუნებს უგუნურ ქალებს, ცოდვებში ჩაფლულთ, და სხვაგვარი გულისთქმით შეპყრობილთ, რომლებსაც ღვთისმოსაობის სახე აქვთ, მის ძალას კი უარყოფენ, ეწინა-

აღმდეგებიან ჭეშმარიტებას გონებით გახრწნილნი და რწმენაში უმეცარნი“ (II ტიმოთე 3:6, 7).

უღმერთობაა ყოველგვარი ბოროტების სათავე. ღვთისმოშიშობა და ღვთისმოსაობა ხდის პიროვნებას უაღრესად ზნეობრივს, ღირსეულს, სულიერებით გამორჩეულს, თავისი ფუნქციების, დანიშნულებისა და მოვალეობის ცოდნით აღჭურვილს, კეთილმოქმედს და გონიერს, თავშეკავებულს, გაწონასწორებულს, ნათელი მომავლის იმედით გაბრწყინებულს.

ბიბლიურ სიბრძნეს არ ვუსმენთ, ადამიანური სიბრძნე ვერ წყვეტს პრობლემებს. დილემის წინაშეა კაცობრიობა, ოჯახში ეყრება საფუძველი ყველა იმ თვისებებს, რომელიც სჭირდება პიროვნებას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ურწმუნო ოჯახი კი მოკლებულია ამ შესაძლებლობებს.

ამრიგად, ოჯახისა და ოჯახური აღზრდის პრობლემათა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ბიბლიურ კანონებზე დაყრდნობით. პირადი მაგალითი, მეგობრული ურთიერთობა, ღვთის შემეცნებით განსწავლა და რაც მთავარია — სიყვარული ის პრინციპებია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ჭეშმარიტი ქრისტიანის ჩამოყალიბება.

ბიბლია ქორწინების შესახებ

ქალ-ვაჟის სამეჯნურო ურთიერთობა დასაბამიდან იღებს სათავეს. ამის შესახებ იესო ქრისტე მიუთითებს: „ნუთუ არ წაგიკითხავთ, რომ შემოქმედმა დასაბამიდან მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი?“, ამიტომ მიატოვებს კაცი მამას და დედას, მიეწებება თავის ცოლს და ორნი იქნებიან ერთხორცად. „ამიტომ ვინც ღმერთმა შეაუღლა, კაცი ნუ დააშორებს მათ“ (მათე 19:4, 5, 6).

სიყვარულის გრძნობა, სქესობრივი ლტოლვა თვით ადამიანის ბუნებაში დევს და მისი ფსიქო-ფიზიკური მომწიფებისთანავე იჩენს თავს. ჰეშმარიტი სიყვარული აღაფრთოვანებს ადამიანს და აღძრავს საგმირო-საქველმოქმედო საქმეებისაკენ. სიყვარულის ძალაზე სოლომონ ბრძენი წერს: „ვერ დაშრეტს სიყვარულს წყალი მრავალი და მდინარე ვერ წარხოცავს მას“ (ქებათა-ქება სოლომონისა 8:7). ამ გრძნობამ აღძრა რუსთაველი უკვდავი საგალობელი დაეფრქვია სიყვარულზე.

სიყვარული როგორც ამაღლებული ზნეობრივი კატეგორია შეუდარებელ პოეტურ ფერებში დაგვისატა ალექსანდრე ჭავჭავაძემ ლექსში „სიყვარულო ძალსა შენსა“.

„სიყვარულო ძალსა შენსა, ვინ არს რომე არ ჰმონებდეს,
ვინ არს რომე ოხვრას ხარკად, გულსა ტახტად არა გცემდეს,
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
და ბულბულსა რად ეძრახვის, რომ შენს გამო ვარდს შეჰყეფდეს“.

ჰეშმარიტი სიყვარულის დამაგვირგვინებელი აქტი ქორწინებაა, ქორწინების გარეშე კავშირი — ვკითხულობთ ბიბლიაში — „სიძვაა, უწმიდურობა და თავაშვებულობაა“ (გალატელთა 5:19). ამიტომ, ბიბლიის მიხედვით „სიძვის თავიდან ასაცილებლად ყოველ მამაკაცს ჰყავდეს თავისი ცოლი და ყოველ დედაკაცს — თავისი ქმარი“ (I კორინთელთა 7:2). ან კიდევ: „ახალგაზრდები გათხოვდნენ, გააჩინონ ბავშვები, იდიასახლისონ და არ მისცენ მტრებს ლანძღვის საბაბი“ (II ტიმოთე 5:14).

საღვთო წიგნი გვასწავლის, რომ ქორწინებაში ნაჩქარევად, წინდაუხედავი გადაწყვეტილების მიღებას შეიძლება მოჰყვეს არასასურველი შედეგები. ამიტომ შეყვარებულებს შეგნებული უნდა ჰქონდეთ ქორწინებასა და ცოლ-ქმრულ ურთიერთობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა.

სანამ ვაჟი თავის რჩეულს სიყვარულს გაუმჟღავნებდეს, მას დაქორწინება მტკიცედ უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილი თავისი ფსიქო-ფიზიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით; გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მამაკაცი, როგორც ოჯახის თავი, ვალდებულია უზრუნველყოს ოჯახის სულიერ-მორალური, მატერიალური და ფიზიკური მოთხოვნილებები.

წარმატებული ქორწინებისათვის ორივე მხრისათვის აუცილებელია გარკვეული ცოდნა ცოლ-ქმრული ურთიერთობისა და ოჯახური ბედნიერების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, სწორი არჩევანის გასაკეთებლად საჭიროა თვითშეცნობა, რომ საკუთარ თავზე ობიექტური წარმოდგენა ჰქონდეს ერთსაც და მეორესაც. ბიბლია გვარიგებს, რომ განსაკუთრებით სახიფათოა გადაჭარბებული შეხედულება საკუთარ „მ“-ზე, იგი ამპარტავნობასა და ქედმაღლობას წარმოშობს, რაც საძაგელი თვისებებია ღმერთის თვალში, „რადგან დასაბამი ამპარტავნობისა ცოდვაა და ვისაც იგი აქვს, სისაძაგლეს ამოანთხევს“ (სიბრძნე ზირაქისა 10:13).

ოჯახის შექმნის გადაწყვეტილების მიღებისა და თვითშეცნობის საფუძველზე იქმნება შესაბამისი წარმოსახვითი მოდელი საცოლის პიროვნებაზე. სწორი არჩევანის მიღებაში მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია ბიბლიურ პრინციპებს ქორწინებასთან დაკავშირებით.

გარკვეული მოთხოვნებია როგორც საცოლის, ასევე საქმროს მიმართ. მაგალითად, I ტიმოთეს მე-2 თავში წერია: „ასევე დედაკაცებიც წესიერი სამოსლით, მორცხვობით და კდემამოსილებით შეიმკონ. არა თმის დაწვნით და ოქროთი, ან მარგალიტებით, ან ძვირფასი ტანსაცმლით, არამედ კეთილი საქმეებით, როგორც შეჰფერით დედაკაცებს, რომლებმაც ღვთისმოსაობა ირჩიეს“. (I ტიმოთე 2:9, 10). იქვე ვკითხულობთ, რომ ქალს შეშვენის მდუმარება და თავმდაბლობა: „დედაკაცი უნდა სწავლობდეს მდუმარებაში ყოველგვარი მორჩილებით“ (I ტიმოთე 2:11), რომ მას არ ეძლევა სენტენციების, ქმარზე ბატონობის უფლება (I ტიმოთე 2:12), რადგან პირველად ადამი შეიქმნა, და მერე ევა: „ვინაიდან მამაკაცი კი არ არის დედაკაცისგან, არამედ დედაკაცი — მამაკაცისგან. ასევე მამაკაცი კი არ შექმნილა დედაკაცის გულისათვის, არამედ დედაკაცი — მამაკაცის გულისათვის, თუმცა ისევე

როგორც დედაკაცი მამაკაცისაგან არის, მამაკაციც დედაკაცის მეოხებით არის, ხოლო ყოველივე ღვთისგან არის". (I კორინთელთა 11:8, 9, 12).

ამასთანავე ბიბლიაში ქალი ბრალდებულია, რადგან „ადამი კი არ შემცდარა, არამედ დედაკაცი შეცდა და დანაშაული ჩაიდინა (ტიმოთე 2:14), მაგრამ პატიება აქვს რწმენის, კარგი მეუღლეობისა და დედობის გამო: „თუმცაღა გადარჩება შვილების შობით, თუ იდგება რწმენაში, სიყვარულსა და სიწმიდეში კდემამოსილებით" (I ტიმოთე 2:15) და იქნებიან „აზრიანნი, სუფთანნი, სახლზე მზრუნველნი, კეთილნი, თავიანთი ქმრების მორჩილნი" (ტიტე 2:5).

მიუხედავად მამაკაცის უპირატესობისა, ქალსაც აქვს არჩევანის უფლება. ბიბლიაში პირდაპირი გაფთხილებაა: „ნუ იმეგობრებ ბრაზიან კაცთან და ფიცხ კაცს ნუ მიეკარები" (იგავნი სოლომონისა 30:20).

იმისათვის, რომ გაირკვეს თუ რამდენად შეეფერებიან ერთმანეთს ქალ-ვაჟი, ბიბლია გვთავაზობს რჩევას: „ესენიც წინასწარ უნდა გამოცადონ და შემდეგ, თუ უბიწონი იქნებიან, შეუღლდნენ" (I ტიმოთე 3:10).

წინასწარი გამოცდა კი გულისხმობს ურთიერთგაცნობას, შეხვედრებს, ერთად გასეირნებას, საუბარს, ერთმანეთის ბუნების, ხასიათის, მიდრეკილებების, ინტერესების, მიზნების, საერთოდ სულიერ და მიწიერ ცხოვრებაზე თვალსაზრისის და სხვა ფსიქიკური და ზნეობრივი თვისებების გარკვევას, მაგრამ აუცილებლად გამორიცხავს ინტიმურ-სქესობრივ კავშირს: „ოღონდ სიძვა, ყოველგვარი უწმიდურობა და ანგარება აღარ იხსენებოდეს თქვენს შორის, როგორც წმიდებს შეშვენით (ეფესელთა 5:3).

ახალგაზრდები, თავიანთი გამოუცდელობის გამო რომ არ მოჰყვნენ სიყვარულის ცეცხლის და სამიჯნურო ურთიერთობა სიძვაში არ გადაიზარდოს, ბიბლია იძლევა ორივე მხრისთვის შესანიშნავ დარიგებებს: „ჭაბუკებსაც შეაგონონ, რომ თავშეკავებულნი იყვნენ" (ტიტე 2:6), ისწავლონ გრძნობების გონებისადმი დამორჩილება, გაითვალისწინონ სიძვის ტრაგიკული შედეგები. საღვთო წიგნის მიხედვით გრძნობებისაგან თავშეკავება შეუძლია მას, „ვინც სიტყვით არ ცდება, სრულყოფილი ადამიანია, მას შეუძლია ალაგმოს მთელი სხეულიც" (იაკობი 3:2). საერთოდ, მამრობითი სქესი კაციდან დაწყებული პირუტყვამდე ღმერთისთვის წმინდაა: „წმიდა ჰყავი ჩემთვის ისრაელიანთა ყოველი პირმშო, საშოს გამღები, კაციდან პირუტყვამდე" (გამოსვლა 3:2). „ყოველ მამროვანს, რომელმაც განაპოს საშო, უფლის წმიდა ეწო-



დოს“ (ლუკა 2:23). ეს იმის მიმანიშნებელია, რომ წმიდა მამაკაცი სიძვით თავს გაიუწმინდურებს, ამიტომ უნდა ერიდოს სქესობრივ თავისუფლებას.

ევას გამო ცოდვაში ბრალდებული მდედრობითი სქესის წარმომადგენელნი თავიანთი უმწიკვლოებითა და ჭეშმარიტი რწმენით უნდა გამართლდნენ, ამიტომ ყოველ შესაფერის შემთხვევას უნდა იყენებდნენ თავიანთი უბიწოებისა და თავშეკავების დასამტკიცებლად.

შეყვარებულებს უნდა ახსოვდეთ, რომ მოპირდაპირე სქესისადმი მამაკაცებს უფრო მეტად ფიზიკური ლტოლვა აქვთ, ქალებს კი — სულიერ-ფსიქიკური, ამიტომ გოგონამ ყოველთვის ისე უნდა დაიჭიროს თავი, რომ მის რჩეულ ყმაწვილს არ მიეცეს გრძნობების თავისუფლად გამოვლენის საშუალება, მოერიდოს მიყრუებულ, უკაცრიელ უბნებს, სიბნელეს და სხვა საუხერხულო ადგილებს: „თვალებს ნუ აცეცებ ქალაქის ქუჩებში და მის უკაცრიელ უბნებში ნუ დახეტიალობ“. (სიბრძნე ზირაქისა 9:6). ქალიშვილის თავშეკავებით გამოწვეული მიუწვდომელობა მგზნებარებას ჰმატებს სიყვარულს და აჩქარებს ქორწინებას.

მაშასადამე, ქორწინების მთავარ პირობას წარმოადგენს შეხედულებათა და ინტერესთა შესაბამისობა, სიწმინდე და გულწრფელობა.

სტუმარ-მასპინძლობის ბიბლიური პრინციპები

სტუმართმოყვარეობა ერთ-ერთი ბიბლიური პრინციპია. იგი საღვთო წერილებში განიხილება როგორც ბიბლიური მცნების: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი"-ს (მათე 22:39) ნაწილად. ბიბლიაში პირდაპირი მოწოდებაა: „მონაწილეობა მიიღეთ წმიდათა საჭიროებაში, ესწრაფეთ სტუმართმოყვარეობას"-ო (რომაელთა 12:13); ამასთანავე მასში მოცემულია სტუმართმასპინძლობის მკაფიო ნიმუშები. აქ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს საანალიზოდ. 3500 წლის წინათ ძოსემ დაბადების 18:28-ში ჩაწერა სტუმართმასპინძლობის ასეთი შემთხვევა: „თვალი აახილა და ხედავს, სამი კაცი დგას მის შორიახლოს; დაინახა და გაიქცა კარვის კარიდან მათ მისაგებებლად და დაბლად თაყვანისცა. უთხრა, ბატონო. თუ რამ მაღალი ვპოვე შენს თვალში, გვერდს ნუ აუვლი შენი მორჩილის კარს. მცირეოდენ წყალს მოვატანინებ და ფეხს დაგბანენ, მერე მოისვენეთ ხის ჩრდილში. პურს გამოგიტანთ, დანაყრდით, მერე კი წადით თქვენს გზაზე, რაკიღა თქვენი მორჩილის კარზე გამოიარეთ. მათ უთხრეს: გააკეთე, რასაც ამბობ-ო.

გაიქცა აბრაამი კარავში სარასთან და უთხრა: აბა, საჩქაროდ სამი სეა გამტკიცული ფქვილი მოზილე და ხმიადები დააცხვე. მერე საქონლისკენ გაიქცა აბრაამი, გამოიყვანა ჩვილი და საღი ხბო და მსახურ ბიჭს მისცა, მანაც სასწრაფოდ დაკლა იგი და გაამზადა. გამოიტანა ერბო და რძე. გამზადებული ხბოს ხორცი და წინ დაუწყო; ისინი ჭამდნენ, თავად კი ხის ძირას იდგა შორიახლო" (დაბადება 18:2-8).

მეორე მაგალითი ეხება ლოტის სტუმართმოყვარეობის ფაქტს, აი, ისიც. „დაინახა ისინი ლოტმა, წამოუდგა მისაგებებლად და მდაბლად თაყვანისცა. უთხრა: აქეთ მობრძანდით, ჩემო ბატონებო, შემოუხვიეთ თქვენი მორჩილის სახლში. ფეხს დაიბანთ, ღამეს გაათევთ, დილით კი ადრე ადგებით და თქვენს გზაზე წახვალთ. უთხრეს: — არა, ქუჩაში გავათევთ ღამეს. არ მოეშვა ლოტი და მათაც შეუხვიეს მის სახლში. გაუმზადა სასმელი ლოტმა, დაუცხო ხმიადები და ჭამეს" (დაბად. 19:1-3).

მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს თუ რა მაღალ დონეზე იდგა სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია კაცობრიობის დასაბამშივე. სტუმარი თავშეკავებულია, მასპინძელი კი — კეთილი, გულუხვი. სტუმარს— უცხო პირს მოწიწებით პატიჟობენ სახლში და უპირველეს ყოვლისა, სთავაზობდნენ წყალს გასაგრილებლად და ფეხის დასაბანად. „მცირედენ წყალს მოვატანინებ და ფეხს დაგბანენ“ (დაბად. 18:4); შემდეგ კი — დასვენებას. მერე მოისვენეთ ხის ჩრდილში“ (დაბ. 10:4). აქედან ცხადია, რომ ეზოში ედგათ სპეციალური საჩრდილობელი ხე. სკამები, ან იქნებ წამოსაწოლიც ჰქონდათ. ამ პროცედურების შემდეგ იმართებოდა პურის ჭამა. „პურს გამოგიტანთ, დაჰყნარდით, მერე კი წადით თქვენს გზაზე“ (დაბად. 18:5). „პურის ჭამის“ ამ ლაკონური ფორმულის შინაარსში საქონლის დაკვლა, ხმიადების დაცხობა, ერბო, ცოტაოდენი სასმელიც იგულისხმებოდა.

აბრაამისა და სარას, ასევე ლოტის მასპინძლობის ეპიზოდებით შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე მასპინძლის მოვალეობის შესრულების ემოციური მხარეც და ტემპიც. მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ სტუმრის მიღების ინიციატორები თვით მასპინძლები არიან. სტუმრებმა გაიარეს კარებთან-ო. მასპინძლებმა დაუძახეს, მიესალმნენ და ალალი გულით შემოიპატიჟეს ისინი. მათ ახარებდათ ეს შემთხვევა და სიხარულით დატრიალდნენ კიდეც, რომ მოყვასისადმი სიყვარულის გამოვლინებით ღმერთიც ეამებინათ და სტუმრებიც გაეხარებინათ.

სტუმარ-მასპინძლობა მხოლოდ პურ-მარილობა რომ არაა, ესეც კარგადაა ნაჩვენები მოტანილ ეპიზოდში. ამასთანავე მასპინძელი ვალდებულია საჭირო შემთხვევაში სტუმრის უსაფრთხოებაც უზრუნველყოს. ეს წესიც ლოტიმ ბრწყინვალედ დაიცვა; როცა სოდომელები თავს დაესხნენ ლოტის სტუმრებს, მასპინძელი მათ მედგრად დაუხვდა. „ვიდრე დაწვებოდნენ, გარს შემოადგნენ სახლს ქალაქის მკვიდრნი, სოდომელი კაცები — ჭაბუკი თუ მოხუცი, მთელი ხალხი მოადგა ყოველის მხრიდან“ და ლოტს უბრძანეს: შენი სტუმრები გამოიყვანეთ ჩვენთან, უნდა შევიცნოთო. ლოტმა უთხრა: „ნუ იზამთ ბოროტებას, ძმებო! აჰა, ორი ქალიშვილი მყავს, რომელთაც მამაკაცი არ იციან; მათ გამოგიყვანთ და უყავით, რაც გენებოთ. ოღონდ ამ კაცებს არაფერი ავნოთ, რადგან ჩემს ჭერქვეშ არიან შემოსულნი“-ო.

ლოტის პასუხით განრისხებულნი მიეჭრნენ კარს შესამტვრევად. ამ დროს სტუმრებმაც გულზე ხელი არ დაიკრიფეს, ლოტი შინ შემოიყვანეს და კარები ელვის სისწრაფით ჩაკეტეს. ხოლო მომხდურებს სიბრმავე მოჰგვარეს. შემდეგ ლოტი თავისი ცოლ-შვილით ქალაქგარეთ სამ-

შვიდობოს გაიყვანეს და თან გააფრთხილეს: უკან მოუხედავად სასწრაფოდ განრიდებოდნენ იქაურობას.

თურმე ლოტის სტუმრები ანგელოზები ყოფილან და ღირსეული მასპინძლის ოჯახი დაღუპვას გადაარჩინეს.

ლოტი და მისი ორი ქალიშვილი ანგელოზების რჩევისამებრ მოიქცნენ, რომ უკანმოუხედავად გაქცეულიყვნენ, მაგრამ ლოტის ცოლმა მაინც ვერ მოითმინა და უკან მოიხედა. ურჩობის გამო ქალი მაშინათვე მარილის სვეტად იქცა. ესეც მნიშვნელოვანი დეტალია ღვთის მორჩილების აუცილებლობის შეგნებისათვის.

როგორც ვხედავთ, უბრალოდ, მაგრამ ისე მომხიბვლელადაა აღწერილი ბიბლიაში სტუმარ-მასპინძლობის პროცესი, თითქოს სამი ათას ხუთასი წლის წინათ კი არა, ახლა, ჩვენს თვალწინ ხდებოდეს მოქმედება. განსაკუთრებით საინტერესოა მასპინძლის ორგანიზატორული უნარი, რაც შრომის ოპერატიულ განაწილებაში აირეკლა. მაგალითად: „გაიქცა აბრაამი კარავში სარასთან და უთხრა: აბა, საჩქაროდ სამი სეა გამტკიცული ფქვილი მოზილე და ხმიადები დააცხვე. მერე საქონლისკენ გაიქცი აბრაამი“ და ა. შ. „გაიქცა“, ისევ „გაიქცა“, „საჩქაროდ“... ეს დინამიკური წმნები და ვითარების გარემოება მიგვანიშნებენ, თუ რა სისწრაფით მოქმედებდნენ მასპინძლები, სტუმრებს დიდხანს ლოდინი რომ არ დასჭირვებოდათ.

ბიბლია გვასწავლის, რომ განსაკუთრებით მშიერ-მწყურვალების, ღარიბ-ღატაკების და ქვრივ-ობლების შეწყნარება-გამასპინძლება სათნოებაა ღვთის თვალში. თანასწორად შექმნილთა შორის უთანასწორობა ცოდვაკისეულია და განკითხვამდე ღვთისნიერებამ უნდა დაიცვან მათზე სუსტები. ვინც დაალევინებს ერთს ამ მცირეთაგანს თუნდაც ერთ სასმის ცივ წყალს მოწაფის სახელით, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მას არ დაეკარგება თავისი საზღაური“ (მათე 10:42) — თქვა იესო ქრისტემ.

მასპინძლობა, როგორც ღვთაებრივი ფუნქცია პიროვნებისა, გულისხმობს მოყვასის მიმართ ხელგაშლილობას, რაც ვლინდება იმაში, „რომ მშიერს გაუყო შენი პური და უსახლკარო ღარიბნი—ღატაკნი სახლში შეიყვანო, რომ შემოსო შიშველი, როცა დაინახავ, და შენს სისხლსა და ხორცს არ დაემალო?“ (ესაია 58:1(7).

ისევ ესაიას 58:10-ში ვკითხულობთ: „თუ სულს არ დაიშურებ მშიერისათვის და ტანჯულ კაცს გულს მოუფონებ, წყვდიადში ამოგიბრწყინდება ნათელი და შენი ბნელი შუადღესავით იქნება“. სწორედ ამ სტრიქონების ექოს ვგრძნობთ რუსთაველის სიმღერაში: „კარგი ჰქენი, ქვას დაღევი, იარე, წინ დაგხვდებაო“.

იყავი კაცთმოყვარე და უფლისმიერ იქნები მორწყული ბაღივით და წყაროსავით, ვკითხულობთ ესაიას 58:11-ში.

დიახ, ბიბლიური პრინციპი სტუმარ-მასპინძლობა ზოგადკაცობრიული ნორმაა, „რამდენადაც ყველას გვიყვარს ყურადღება, მოფერება, დაფასება. ამასთანავე სტუმარ-მასპინძლის როლი ცვალებადია და წინასწარ არავინ იცის ვინ როდის იქნება სტუმარი და როდი მასპინძელი. ამიტომ ბიბლია გვირჩევს, სტუმრობისას უნდა გვახსოვდეს მასპინძლობის ჯერი, ასევე მასპინძელსაც — რომ მასაც მოუწევს სტუმრობა.

სტუმრობასთან დაკავშირებული არც ის დეტალია დავიწყებული საღვთო წიგნში, რომ სტუმრობის ეფექტს დროის შეგრძნება მართავს. გაჭიანურებული სტუმრობა რომ მომაბეზრებელია და ამ დროს სტუმარი ვადაგასულ ნივთს ემსგავსება. სტუმარმა მასპინძლის ხელგაშლილობა ბოროტად არ უნდა გამოიყენოს, სტუმრობის „ლიმიტი" სხვა შემთხვევასთვისაც უნდა დაიტოვოს.

სტუმარ-მასპინძლობის ეს ძვირფასი და აუცილებელი ბიბლიური კანონი თავისი უნივერსალობის გამო დღემდე არსებობს. ყოველშემთხვევაში ყველას სურს სტუმართმოყვარის სახელი ჰქონდეს. მაგრამ იგი უფრო მეტი სიფაქიზით იქაა შემონახული, რომელსაც „ელიტა" თავისებური გაგებით „პროვინციებს" ეძახის („ელიტა", რომელიც სტუმრის როლს დიდი სიამოვნებით ასრულებს, მაგრამ მასპინძლის როლისადმი მწყრალადაა).

ბიბლიის მიხედვით, სტუმარ-მასპინძლობის ზნეობრივი ღირებულება გულის მოტივებით განისაზღვრება. თუ ეს მოქმედება ნაკარნახევია გულისთქმებით: — პატივმოყვარეობა, თავმოწონება, უპირატესობის დემონსტრაცია, სამაგიეროს მოლოდინი და მისთანანი — მაშინ ეს უნიკალური ტრადიცია კარგავს ხარისხს.

სტუმარ-მასპინძლობის მოტივები უნდა იყოს უზადო სიყვარული უფლისადმი, რაც გამოიხატება მისი კანონებით მოქმედებაში, მორჩილებასა და ერთგულებაში, — უფლის სიყვარული ბადებს მისი ქმნილებებისადმი სიყვარულს, ამ შემთხვევაში — მოყვასის სიყვარულს. უფლისა და მოყვასის სიყვარული აცისკროვნებს სტუმარ-მასპინძლურ ურთიერთობას.

გულის მოტივები ფორმალური ქცევითა და მოქმედებით არ დაიცვარება, რადგან ღმერთი გულისა და ზრახვების შემმოწმებელია (ფსალმ. 7:10).

იესო ქრისტემ თავისი ქრისტიანები საქადაგებლად რომ მიაგზავნა, მათ უთხრა, რომ არავითარი ზედმეტი ბარგი არ წაეღოთ, რადგან ისი-

ბი ღირსნი იყვნენ თავიანთი შრომით, მათთვის მასპინძლობა დამხვდურებს, მათივე მსგავსთ, სისხლსა და ხორცს გაეწია. „ნუ წაიღებთ თან ნურც ოქროს. ნურც ვერცხლს, ნურც სპილენძს თქვენი სარტყლებით; ნურც ფუთას გზაში, ნურც ორ სამოსელს, ნურც ფეხსაცმელს, ნურც ხელჯოხს, ვინაიდან მშრომელი თავისი საზრდოს ღირსია“ (მათე 10: 9.10) .„რომელ სახლშიც შეხვიდეთ, უწინ ეს თქვით: მშვიდობა ამ სახლს, თუ იქნება იქ მშვიდობის ძე, მასზე დაივანებს თქვენი მშვიდობა. თუ არადა თქვენვე დაგიბრუნდებათ“. თუ კარგად მიგიღეს, „იმავე სახლში დადექით, ჭამეთ და სვით, რაც მათ აქვთ, ვინაიდან მშრომელი ღირსია თავისი საზღაურისა“ (ლუკა 10:5, 6, 7).

ქრისტეს სწავლებების მიხედვით, ვინც კეთილ, სასარგებლო და საზოგადო საქმეებს აკეთებს, ვალდებულია სხვა, ვისაც ხელი მიუწვდება, ძორალური და მატერიალური თანადგომა გაუწიოს მას. ამით მოცემულ შემთხვევაში ორივე მხარე აღასრულებს ღვთის ნებას და კურთხევებიც არ დააყოვნებს.

სტუმარ-მასპინძლური ურთიერთობის კულტურის გამომუშავებას პიროვნებაში ადრეული ასაკიდანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი ოჯახში. ხოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს ამ მხრივ თეორიული ცოდნა-შეგნების ამაღლება სწავლების გზით.

მეტყველება — სამყაროს საოცრება

მეტყველება — ეს არის სამყაროს პირველი და განუმეორებელი საოცრება, რითაც ღმერთმა დააჯილდოვა თავისი უდიდესი ქმნილება — ადამიანი. ბიბლია გვამცნობს ღმერთისა და ადამის დიალოგს. მაგალითად: „გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი, უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში. მხოლოდ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდებიო". „დაუძახა უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა: ადამ, სადა ხარ?

მიუგო: შენი ხმა მომესმა ბაღში და შემეშინდა, შიშველი რომ ვარ, და დავიმალე.

უთხრა: ვინ გითხრა შიშველი რომ ხარ? იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია, მე რომ აგიკრძალე?

უთხრა ადამმა: შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შევჭამე.

უთხრა უფალმა ღმერთმა დედაკაცს: ეს რა ჩაიდინე? თქვა დედაკაცმა: გველმა შემაცდინა და მეც შევჭამე.

უთხრა უფალმა ღმერთმა გველს: ...." (დაბადება 3:9—14) და ასეთი მაგალითები „უთხრა ღმერთმა", „მიუგო", „თქვა", „გააფრთხილა" და ა. შ., ცხადყოფს მეტყველების უნარის ღვთისმიერობას (დაბადება 2; 16, 17). ადამი არა მარტო ღმერთთან საუბრობდა, აგრეთვე მას ჰქონდა უნარი ახალი სიტყვების მოფიქრებისა. მასვე დაავალა ღმერთმა დედამიწაზე არსებულთათვის სახელის დარქმევა: „გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი, რომელ სულდგმულს რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა" (დაბადება 2; 19).

ასევე ადამს სიტყვიერი ურთიერთობა ჰქონდა ევასთან. ე. ი. ადამი მეტყველებდა, სხვის მეტყველებას იგებდა და თავადაც იგონებდა სიტყვებს. აქ პირდაპირ ნათელია, რომ მეტყველება ევოლუციის ნაყოფი არ არის. იგი მზად მიეცა ღმერთისგან კაცობრიობას. სიტყვა იყო დასაბამიდან. სიტყვის პირველობაზე არა ერთგზისაა მითითებული ბიბლიაში.

სოლომონ ბრძენი სიტყვის პირველობას უსვამს ხაზს, როცა წერს: ღმერთო მამა-პაპათა და წყალობის უფალო, რომელმაც ყოველივე შექმენი შენი ს ი ტ ყ ვ ი თ, გამომსახველი კაცისა შენი სიბრძნით, რათა მეუფებდეს იგი შენ მიერ გაჩენილ ქმნილებებზე, რათა სიწმინდითა და სიმართლით განაგებდეს სოფელს და წრფელი სულით სჯიდეს სამართალს" (სიბრძნე სოლომონისა 9:1-4).

იაკობის 1:17-ში წერია: „ყველა კეთილი საბოძვარი და ყველა სრულყოფილი ნიჭი მაღლიდან მოდის, ნათელთა მამისაგან, რომელთანაც არ არის ცვლილება და არც ჩრდილი ცვალებადობისა".

დიახ, სიტყვა (მეტყველება) უზენაესისაგან მოდის და იგი უცვლელი და მარადიულია. ღმერთმა სიტყვა შექმნისა და აღმშენებლობისთვის, ყოველგვარი კეთილი და დიადი საქმისთვის გამოიყენა.

ენა — სხეულის ეს პატარა, მაგრამ საკვირველი ნაწილი გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ჭეშმარიტების სწორად გადამცემად, გარკვეულობის, მშვიდობისა და ბედნიერების მოსატანად. ბიბლია გვაფრთხილებს, რომ ენა ბოროტად არ უნდა იქნეს გამოყენებული. სოლომონის იგავნის 15:4-ში ვკითხულობთ: „ტკბილი ენა სიცოცხლის ხეა, ცბიერი კი სულის შემუსვრა". ამიტომ „მოერიდე ამქვეყნიურ ლაყბობას, რომელსაც უფრო და უფრო მიჰყავს ხალხი უღვთოებისაკენ". მოლაყბეთა „სიტყვა ღია წყლულივითაა, რომელიც ჭამს ხორცს" (II ტიმოთე 2: 16, 17). მართლაც როგორც სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები განსხვავებულ ხმებს გამოსცემენ მათი ბუნების შესაბამისად, ასევე არიან ადამიანებიც. კეთილი კეთილს ამბობს. ბოროტი — ბოროტეულს. სიტყვა ავლენს პიროვნების გონიერებასა და ჭკუას. სიბრძნე ზირაქისას 4: 24-ში ჩაწერილი სიტყვები სწორედ ამ აზრის დამოწმებაა: „სიბრძნე სიტყვით შეიცნობა და ცოდნა — ენის მეტყველებით"-ო.

ბრძენის ხელში სიტყვა მიზანს ხვდება მუდამ, რადგან მან იცის როდის, ვისთან, რა თქვას. სიტყვის დროულობა და სარგებლიანობა მისი შედეგით დასტურდება. ბრძენი ყოველთვის ჭვრეტს ჟამს უბნობისა და ჟამს დუმილისა, იცის, რომ „გასროლილ" სიტყვას უკან ვერ დაიბრუნებს, ამიტომ, ასჯერ ზომავს და ერთხელ სჭრის. „ბრიყვს კი დავაში ითრევს მისი ბაგეები და მისი პირი აყალ-მაყალს იწვევს" (იგავნი სოლომონისა 18:6) თავისდასაზიანოდ.

ბიბლია გვარიგებს, რომ ენას შეუძლია პიროვნებას მოუტანოს პატივი და უპატიობა, წარმატება და წარუმატებლობა, „ცრუ ბაგენი სიბილწეა უფლის წინაშე, ჭეშმარიტების მოქმედნი კი სათნონი არიან

მისთვის“ (იგავნი სოლომონისა 12:22). „გესლიანი ენა მახვილივით ჩხვლეტს, ბრძენკაცის ენა კი მკურნალია“ (იგავნ. სოლ. 12:18).

ტკბილი ენა გამამხნევებელი, მანუგეშებელი და შთამაგონებელია. იგი აცხრობს კონფლიქტს, ანელებს გულფიცხობას, მთქმელსაც და მსმენელსაც აჯილდოებს სიხარულითა და მშვიდობით, „ამო საუბარი ჯოლეული თაფლია, სულის სიტკბოა და ძვლის კურნებაა“ (იგავნი სოლომონისა 16; 24). ხოლო ვისაც „კამათისა და პაექრობის სენი ჰირს, საიდანაც წარმოიშობა შური, დავა, გმობა და ბოროტი ეჭვი“ (I ტიმოთე 6:4), სულიერი დაცემისა და ფიზიკური განადგურების თანამდებია. ფუჭი კამათი გარყვნილი გონებისა და ჭეშმარიტებას მოკლებულ კაცთა ნიშანია, ამიტომ „მოერიდე — გვაფრთხილებს ბიბლია — სულელურ პაექრობას, გვარ-ტომობას, კინკლაობასა და დავას“ (ტიტე 3:9).

ბოროტებისაგან თავდაცვის ერთ-ერთი ბიბლიური პრინციპი — „უშვერობას ნუ მიაჩვევ შენს პირს, რადგანაც მასშია მიზეზი ცოდვისა“ (სიბრძნე ზირაქისა 23:13) — დღესაც სასარგებლოა და გასათვალისწინებელი.

ენისა და სიტყვის შესახებ კლასიკოსთა მაღალი შეხედულებები ამ ფენომენთან დაკავშირებული ბიბლიური თვალსაზრისთა ჭეშმარიტების დადასტურებაა. I საუკუნის რომაელმა პედაგოგმა მარკუს ფაბიუს კვინტილიანემ გონებას, მეტყველების უნარს ღვთიური ძღვენი უწოდა და საერთოდ მჭერმეტყველებას და კერძოდ, ორატორის აღზრდას გაუხუნარი საგალობელი უძღვნა. შექმნა უკვდავი პედაგოგიური თეორია „ორატორის დარიგებანი“ 12 წიგნად, რომელშიც მეცნიერულად დაასაბუთა მჭერმეტყველების საოცრება, და უჩვენა მისი განვითარების გზები, მეთოდები, ფორმები და საშუალებები.

„გველს ხვრელიდან გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“-ო — ბრძანა დიდმა შოთამ.

მეტყველების უნარი თავისი საოცრებებით: სიტყვაკაზმულობა, მჭერმეტყველება, სიმღერა-გალობა და მისთანანი თავად მეტყველებენ თავიანთ ღვთიურობაზე და ფარდას ხდიან ევოლუციური განვითარების თეორიის აბსურდულობას.

ბიბლია იტყობინება, რომ „რაც დასაბამიდან შეიქმნა, მას არაფერი მოჰმატებია“-ო (სიბრძნე ზირაქისა 42: 23, 24). და ამაში რეალური სინამდვილეც ადვილად გვარწმუნებს. ბიბლიურ მოსეზე, სოლომონზე და ბიბლიურ წინასწარმეტყველებზე უფრო დიდი, ბრძენი და გონიერი ამ წუთისოფელს სხვა არავინ ჰყოლია. არავის უთქვია ისეთი, რაც ბიბლიაში არ თქმულა.

რწმენა იმისა, რომ მეტყველება ღვთიური უნარია, არ მოგვცემს უფლებას უფლისმიერი ბაგეები ბილწსიტყვაობას დავუთმოთ და ბოროტად გამოვიყენოთ. ჰეშმარიტება გვასწავლის სულის ნაყოფებთან ბაგეთა ნაყოფის შეხამებასა და მის გაკეთილშობილებას, რომ გულისთქმებით ნაკვები სიტყვა ბილწავს კაცს და აგდებს საფრთხეში: „კაცის ცრუ ბაგე მისივე მტერია და ლაქარდიანი ენა საფრთხეს უმზადებს“ (იგავნი სოლომონისა 26-28) — წერს სოლომონი.

ჩვენი უბადრუკი სინამდვილეც ხომ მთლად აღსავსეა „ენით დაკოდილთა“ გულშემზარავი ურიცხვი მაგალითებით. ბიბლია გვიხსნის, რომ ენას — ამ საოცარ მინიატურულ ორგანოს, არა მარტო სიამოვნებასუსიამოვნების, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობის მისია აკისრია. „სიკვდილ-სიცოცხლე ენის ხელშია და მისი მოყვარულნი მის ნაყოფს იგემებენ“ (იგავნი სოლომონისა 18:21).

ენის სიყვარული ნიშნავს მის კეთილად გამოყენებას, ღმერთის ნების ცოდნასა და შესრულებას. ენა მისი პატრონის მამხილებელია. თუ ენა მადლის მაუწყებელია, პატრონი მართალია, ხოლო ბაგეები თუ სიცრუეს ღაღადებენ, მათი პატრონიც ცრუა და ბოროტი. ასე გვასწავლის ბიბლია:. „მართალის ბაგენი მადლს აუწყებენ, ბოროტეულთა პირი კი — ღალატს“ (იგავნ. სოლ. 10:32). ეს აზრი განავითარა რუსთაველმაც თავის სიტყვაში: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“.

ავი ენა პიროვნებას არა მარტო უზნეოსა და ბოროტეულს ხდის, ამასთანავე ფიზიკურად და ემოციურად ამახინჯებს, ბიოლოგიურად ანადგურებს. ვის არ გამოუცდია, რომ ავ სიტყვას თუ რა სულიერი აშლილობა გამოუწვევია წუთში, ხოლო კეთილ სიტყვას დაძაბული მდგომარეობა უმალ გამოუსწორებია.

კონფლიქტის დროულად თავიდან აცილების მიზნით ბიბლია გვასწავლის: **„მშვიდი პასუხი გულისწყრომას აცხრობს, საწყენი სიტყვა კი რისხვას იწვევს“** (იგავნ. სოლ. 15:1). „ენატანია კაცი შუღლის გამჩაღებელია“ (იგავნ. სოლ. 26; 28), ბრძენის ენა კი — მადიდებელი.

კაცი კვდება და სიტყვა რჩება. სიტყვა უკვდავია. დიდი ხნის გარდაცვლილიც დატოვებული სიტყვით შეიცნობა. ამიტომ „ნუ გისწრებს ენა და გული შენი ნუ გიჩქარის სიტყვის წარმოთქმას“ (ეკლესიასტე 5; 1) „„ვინაიდან ყველაფერს ჟამი და წესი აქვს“ (ეკლ. 8:6).

მეტყველებასთან დაკავშირებული ბიბლიური სიბრძნე გვასწავლის თუ როგორი უნდა იყოს სიტყვა — ჩვენი ბაგეებიდან წარმოთქმული.

GD

სიტყვა — მართალი, ბრძნული, ნათელი, ტკბილი, კეთილი, უკიცხველი, სასარგებლო, დამრიგებლური, ჰკუის სასწავლებელი, შემრიგებელი, მანუგეშებელი, აღმშენებელი, მადიდებელი და არავითარ შემთხვევაში გამღიზიანებელი, მტრობის ჩამომგდები, ცრუ, ცილისმწამებელი, თვალთმაქცური, მლიქვნელური, მრისხანე, შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი, ნიშნისგებითი, ბილწი და საძაგელი.

ბაგეთა კეთილდანიშნულების მარად ცოცხალი და უბადლო ნიმუში მოგვცა ღვთის საყვარელმა ძემ, ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ. იგი ისე ბრძნულად, მშვიდად და სიყვარულით ლაპარაკობდა, რომ მისი მტრებიც ვერ ფარაჯდნენ გაკვირვებას. „გაოცებულნი იყვნენ მისი მოძღვრებით, ვინაიდან ძალმოსილი იყო მისი სიტყვა“ — (ლუკა 4: 32). იგი ჭეშმარიტებას აცხადებდა კაცთა მოდგმის გონების გასახსნელად და გადასარჩენად. მართალი იყო და მართალ სიტყვას ამბობდა, რასაც თვითონ არ აკეთებდა, იმას სხვისგან არ მოითხოვდა. ამიტომ იყო მისი სიტყვა ძალმოსილი და დაუმარცხებელი.

სიტყვის დიდოსტატობა არა ერთგზის გამოამჟღავნა იესო ქრისტემ. სწორედ მოხდენილი და მართალი სიტყვით დაამარცხა ღვთის ძემ ამ წუთისოფლის მთავარი სატანა — ეშმაკი.

ნათელღებულ იესოს გამოცდა მოუწყო მაცდურმა, უთხრა: „თუ შენ ღვთის ძე ხარ, თქვი, რომ ეს ქვები პურებად იქცნენ“. ხოლო მან კი მიუგო პასუხად: „დაწერილია, რომ არა პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან მომდინარე ყოველი სიტყვით“. მაშინ იგი ტაძრის ქიმზე აიყვანა ეშმაკმა და უთხრა: „თუ ღვთის ძე ხარ, გადაიგდე თავი ძირს, ვინაიდან დაწერილია: თავის ანგელოზებს უბრძანებს შენზე და ისინი ხელში აგიყვანილს გატარებენ, რათა ქვას ფეხი არ წამოკრა“. იესომ უთხრა: — „ასევე დაწერილია: არ გამოსცადო უფალი, ღმერთი შენი“, შემდეგ ეშმაკმა მაღალ მთაზე აიყვანა იგი და წუთისოფლის ყველა სამეფო და მათი დიდება უჩვენა და უთხრა: „ყოველივე ამას შენ მოგცემ, თუ დამხობილი თაყვანს მცემ“-ო. მაშინ იესომ უთხრა: — „განეყო სატანავ, ვინაიდან დაწერილია: უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე“.

ასე მახვილი სიტყვით მოიშორა იესომ დიდი მაცდური. როგორც ვხედავთ, ბიბლია არა მარტო გვიხსნის მეტყველების წარმოშობას, მის არსსა და მნიშვნელობას, ამასთანავე გვაძლევს არაჩვეულებრივ მეთოდურ რჩევებს, თუ როგორ უნდა განვავითაროთ ეს ღვთიური, მხოლოდ კაცთათვის დამახასიათებელი უნარი.

მუსიკა — მეტყველების ჩუქურთმა. ხელოვნება, როგორც სამყაროს წესრიგის და ჰარმონიულობის გამოძახილი, ღვთიური სიბრძნისა და ძალის დამოწმებაა. ყოვლისშემოქმედმა პროპორციულად დაანაწილა განსხვავებული ნიჭი და უნარი, რომ მრავალფეროვნებისა და უსასრულობათა შეცნობაში ეპოვა ადამიანს ცხოვრების აზრი და მშვენიერება.

სიტყვის ჩუქურთმაა მჭევრმეტყველება, პოეზია და მუსიკა. მუსიკის უზენაესობაზე არა ერთგზის მიუთითებენ სიბრძნის ვირტუოზები. სანტიაგო არგუელიო ამბობს: „სამყაროს შექნისას დემიურგოსი მუსიკოსია“ მაგრამ არა მარტო მუსიკოსი, არამედ საერთოდ, ხელოვანი... ხოლო მის მიერ შექმნილი სამყარო ხელოვნების ნიმუშად გვევლინება... დიდოსტატი ხელოვანი — დემიურგოსი — ხელოვნების კანონების თანახმად აგებს კოსმოსს[1]“.

პლატონი კიდევ უფრო ღრმად იჭრება მუსიკის სამყაროში. მას მიაჩნია, რომ მთელი სამყარო თავისთავად, მისი ხილული ცითა და ვარსკვლავებით, მატერიალური თუ სულიერი სუბსტანციის წრებრუნვით, განვითარების უწყვეტი რიტმითა და შინაგანი კანონზომიერებით ღვთაებრივი ხელოვნების, ყოვლისშემძლე შემოქმედებითი აქტის გრანდიოზული შედეგია; რომ ბუნების ჯადოქრულ სიბლს, მის მომნუსხველ მშვენიერებას სამყაროს მწყობრ და დახვეწილ წესრიგს არქიტექტურულ, მუსიკალურ და პლასტიკურ საწყისთა ერთობლიობა განაპირობებს.

ვაგნერი ასაბუთებს, რომ მუსიკა ჰარმონიულობის გამოხატვის უმაღლესი ფაქტია. „ჰარმონიის არსს ადამიანის არავითარი სხვა შემოქმედებითი უნარი არ შეესაბამება, ის ვერც სხეულის პლასტიკურ მოძრაობაში ჰპოვებს ასახვას, ვერც აზროვნების ლოგიკაში... ჰარმონია ადამიანის მიერ აღთქმულ, მაგრამ გონებამიუწვდომელ სტიქიურ ძალას მოგვაგონებს“[2].

კვინტილიანე მუსიკის ნიჭს, როგორც ღვთაებრივ ჯილდოს „სიძნელეთა ადვილად გადატანის“, მწუხარების შენელების, შიშის გაფანტვის, შრომის გაადვილების, ცხოვრების გახალისების უებარ წამლად მიიჩნევდა[3].

მუსიკალური ინსტრუმენტებითაც, წერს კვინტილიანე, რომლებიც არ წარმოთქვამენ სიტყვებს, მუსიკოსს შეუძლია შეაღწიოს მსმენელის სულში და გამოიწვიოს სათანადო გრძნობები, ტანის რიტმულ მოძრაობას, ჰარმონიულ რხევებსაც მუსიკა განაპირობებს. აგრეთვე ამაღლე-

---

[1] პლატონი, „ტიმეოსი“, თბილისი, „ირმისა“, 1994, გვ. 190-191.

[2] პლატონი, „ტიმეოსი“, თბ., „ირმისა“, 1994, გვ. 190.

ბული, ძალზე მელოდიური და გრძნობიერი მუსიკის მოსმენა დადებითად მოქმედებს ზნეობრიობაზე, ამაღლებს სიმხნევეს, შეუპოვრობას, სიფაქიზეს, სინაზეს და კეთილშობილებას" ანვითარებს ესთეტიკურ გემოვნებას.

ღვთიური შემოქმედების ჰარმონიულობამ, წესრიგმა და ურთიერთგანპირობებულობამ, ზომიერებამ, წონასწორობამ და სიზუსტემ, სიმეტრიულობამ თუ პროპორციამ მუსიკაში ჰპოვა ერთობლივი განსხეულება. მუსიკის დანიშნულება ადამიანთა დატკბობაა. ამისთვის აუცილებელი არაა ყველა მომღერალი იყოს, ერთეულებს შეუძლიათ ათასეულები დატკბონ ჰეშმარიტი მუსიკით. ესეც გათვალისწინებული აქვს არსთა გამრიგეს.

მაგრამ მუსიკის უმთავრესი ღვთიური დანიშნულება ყოვლისშემქმნელისადმი მადლიერების გამომხატველი გალობებია. თვით იესო ქრისტე გალობით განადიდებდა უზენაესს. იგი ამბობს: „ვაუწყებ შენს სახელს ჩემს ძმებს, კრებულს შორის გიგალობ შენ" (ებრაელთა 2: 12); ან კიდევ: „ადიდეთ უფალი. უგალობეთ უფალს გალობა ახალი, მისი დიდება წმიდათა კრებულში" (ფსალმუნი 149:1); „ადიდეთ იგი ბუკის ცემით, ადიდეთ იგი ჩანგით და ქნარით. ადიდეთ იგი დაფით და როკვით, ადიდეთ იგი ებნით და სტვირით. ადიდეთ იგი ტკბილხმოვანი წინწილებით, ადიდეთ იგი მაღალხმოვანი წინწლებით" (ფსალმუნი 150:2-5).

სიტყვა, მუსიკა, პოეზია სულის ორგანოებია, ადამიანის ღვთაებრიობის მადასტურებელი.

---

[1] გ. ხუხუა, მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს პედაგოგიური მემკვიდრეობა, თბ., 1996, გვ. 40-41.

რელიგიურ საფუძველზე ზნეობრივი აღზრდის მეთოდები

თანამედროვე მსოფლიოს რეალური სინამდვილიდან გამომდინარე ,,აცობრიობა განადგურების ზღურბლზეა. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, მასობრივი გამანადგურებელი იარაღის დაგროვილი მარაგის ფიზიკური არსებობაც კი საფრთხეში აგდებს დედამიწას; ეკოლოგიურმა და ეკონომიურმა კრიზისებმა თითქმის ზღვარს მიაღწიეს. ზედმეტად ოპტიმისტებს, ან მწარე სინამდვილის მიჩქმალვის მოყვარულებს იქნებ ძალიან მუქად მოეჩვენოთ აღწერილი ვითარება, მაგრამ ფაქტებს ვერსაით წავუალთ.

შექმნილი მწვავე ვითარების მთავარი მიზეზი საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაციაა, რომლის აშკარა გამოვლინებებია იდეალიზმისაგან გამიჯნული მატერიალიზმით გატაცება, კარიერიზმი, კორუფცია, ვერცხლისმოყვარეობა, სიყვარულის დეფიციტი, შური და სიხარბე, ძრუშობა-მეძავეობა და ა. შ. მდგომარეობის გამოსწორების ერთადერთი გზა ზნეობრივ-სულიერი ამაღლებაა, რომლის მიღწევა მხოლოდ ბიბლიური ჰეშმარიტების შემეცნების საფუძველზე ჰეშმარიტ ქრისტიანთა აღზრდითაა შესაძლებელი. ამ დებულების პრაქტიკული რეალიზაციისათვის ვადამწყვეტი სიტყვა, ცხადია, განათლებას ეკუთვნის.

ბიბლიაში მოცემულია ზუსტი მოდელი სრულყოფილი პიროვნების, ჰეშმარიტი ქრისტიანისა, როგორიცაა: „ღვთის კაცი ყოველი კეთილი საქმისთვის გამზადებული“ (II ტიმოთე 3:17). ე. ი. ზნეობრივად ჩაბოყალიბებული; შემდეგ, „დაეწაფეთ ღვთის სიტყვებს, შეიყვარეთ და განისწავლენით“ (სიბრძნე სოლომონისა 6: 11). აქ საქმე ეხება გონებრივ აღზრდას, როგორც საფუძველს გასრულყოფილებისა.

ამასთანავე ამ საღვთო წიგნში ნაჩვენებია როგორც აღზრდის მიზანი, შინაარსი და პრინციპები, ასევე აღზრდის მეთოდებიც, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ ინფორმაციის, დარწმუნება-შთაგონების, მაგალითის, წიგნზე მუშაობისა და ვარჯიშის, წახალისებისა და დასჯის მეთოდი.

ამ მეთოდთა ღირსება და ეფექტიურობა დიდი ხანია ცნობილია და

მიღებული პედაგოგიკაში, რაც ბიბლიის პეშმარიტებასა და მის ღვთიურ კანონზომიერებაზე მიუთითებს.

როგორც ცნობილია, ინფორმაციის მეთოდის უმთავრეს დანიშნულებას განსაზღვრული ცოდნის, იდეის, თუ ფაქტების გადაცემა და მსმენელის მიერ მათი აღქმა-გააზრება და შეთვისება წარმოადგენს. ინფორმაციის მეთოდი ინფორმატორს (მასწავლებელს) აძლევს საშუალებას განსაზღვროს ცოდნის შინაარსი, მოცულობა, დოზა და გადაცემის კონკრეტული მეთოდები. ეს იქნება: საუბარი, თხრობა, თუ ლექციური მეთოდები.

საინფორმაციო თემა მსმენელთათვის ყოველთვის ახალია, უცნობი. იგი სტრუქტურულად სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. შესავალს ყოველთვის განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია. მასში კომპენდიუმის სახით უნდა იყოს მოცემული თემის ძირითადი არსი, მასალები, რომ მან გამოიწვიოს ინტერესი ინფორმაციის სარბად ბოლომდე მოსასმენად. მარჯვე შესავლის მოსაფიქრებლად აუცილებელია თემის შინაარსის მთლიანი გააზრება და ძირითადი და დამხმარე პუნქტების გამოყოფა. შესავალში უნდა ეცნობოს მსმენელს მოცემული თემის აქტუალობის, მისი პიროვნული და საზოგადოებრივი როლისა და მნიშვნელობის შესახებ ისე, რომ მან მსმენელში გამოიწვიოს ფსიქიკურ-ინტელექტუალური ძალების მობილიზაცია და მათთან მეგობრული კონტაქტის დამყარება. ამასთანავე ეფექტიურია ხაზგასმა იმ ძირითად საკითხებზე, რომელთა შესახებ იქნება მსჯელობა. მაგალითად: „დღეს ჩვენ განვიხილავთ თემას: „ბიბლია ოჯახის შესახებ". გავიგებთ თუ რა თვალსაზრისისაა ღმერთი მის მიერ დაფუძნებულ ოჯახზე და რამდენად შეესაბამება დღევანდელი ოჯახი ბიბლიურ კანონებს? რა მნიშვნელობა აქვს ამ კანონებს ოჯახური ბედნიერებისათვის? პრობლემის გასარკვევად შეიძლება დაკონკრეტდეს შემდეგი საკითხები:

1. ოჯახის ცნება და მისი პირველი დამფუძნებელი;
2. ოჯახური ბედნიერების პრინციპები;
3. შვილებისა და მშობლების ურთიერთობა;
4. ბედნიერი ოჯახი — სახელმწიფოს ბედნიერება.

კარგი დასაწყისი შემდგომი წარმატების საწინდარია. მოცემული შესავალი საორიენტაციოა. საკითხის ასე დაყენება საქმის კურსში აყენებს მსმენელებს თუ რის შესახებ უნდა მიიღონ ინფორმაცია. შემდეგ იწყება ძირითად ნაწილზე გადასვლა. — შესავალში დასმული საკითხების განხილვა ყველა საჭირო საშუალებების მოხმობით. ძირითადი ნაწილის გახსნისას წინა პლანზე უნდა იქნეს წამოწეული მთავარი მიზანი —

გაცნობიერება იმისა, თუ რა სარგებლობას იძლევა დღეს ბიბლიური ცოდნა ოჯახის შესახებ.

თემის კეთილად დამაგვირვინებელი ნაწილია მისი დასკვნა, რომლის დანიშნულებაა თემის ძირითადი, უმთავრესი აზრების კონცენტრაცია და დებულებების სახით სხარტად და ლაკონურად ფორმულირება.

ინფორმაციის გადაცემასა და მიღებას კეთილსამსახურს უწევს მასწავლებლის პედაგოგიური ოსტატობა: ინტუიცია და ალღო, ტაქტი, მეტყველებისა და ურთიერთობის კულტურა, თვითკონტროლი, გარეგნული იერ-სახე და ა. შ.

ტაქტის ცნებაში იგულისხმება ზომიერება, მოთმინება და თავშეკავება, სულგრძელობა და მიმტევებლობა და რაც მთავარია, მოსიყვარულე გული. ამასთან დაკავშირებით ბიბლია გვასწავლის: „მთელი თავმდაბლობით, სიმშვიდითა და სულგრძელობით შეიწყნარეთ ერთმანეთი სიყვარულით. ეცადეთ შეინარჩუნოთ სულის ერთობა მშვიდობის საკვრელით“ (ეფესელთა 4:2:3).

ასევე მსმენელებზე ზემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია. მეტყველების კულტურა, რომლის კომპონენტებია სათქმელის შინაარსის ცოდნა, ლოგიკური აზროვნება, ენის ფლობა, ინტონაცია და მიმიკა.

ენასთან და საერთოდ მეტყველებასთან დაკავშირებით ბიბლია უამრავ ბრძნულ აზრებს შეიცავს. მაგალითისათვის მოვიყვანთ რამდენიმეს: „მოამზადე სიტყვა და მაშინ მოგისმენენ, შეაუღლე ცოდნასთან და გაეცი პასუხი“ (სიბრძნე ზირაქისა 33:4). ან კიდევ: „კაცის ბაგის სიტყვები ღრმა წყალია, სიბრძნის სათავე კი — მოჩუხჩუხე ნაკადული“ (იგავნი სოლომონისა 18:4).

პედაგოგს არც ის უნდა ავიწყდებოდეს, რომ პირველ შთაბეჭდილებას მისი გარეგნული იერ-სახე ქმნის. მაგალითად: ვარცხნილობა, ჩაცმულობა, მოძრაობა მის ასაკს, ფიზიონომიას, სოციალურ მდგომარეობას, დროსა და ადგილს უნდა შეეფერებოდეს.

ამრიგად, ინფორმაციის მეთოდი მოითხოვს წინასწარ შერჩეული და დამუშავებული თემის სათანადო ხერხით მსმენელთათვის მიწოდებას.

ჰეშმარიტი ინფორმაციის აქტიურ მიღებას და მისდამი დადებითი დამოკიდებულების გამომუშავებას მსმენელში ხელს უწყობს დარწმუნების მეთოდი. იგი შეგნებაზე ეფექტური ზემოქმედების მარჯვე იარაღია. რომელიც მასწავლებლისგან პროპაგანდისტულ ოსტატობას მოითხოვს.

იესო ქრისტეს სწავლებებს რწმენის შესახებ თუ რწმენით მივიღებთ, მას უდიდესი სარგებლის მოტანა შეუძლია დღესაც და მომავალშიც. რწმენის უდიდეს მნიშვნელობაზე მიუთითებს იესოს სიტყვები. როდესაც მოწაფეებმა ჰკითხეს — „ჩვენ რატომ ვერ შევძელით მისი განდევნა?“ (სულით დავრდომილის განკურნება) იესომ უპასუხა: „თქვენი მცირე რწმენის გამო-ო. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: შდოგვის მარცვლის ოდენა რწმენა რომ გქონდეთ და უთხრათ ამ მთას: აქედან იქით გადადიო, იგი გადავა, და არაფერი იქნება თქვენთვის შეუძლებელი“ (მათე 17: 19, 20); ან კიდევ: „იქონიეთ ღვთის რწმენა“... „რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და მოგეცემათ“ (მარკოზი 11: 23, 24).

შიბლიაში მოყვანილი ფაქტები გვამცნობს, რომ ვისაც სწამდა ქრისტესი და რწმენით ითხოვდა, თხოვნა უსრულდებოდა. კაპერნაუმში ასისთავი შეევედრა იესოს მისი მსახური განეკურნა. იესომ უთხრა: „მე მოვალ და განვკურნავ მას“. ასისთავმა უპასუხა: „უფალო, არა ვარ ღირსი, რომ ჩემს ჭერქვეშ შემოხვიდე, მხოლოდ სიტყვა თქვი და განიკურნება ჩემი მსახური“ (მათე 8: 7, 8).

ასისთავის რწმენით გაკვირვებულმა იესომ თქვა: „წადი და როგორც ირწმუნე, ისე მოგეგოს“. და იმ საათში განიკურნა მისი მსახური (მათე 8:13).

12 წელიწადს სისხლისდენით გატანჯული ქალი რწმენით შეეხო იესოს სამოსელს განკურნების იმედით. ეს რომ დაინახა ღვთის ძემ, ქალს უთხრა: „გამხნევდი, ასულო, შენმა რწმენამ განგკურნა“-ო. მართლაც ქალი იმავ საათში განიკურნა (მათე 9: 20-22).

ქრისტემ მასთან ვედრებით მოსულ ბრმებს ჰკითხა: „გწამთ, რომ მე ძალმიძს ამის გაკეთება? „მათ უპასუხეს: „კი, უფალო!“ მაშინ შეეხო მათ თვალებს და უთხრა: „თქვენი რწმენისამებრ მოგეგოთ“! მათ აეხილათ თვალები (მათე 9:28-30).

ამ ფაქტების აღმწერლები, როგორც ბიბლიიდან ირკვევა, თვითმხილველები იყვნენ ქრისტეს სასწაულქმედებებისა, ამდენად სარწმუნოა აღწერილი რწმენის ძალმოსილება. როგორც ვხედავთ, ქრისტე რწმენით მოქმედებდა რწმენაზე. მოძღვრისა და მოწაფის, მკურნალისა და პაციენტის ორმხრივი რწმენა ახდენდა სასწაულებს, მაგრამ მცირეოდენი ეჭვიც კი საქმის ჩაფუშვას იწვევდა. ამის ნათელი მაგალითია პეტრეს დაეჭვება. გვიან ღამით ნავით ზღვაზე გასულ იესოს მოწაფეებს აბობოქრებული ტალღების გამო საფრთხე შეექმნათ, იესო პირდაპირ ზღვაზე სვლით მივიდა მათთან. მოწაფეებმა ზღვაზე მავალი სილუეტი რომ და-

ინახეს, შეძრწუნებულებმა შიშისაგან შეპყვირეს. ეს მოჩვენებააო. გამხნევდით, მე ვარ, ნუ გეშინიათ! — მყისვე გამოელაპარაკა იესო. მაშინ პეტრემ უთხრა: „უფალო თუ ეს შენა ხარ, მიბრძანე, მოვიდე შენთან წყალდაწყალ". იესომ უთხრა: „მოდი!" პეტრე გადმოვიდა ნავიდან და წყალდაწყალ მიაბიჯებდა, რომ იესოსთან მისულიყო. მაგრამ შეეშინდა, ჩაძირვა რომ იწყო, იყვირა: „უფალო, მიხსენი მე!" იესომ იმწამსვე გაუწოდა ხელი, ამოიყვანა და უთხრა: „რატომ დაეჭვდი, მცირედმორწმუნევ" (მათე, 15: 24, 31).

რწმენასთან დაკავშირებით იესოს მაგალითი გვიჩვენებს. რომ დარწმუნების მეთოდის მთავარი არსი მტკიცე არგუმენტაციებია. ქრისტე სხვაში რწმენას სიტყვისა და საქმის ერთიანობით განამტკიცებდა. აქ ვინმე შემოგვედავოს, რომ ქრისტე ღვთის ძე იყო და ღვთიური ძალა ჰქონდაო. პიროვნებისათვის რწმენას უდიდესი მნიშვნელობა რომ არ ჰქონოდა, მართალი და თავგანწირული ქრისტე თავის მიწიერ მოწაფეებს არ მოუწოდებდა: „იქონიეთ ღვთის რწმენა"-ო (მარკოზი 11:23); ან კიდევ: „ყველაფერს, რასაც ლოცვაში რწმენით ითხოვთ, მიიღებთ"-ო (მათე 21:22).

საერთოდ რწმენაზე და კერძოდ დარწმუნების მეთოდის მეცნიერულ ღირებულებაზე სათანადო მეცნიერებაში დაყა, განსხვავებული აზრი არასდროს არ ყოფილა, მაგრამ აქ ჩვენი მიზანია გავარკვიოთ მისი სათავეები, ბიბლიური ფესვები, რომ ავიღოთ მაგალითი პირველ ანკარა წყაროდან.

ღმერთმა შენდობის მსხვერპლად რწმენის მეშვეობით გაიმეტა თავისი საყვარელი ძე, რათა კაცთა მიერ ჩადენილ ცოდვათა მიტევების მეოხებით გამოჩენილიყო მისი სიმართლე და სულგრძელობა, რომ ამით გადარჩენის რწმენით ეცოცხლა მართლათ. რწმენით გადაურჩა ნოე და მისი ოჯახი დიდ წარღვნას. რწმენით გამართლდა აბრაამი: „ერწმუნა აბრაამი ღმერთს და ეს სიმართლედ ჩაეთვალა მას" (რომაელთა 4:3). ასი წლის აბრაამი არ დაეჭვებულა ღმერთის აღთქმაში, რომ მას და მის 90 წლის მეუღლეს — საარას „თესლი" (შვილი) მიეცემოდათ და ის თესლი მრავალი ერის მამა გახდებოდა. აღთქმული მართლა მიიღო აბრაამმა. საარამ უშვა ისააკი. რომელიც 12 ვაჟის მამა გახდა და რომლის შტოდან წარმოიშვა ისრაელი ერი.

როგორც ვხედავთ, დარწმუნების მეთოდი სათავეს ცოდნის ანკარა წყაროდან — ბიბლიიდან იღებს და იქიდან მოყოლებული ერთ-ერთი წამყვანი მეთოდია იგი აღზრდაში დღემდე.

ბიბლიია მიხედვით დარწმუნების მეთოდის ერთ-ერთი სახეა შთაგონება. მეორე რჯულის 6:7-ში წერია: ღმერთის სიტყვას „ჩააგონებდე შენს შვილებს და უთხრობდე....“

ისევ შთაგონების მეთოდზეა ლაპარაკი, როცა ბიბლიაში ვკითხულობთ: „დაიმარხე და შეიგონე ყველა ეს სიტყვა, რასაც გიცხადებ, რათა კარგად იყოთ შენ და შენი შვილები შენს შემდეგ, უკუნისამდე, ღუ კარგად და სწორად მოიქცევი უფლის, შენი ღმერთის თვალში“ (...11:32).

დარწმუნების მეთოდის ეფექტიურობას დიდად განაპირობებს თეორიული ცოდნის პრაქტიკული ღირებულების ჩვენება მოსწავლეებში მაგალითის, პირადი და სხვათა გამოცდილების საშუალებით. ამისთვის აუცილებელია წინასწარ მოფიქრებული, მიზანმიმართული და გეგმაზომიერ — პედაგოგიურ ღონისძიებათა შემუშავება, ამ მხრივ შეიძლება დაეასახელოთ შეხვედრების, დისკუსიების მოწყობა, სადაც მოსწავლეს დასჭირდება გარკვეული ცოდნის მარაგი და გამოცდილება, რაც მისცემს თვითშეცნობის საშუალებას და გამოიწვევს მასში სათანადო ცოდნის მიღების აუცილებლობის შეგნებას. ინტერესს და მოთხოვნილობას.

მაგალითის მეთოდი. პიროვნება გარესამყაროს გრძნობის ორგანოებით უკავშირდება და მათ საშუალებით შეიმეცნებს საიდუმლოებას, მისთვის უცნობს. ამ პროცესის წარმმართველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია პირადი მაგალითის მეთოდი. ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი შედარების, თვით შეცნობის საშუალებას იძლევა. მაგრამ მაგალითის როლში ყველა როდი გამოდგება. ღირსეული პიროვნების ფორმირებისათვის საბჭოთა პედაგოგიკაში იდეალურ მაგალითად ითვლებოდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. „მოსწავლეთა აღზრდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე „წამყვანი ღონისძიება იყო სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში, მაგრამ ამ მეთოდს არავითარი დადებითი შედეგები არ მოჰყოლია და ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ ცოდვილი ადამიანი არ შეიძლება იდეალური მაგალითი იყოს მისივე მსგავსისათვის. მით უმეტეს ანტიქრისტე — ქრისტიანისთვის.

ბიბლია გვეუბნება: „რწმენა დაფუძნებულია მოწმობასა და წინასწარმეტყველებაზე“ (II პეტრე 1). აღზრდაში იდეალურის დამოწმების საშუალებას მხოლოდ იესო ქრისტეს სახელი იძლევა. ამიტომ მოგვიწოდებს ბიბლია: „ამისთვის ხართ მოწოდებულნი: ქრისტეც ხომ ეტანჯა თქვენთვის და მაგალითიც დაგიტოვათ, რათა მის კვალს მიჰყვეთ“-ო (I პეტრე 2:21).

ქრისტეს კვალის მიყოლა ნიშნავს მის მაღალზნეობრივი თვისებების, სწავლებების და მცნებების მიხედვით ქცევასა და მოქმედებას. ეს კი მოითხოვს ქრისტეს შესახებ ჭეშმარიტი შემეცნების ცოდნასა და რწმენას, რომლის მისაღწევად საჭიროა სისტემური და თანმიმდევრული სწორი ინფორმაციების მიღება მხოლოდ და მხოლოდ ბიბლიაზე და ბიბლიის მართალმხსნელთა ლიტერატურაზე დაყრდნობით.

კერძოდ, სასწავლო თემიდან გამოყოფილი უნდა იქნეს ისეთი საკითხები, რომელთა პასუხები უზრუნველყოფენ ობიექტურ წარმოდგენას ქრისტეს მესიანობის, მისი სიბრძნისა და ზნეობრიობის შესახებ. ისე ნათლად და მართლად უნდა იქნეს ქრისტეს პიროვნება წარმოდგენილი, რომ მან მსმენელში აღძრას ჭეშმარიტ ქრისტიანად გახდომის სურვილი, რომ გატაცებით ესწრაფვოდეს ქრისტეს დავალებების გაცნობიერებასა და შესრულებას. მასწავლებელმა აღსაზრდელისათვის მიბაძვის საგნად უნდა აქციოს ქრისტესმიერი სიყვარული. სიბრძნე და გონიერება, სამართლიანობა, თავშეკავება და მოთმინება და სხვა. ქრისტეს თვისებათა მხოლოდ სქემატური ჩამოთვლა და დაზეპირება უსარგებლოა. აუცილებელია ქრისტეს მაღალზნეობრიობა, მისი სიწმინდე და მოყვასთათვის ი.ავგანწირვა მის ქცევებსა და მომქედებებში, კონკრეტულ პრაქტიკულ მაგალითებში ჩვენება. ახალი აღთქმა უხვად იძლევა ამ მხრივ ბრწყინვალე მაგალითებს.

ქრისტიანული სულისკვეთებით აღზრდის მეთოდთა შორის შეიძლება ითქვას, რომ წარმმართველია წიგნზე მუშაობის მეთოდი. ეს მეთოდი ინფორმაციების დამოუკიდებლად მოპოვების გზაა, რომელსაც უდიდესი შემეცნებითი სიხარული და მორალური კმაყოფილება ახლავს. ქრისტიანული მორალის შესახებ ცოდნის ერთადერთი წყარო სახარებაა, ამიტო წიგნზე მუშაობის მეთოდის პრაქტიკული რეალიზაცია საერთოდ ბიბლიის და კერძოდ სახარების კითხვაში განხორციელდება. პავლე მოციქული ტიმოთეს წერს: „ვიდრე მოვიდოდე, მიჰყევი კითხვას, შეგონებას და სწავლებას“-ო (I ტიმოთე 4:13).

წიგნზე მუშაობის მეთოდმა უნდა უზრუნველყოს ბიბლიის შესწავლა და მის პრაქტიკაში გამოყენება. ბიბლიის თემატური დაყოფა, საჭირო ციტატების მოყვანა და სათანადო კომენტირება პირველად საღვთო წიგნის თავიდან ბოლომდე წაკითხვას მოითხოვს, რაც გაადვილებს მოცემულ მომენტში საჭირო ადგილების პოვნას.

წიგნზე მუშაობის მეთოდის ეფექტიურობა დამოკიდებულია წიგნის როგორც ცოდნის უშრეტი წყაროს, ერთგული მეგობრისა და ბრძენი მრჩევლის როლში წარმოდგენაზე. მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდ-

რეკილებების შესაბამისი ადგილების წიგნიდან ამოკითხვა და ლიტერატურის მითითება აღძრავს მსმენელს კითხვისაკენ, შეაყვარებს და დააწაფებს წიგნს. ძალზე ეფექტურია ისეთი სიტუაციების შექმნა, რომელიც ადამიანს ცოდნის დეფიციტით გამოწვეულ უხერხულობას აგრძნობინებს, მაგრამ პრობლემას წიგნის საშუალებით რომ მოიხსნის.

ბიბლიიდან საგულისხმო ადგილების ამოწერა და დამახსოვრება, საკითხების თემატური დაყოფა და მის შესახებ გამოთქმული აზრების თავმოყრა და სისტემაში მოყვანა რეფერატის, თეზისების,მოხსენების სახით, წიგნზე მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია.

წიგნზე მუშაობა შეიძლება იყოს კოლექტიურ-ჯგუფური, ინდივიდუალური. თითოეულ მათგანს თავისებური ღირსება გააჩნია.

კოლექტიურ-ჯგუფური კითხვა ანვითარებს მოსმენის კულტურას, მოსმენილის შეფასების, კომენტირების, აზრის გამოთქმის უნარ-ჩვევებს. იქმნება თემის შესახებ საერთო წარმოდგენა, რომელიც აადვილებს ინდივიდუალურ კითხვასა და გაგებას და მოცემულ სიტუაციაში საჭირო ადგილებს ადვილად მოძებნას. ამასთანავე ინდივიდუალური კითხვა იძლევა საშუალებას რამდენჯერმე მივუბრუნდეთ, ხელახლა წავიკითხოთ სრულ გაგებამდე და დამახსოვრებამდე.

წიგნზე მუშაობის ძირითადი დანიშნულებაა საჭირო ინფორმაციების მიღების და სულიერი ამაღლების მიზნით სისტემატიური კითხვის მოთხოვნილების გამომუშავება მსმენელებში.

გარკვევით მიუთითებს ბიბლია სულიერი ზრდისათვის ცოდნის მუდმივი განახლების აუცილებლობაზე. „ბრძენის ცოდნა წყალდიდობასავით იზრდება და მისი რჩევა სიცოცხლის წყაროა“ (სიბრძნე ზირაქისა 21:13); პავლე მოციქულმა კოლასელებს მისწერა: „განუწყვეტლივ ვლოცულობთ თქვენთვის, რათა აღივსოთ მისი (უფლის — გ. ხ.) ნების შეცნობით, ყოველნაირი სიბრძნითა და სულიერი გონებით, რათა მოიქცეთ უფლის ღირსად და ყველაფერში აამოთ მას ყოველ კეთილ საქმეში ნაყოფის გამოღებით და ღვთის შემეცნებაში ზრდით“ (კოლასელთა 1: 9.10).

პედაგოგიკაში ცოდნის განახლების ამ ციკლს განმეორება ეწოდება. ხოლო განმეორებას კი — ცოდნის დედას უწოდებენ. ერთ და იგივე მოქმედების (პროცესის) მრავალგზის განმეორებას ვარჯიშის მეთოდი ეწოდება. ვარჯიში კი სწავლებისა და აღზრდის მთავარი მეთოდია, რომელიც განმეორება-განახლების გზით უზრუნველყოფს მსმენელებში ცოდნისა და მოქმედების უნარ-ჩვევების გამომუშავება-განმტკიცებას. ვარჯიშის მეთოდის შესახებ აზრი იკითხება მეორე რჯულის მე-6 თავის

მე-7 მუხლში, სადაც წერია: „ჩააგონებდე შენს შვილებს და უთხრობდე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას".

ამრიგად, ბიბლიის მიხედვით, ცოდნისა და მოქმედების უნარ-ჩვევების გამომუშავებას სისტემატური კითხვა და განმეორება განაპირობებს.

სანამ ცოდნის გემოს გაიგებს და წიგნს დაეწაფება აღსაზრდელი, აუცილებელია მასწავლებლის პედაგოგიური ზემოქმედება. ბიბლია უშვებს და ზოგჯერ აუცილებლადაც თვლის დასჯის მეთოდის გამოყენებას აღზრდაში. მაგალითად: „ყმაწვილის დასჯა ნუ დაგენანება, ჯოხითაც რომ სცემო, არ მოკვდება"; „ჯოხი და მხილება სიბრძნეს იძლევა, ნებაზე ნუ მიუშვებ სიჯაბუკეში, ვინაიდან მიშვებული ყმაწვილი დედის შემარცხვენელია" (იგავნი სოლომონისა 23:13; 29:15).

როცა სიტყვა-შეგონება არ ჭრის და გაჯიუტებულია, „გვერდები დაუქექე, ვიდრე ნორჩია. რომ არასოდეს გაჯიუტდეს და შენს მორჩილებაზე ხელი არ აიღოს" (სიბრძნე ზირაქისა 30:12). სააღმზრდელო ზომები დროზე უნდა იქნეს მიღებული, რომ შემდეგში მისი უხამსი საქციელით თავსაც არ ავნოს და სხვებსაც. ამიტომ „ჯოხით სცემე და მის სულს შავეთისაგან იხსნი" და დასჯა „შენც შვებას მოგცემს, შენს სულს სიამეს მოჰგვრის" (იგავნი სოლომონისა 23:14; 29:17). ბიბლია გვასწავლის, რომ დასჯასაც თავის ჟამი აქვს: „დასაჯე შენი შვილი, სანამ იმედია, და ნუ შეგაშფოთებს მისი ღრიალი" (იგავნი სოლომონისა 19:18).

დასჯა, ბიბლიის მიხედვით, აუცილებლად სამართლიანი უნდა იყოს, მონანიების გამომწვევი, გამოსასწორებელი და სიკეთის მომტანი. სხვადასხვა ბავშვებს სხვადასხვა სახის შეგონება ესაჭიროებათ. ზოგი არ იწერთნება სიტყვით. დაუმორჩილებლობისათვის ხანდახან მათი დასჯა, შესაძლებელია, მათი სიცოცხლის გადამრჩენი იყოს. მაგრამ ბავშვმა უნდა იცოდეს, თუ რატომ სჯიან. დასჯას გონივრული გამოყენება უნდა. „დაგსჯი სამართლიანად" — უთხრა ღმერთმა თავის ხალხს (იერემია 46:28).

ბიბლია არანაირად არ იწონებს სიბრაზისგან გამომდინარე გამათრახებებსა და სასტიკ ცემას. რაც დალურჯებულ ადგილებს უტოვებს ბავშვს და აზიანებს მას (იგავნი სოლომონისა 16:32).

როდესაც უზენაესმა გააფრთხილა თავისი ხალხი, რომ დასჯიდა მათ, უპირველესად თქვა: „ნუ გეშინია,... რადგან შენთანა ვარ" (იერემია 46:28ა). მსგავსად ამისა, დასჯამ, რომელსაც მშობელი და აღმზრდელ-მასწავლებელი მიმართავს, არასოდეს უნდა დატოვოს ბავშვში იმის გრძნობა, რომ იგი უარყოფილია (კოლასელთა 3:21). პირიქით, ბავშვმა უნდა

იგრძნოს — დასაჯეს იმიტომ რომ მის ნაკლს ვერ ურიგდებიან, თორემ ისე, მასთან არიან მის მხარეზე.

დასჯის მეთოდის ეფექტიურობა აუცილებლად დასჯის ობიექტის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებაზე, სამართლიანობასა და დამსჯელის ავტორიტეტზეა დამოკიდებული.

როგორც ვხედავთ, ბიბლიის მიხედვით სწავლება და აღზრდა ერთიანი პროცესია და მეთოდებიც საერთო აქვთ. ამ მეთოდების შემოქმედებითად გამოყენებაზეა დამოკიდებული მისი შედეგი.

ბიბლიაში არა ერთგზისაა ხაზგასმული. რომ პიროვნების ფორმირების ეფექტიურობას განაპირობებს ნიჭი, სწავლა-განათლების საშუალებით დროული და გონივრული აღზრდა. ამასთანავე შეიცავს ბრძნულ რჩევებს აღზრდის მიზნის, ამოცანების, შინაარსის, პრინციპების, მეთოდებისა და ფორმების შესახებ.

მასში აღნიშნულია, რომ ყველანაირი საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული პიროვნების გასრულყოფილებისათვის. სწავლა-განათლებისა და აღზრდის გარეშე ბიბლიის მიხედვით წარმოუდგენელია პიროვნების ფორმირება. ამდენად მშობლების, აღმზრდელ-მასწავლებლებისა და მთელი საზოგადოებრიობის აუცილებელ და გადაუდებელ საქმიანობას სრულყოფილი, ჰეშმარიტი ქრისტიანის აღზრდა უნდა წარმოადგენდეს.

რადგან „ყველა განისწავლება ღვთის მიერ, ყველა ვინც უსმენს მამას და სწავლობს“ (იოანე 6:45).

ეს დებულება იძლევა პედაგოგიური ოპტიმიზმის შეურყეველ საფუძველს.

იან ამოს კომენსკი გიგლიის შესახებ

მე-17 საუკუნის ჭეშმარიტად ქრისტიანი ჩეხი კლასიკოს-პედაგოგის იან ამოს კომენსკის უკვდავი პედაგოგიური მოძღვრების მეთოდოლოგიურ საფუძველს ქრისტიანული რელიგია წარმოადგენს. მაგრამ იგი ამ კუთხით ნაკლებადაა შესწავლილი, რამეთუ ამიხ შესაძლებლობას რელიგიასთან დიამეტრულად დაპირისპირებული მარქსისტულ-საბჭოური იდეოლოგია არ იძლეოდა. „საბჭოთა პედაგოგიური მეცნიერება მემკვიდრეობისადმი ლენინურ-სტალინური დამოკიდებულებების საფუძველზე სისტემატურად სწავლობს და ითვისებს ყველა იმ ძვირფასს, რაც კომენსკის მოძღვრებაში მდიდრადაა წარმოდგენილი“ — ვკითხულობთ „დიდი დიდაქტიკის“ დ. ლორთქიფანიძის შესავალ წერილში (იან ამოს კომენსკი, რჩ. რედ., თხზ., ტ. I, თბ., 1949, გვ. 39).

მაგრამ დღეს, როცა ვითარება შეიცვალა და დღის წესრიგში დადგა რელიგიური აღზრდა, განათლების შინაარსში შევიდა რელიგიის საწვლება სახელწოდებით „რელიგია და კულტურა“ ამ მხრივაც მნიშვნელოვანია კომენსკის პედაგოგიური შეხედულებების გათვალისწინება. ჩეხი მეცნიერ-პედაგოგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქრისტიანული რწმენის, ბუნების, რეალური სინამდვილის ცოდნისა და პრაქტიკული მოქმედების უნარ-ჩვევათა ერთიანობის აუცილებლობას.

ახლა მოვუსმინოთ თავად იან-ამოს კომენსკის:

„ყველა ქრისტიანს თავის დროზე უნდა ვასწავლოთ, რომ ჩვენი კეთილი ზრახვები და საქმეები, როგორც არასრულყოფილი, თავისთავად არაფერია, თუ არ მოგვეშველა კრავი უფლისა, სრულყოფილი ქრისტე, რომელმაც თავს იდო ქვეყნის ცოდვები და რომელიც არის საყვარელი ძე მამისა და სხვ. მას უნდა შევსთხოვდეთ. იგი უნდა იყოს ჩვენი სასოება. თვით ჩვენი და ჩვენს მოძმეთა ხსნის საქმე მაშინ იქნება დაცული საფრთხისგან, როცა მას დავამყარებთ იმ ქვაკუთხედზე, რომელიც არის ქრისტე, ყოველივე სრულყოფის მწვერვალი ცასა და ქვეყანაზე, ჩვენი რწმენის, სიყვარულის, იმედისა და ხსნის ერთადერთი საწყისი და აღმსრულებელი, მამამაც იმიტომ მოავლინა იგი ზეციდან, რომ გახ-

დეს იმანუილ (ღმერთკაცი), შეაერთოს ღმერთთან ადამიანი, და, მან განკაცებულმა, რომელიც ცხოვრობს უწმინდესი ცხოვრებით, მისცეს ადამიანებს ღვთაებრივი ცხოვრების მაგალითი, მოკვდეს უმანკოდ, თავისი სიკვდილით გამოისყიდოს ქვეყნის ცოდვები და თავისი წმინდა სისხლით განგვბანოს ჩვენ ცოდვებისაგან, რომ მკვდრეთით აღმდგარმა გვიჩვენოს სიკვდილი სიკვდილით დათრგუნვილი და ზეცით ამაღლებულმა გარდმოავლინოს ჩვენზედ სულიწმინდა, ჩვენი ხსნის საწინდარი; რომ სულიწმინდის მეოხებით იცხოვროს ჩვენში, როგორც თავის ტაძარში, „გზა წარგვიმართოს და დაგვიცვას ჩვენდა სახსნელად".

• • •

ან კიდევ:

„ღირსია სიბნელისა ის, ვინც სინათლეს თვალს არიდებს, მართალია, ჭოტს ბინდი შუადღე ჰგონია, მაგრამ სინათლისთვის გაჩენილი სულდგმულები ამას სხვანაირად უყურებენ. ოჰ, უმინაარსო ადამიანო, შენ ადამიანის გონების სიბნელეში ეძიებ ნათელ სხივს, მაგრამ აღმართე ზევით თვალები! ჭეშმარიტი სინათლე ჩამოდის ზეციდან, იმისგან, ვინც ყოველი სინათლის მამაა. თუ ადამიანის გონებაში რაიმე სხივი გაიელვებს, ეს მხოლოდ მცირედი ნაპერწკლებია, რომლებიც ოდნავ ბრწყინავს იმათთვის, ვინც სრულ სიბნელეში იმყოფება, მაგრამ ჩვენ, რომლებსაც ხელში მოგვეცა ანთებული ჩირაღდნები (ღვთის სიტყვის უბრწყინვალესი სხივი), რად გვესაჭიროება ეს ნაპერწკლები? თუ ისინი მსჯელობენ ბუნების შესახებ, სამაგიეროდ მხოლოდ ზერელედ არკვევენ საკითხს, მის არსს კი ვერ წვდებიან, ხოლო საღვთო წერილში (იგულისხმება ბიბლია — გ. ხუხუა) თვით ბუნების მეუფე მოგვითხრობს თავისი შემოქმედების დიად საიდუმლოებას და გვირკვევს ხილულ და უხილავ ქმნილებათა პირველ მიზეზსა და საბოლოო მიზანს. თუ ფილოსოფოსები ლაპარაკობენ ზნეობის შესახებ, ისინი ემსგავსებიან ფრთებდაწებებულ ფრინველებს, რომლებიც უდიდესი გაჭირვებით მოძრაობენ და ადგილიდან კი ვერ იძვრიან. ამავე დროს, საღვთო წერილი გვაძლევს სათნოებათა ჭეშმარიტ სურათს და მიმართავს ადამიანს ისეთი მოწოდებით, რომელიც მას გულის სიღრმემდე წვდება; ამასთან ერთად იგი ყოველი სათნოების ცოცხალ მაგალითს გვიჩვენებს. როდესაც წარმართებს სურთ ასწავლონ სათნოება, ისინი ასწავლიან ცრუმორწმუნოებას, რადგან არა აქვთ ნამდვილი წარმოდგენა არც ღვთისა და არც მისი ნების შესახებ. სიბნელე მოიცავს დედამიწას, და ერებს — წყვდიადი: სიონზე კი ამობრწყინდება უფალი და იქ ვიხილავთ მის დიდებას".

ღირსეული ადამიანები ათეიზმის გრჭყალებში

„ისე აღზარდე შენ შვილის სული, წინ მიუძღოდეს ჭეშმარიტება, უკან რჩეს კვალი განათლებული“. დიდი ილიას ამ მოთხოვნას პასუხობდნენ ის ადამიანები, რომელთა შესახებ გვსურს მკითხველს მოვუთხროთ ამჯერად. ესენია ჩემი ყოფილი ლექტორები, აწ განსვენებული დოცენტი ნიკანდრო ბასილაია და დოცენტი ბენო გვასალია.

ბ-ნი ნიკანდრო ბასილაია სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის (დღევანდელი უნივერსიტეტის) ქართული ენის კათედრის დოცენტი, მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომების ავტორი, მაღალი პროფესიონალიზმით, ზნეობრივი სიწმინდითა და ბუნებრივი დელიკატურობით გამორჩეული პიროვნება იყო. ამ თვისებათა გამო მის შეუვალ ავტორიტეტს კანონის ძალა ჰქონდა ჩვენთვის. საკმარისი იყო მისი გამოჩენა აუდიტორიაში, უმალ გვეპოვა ჩვენ-ჩვენი ადგილი და მის ნებას დავმორჩილებოდით. სტუდენტს თავისი ღირსებისა და მოვალეობისადმი დამოკიდებულების მიხედვით აფასებდა და არა წარმომავლობის, ქონების ან გარეგნობის მიხედვით. კმაყოფილებას საოცრად წრფელი ღიმილით, ხოლო გულისწყრომას გარეგნულად შეკავებული შინაგანი ღელვით გვაგრძნობინებდა. ქორწინების ფაქტი, ბავშვის დაბადება ერთგვარ სულიერ ზეიმს განაცდევინებდა. ბავშვისათვის ჩვენი სახელოვანი წინაპრების სახელთა შერქმევას მოწონებით ხვდებოდა. იტყოდა: „ჩინებულიაო“, ჩვილსა და დედას ყოველთვის მოიკითხავდა.

დემოგრაფიისა და ტოპონომიკის საკითხები აწუხებდა. სინანულით იტყოდა: ეს მთავრობა ნამეტანი გატაცებულია არაქართველებით, მეშინია ეს მერე თავსატეხი არ გაუხდეს შემდგომ თაობებსო. ისე აგხდენოდეს, ჩემო მკითხველო, ნანატრი, როგორც ის შიში აუხდა ნეტარსახსენებელს.

ბატონი ნიკანდრო სტუდენტებს გვავალებდა ჩვენ-ჩვენს კუთხეებში, სოფლებში მოგვეძებნა და ჩაგვეწერა ეროვნულთან დაკავშირებული

წარსულის ინფორმაციები ფოლკლორული ნიმუშები, წეს-ჩვეულებები, გეოგრაფიულ-ტოპონიმიკური სახელები, სიმღერები და ა. შ.

განსაკუთრებით აღელვებდა ქართული ბეჭდური წყაროების გამოცემასთან დაკავშირებული პრობლემები, ქართველების არაქართულ სკოლებში შეყვანის ფაქტები, სამამულო ნაწარმისადმი უპატივცემულობისა და უცხოური მოდებით ბრმად გატაცების ტენდენციები.

ბატონი ბენო გვასალია თავისი ბუნებრივობით, ურთიერთობის მაღალი კულტურითა და საოცარი იუმორის გრძნობით გვხიბლავდა. უკვე ხანში შესული, ახალგაზრდებთან უმალ ამყარებდა მეგობრულ კონტაქტს. ხუმრობით გვეტყოდა: „როცა თქვენთან ვარ ვახალგაზრდავდები, თქვენ კიდევ ჩემი შემხედვარენი ადვილად დინჯდებითო". მისი საყვარელი თემა კოლხი ქალი მედეა იყო. მედეას სიმკაცრეს იაზონის პიროვნებით ხსნიდა, მის ღირსებას კი — კოლხური ფენომენით. თუმცა ბეფე აიეტის ასულისადმი მძიმე ბრალდებას არ იზიარებდა.

ბატონი ბენო ესთეტიკურ გემოვნებას განსაკუთრებულ ღირსებად თვლიდა ადამიანში. ამიტომ ხელოვნებისაკენ აპყრობდა ჩვენს მზერას. ერთხელ ლექციის გაცდენის მიზეზად კარა კლაიჩის კონცერტზე დასწრება დავასახელეთ. საქციელი, ნაცელად დასჯისა, მოგვიწონა, რის შემღეგაც აუცილებლად ჩავთვალეთ მართლა დავსწრებოდით ამ კონცერტს, ხოლო ტყუილი არასოდეს არ გვეთქვა.

ასეა. მეხსიერება კინო-ფირივით ინახავს მასზე აღბეჭდილ შთაბეჭდილებებს, რომელიც შემდგომ მწარე თუ ტკბილ მოგონებებში პოულობს თავის გამოვლინებას. ალბათ, ამას ნიშნავს სულის უკვდავება.

ვერ ვიტყვი თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ მათ რელიგიური რწმენისადმი, მაგრამ მათი სულისკვეთება რომ ქრისტიანული იყო, ეს კი ცხადია.

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან 3

ურჩოგით დაკარგული მორჩილებით აღდგება 6

ქრისტიანული მორალის არსი და ძალმოსილება . . . 17

ბიბლია სწავლა-განათლებისა და აღზრდის შესახებ . . . 47

ბიბლია ოჯახისა და ოჯახური აღზრდის შესახებ . . 53

ბიბლია ქორწინების შესახებ 63

სტუმარ-მასპინძლობის ბიბლიური პრინციპები . . . 69

მეტყველება — სამყაროს საოცრება 75

მუსიკა მეტყველების ჩუჭურთმა 81

რელიგიურ საფუძველზე ზნეობრივი აღზრდის მეთოდები . 85

იან ამოს კომენსკი ბიბლიის შესახებ 97

ღირსეული ადამიანები ათეიზმის ბრჭყალებში . . . 101